

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ISSN 1987-7684

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

სოციალურ მეცნიერებათა საკითხები

IX

შრომების კრებული



გამომცემლობა „სწიწვერსალი“
თბილისი 2016

YDC (უაკ) 316 (051)
ს 743

**„სოციალურ მეცნიერებათა საკითხები“
გამოდის 2009 წლიდან**

**საჩუქრადი კოლეგიის თავმჯდომარე,
რედაქტორი:**

ირაკლი მანველიძე

საჩუქრადი კოლეგია:

*გუსეინ ნიზამი ოლლი ნაჯაფოვი (ბაქო), გენადი
იაშვილი (თბილისი), შოთა დოლონაძე (თბილისი),
ლადო მკერვალიძე (თბილისი), რობიზონ
ხურცილავა (ქუთაისი) ინეზა ზოიძე, ნატალია ლაზბა,
ზაზა ბურკაძე, ირაკლი გორგილაძე, ლაშა
ბაჟუნაიშვილი, ინგა ცინცქილაძე, ირინე ცინცაძე
(პასუხისმგებელი მდივანი).*

რეცენზენტები:

*მარინა იტრიაშვილი
თემურ ჯაგოდნიშვილი
ბესო შერაზადიშვილი*

ISSN 1987-7684

© საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

სტატიაში მოცემულ ფაქტებზე, მოსაზრებებსა და დასკვნებზე პასუხისმგებელია ავტორი

მისამართი:

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის II კორპუსი,
საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი №505.

E-mail manvelidze.irkli@gmail.com

Tel: 0422 29 33 46 +995577141099

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge


Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of social and Political sciences

The Department of Social and Political Sciences

Problems of Social Sciences IX

PROCEEDINGS



**Publishing House „Universali“
TBILISI-2016**

Problems of Social Sciences

Issued since 2009

Chairman of the Editorial Board, Editor:

Irakli Manvelidze

Editorial Board:

Huseyn N. Najafov, Lado Mkervalishvili (Tbilisi), Genadi Iashvili (Tbilisi), Shota Dogonadze (Tbilisi), Lado Mkervalishvili (Tbilisi), Robizon Khurtsilava (Qutaisi), Natalia Lazba, Ineza Zoidze, Zaza Burkadze, Irakli Gorgiladze, Lasha Bajunaishvili, Inga Tsintsqiladze, Irina Tsintsadze.

reviewers:

*Marina Itriashvili
Temur Jagodnishvili
Beso Sherazadishvili*

ISSN 1987-7684

© The Department of Social and Political Sciences

For providing in articles the material, opinions and conclusions responsibility of the author.

Address: 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia, Shota Rustaveli State University, The Department of Social and Political Sciences #505,

E-mail manvelidze.irakli@gmail.com Tel: 042 229 33 46 +995577141099

Publishing House „Universali“

Publishing House „universali“, 2016

Tbilisi, 0179, I. Chavchavadzis ave.. 19, : 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

IX



« 2016 »

«

»

2009

, :

:

(), (),
(), (),
(), (), ,
, , (,)
, ().

:

Тимур Джагоднишвили
Бесо Шеразадишвили

ISSN 1987-7684

©

: , , **35, II** ,
#505.

E-mail manvelidze.irakli@gmail.com

Tel: 0422 29 33 46 +995577141099

« », 2015

, 0179,

19, : 22 36 09, 5(99) 17 22 30

შ ი ნ ა ა რ ს ი
C O N T E N T

პოლიტიკის მეცნიერება
Political Science

ლაშა ბაჟუნაიშვილი

„ახალი აბრეშუმის გზა“ - სარტყელის ჩინური სტრატეგია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში..... 14

Lasha Bazhunaishvili

„New Silk Road“ – Chinese Belt Strategy in Asia-Pacific Region27

” -28

ირაკლი გორგილაძე

ახალი მსოფლიო წესრიგი ამერიკულ გეოპოლიტიკაში...31
.....41

Irakli Gorgiladze

New World Order Paradigm in the US Geopolitics42

კახაბერ სურგულაძე

საბერძნეთ-ოსმალეთის ომი და ქართული პრესა.....43

-47

Kakhaber Surguladze

Greek-Ottoman war and Georgian press..... 48

ლამზირა ხიდეშელი

„არაბული გაზაფხული“ თუნისში.....49

« »58

Lamzira Khidesheli

„Arabic Spring“ in Tunisia59

ზაზა ბურკაძე

საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის მოძრაობა: პირველი ნაბიჯები61

:80

Zaza Burkadze

French internal resistance movement: firststeps.....81

მარინე იტრიაშვილი

ეთნო-კონფესიური და ეთნო-ტერიტორიული პრობლემები სამხრეთ კავკასიაში.....82

..... 90

Marina Itriashvili
Ethno-confessional and ethno- territorial problems
in South Caucasus..... 91

ნატალია ლაზბა
დიპლომატიური პროტოკოლის, ეტიკეტის წყაროები და
სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხები 93

Natalia Lazba
Sources of diplomatic protocol, etiquette and issues of legal
assurance..... 99

..... 100

საჯარო მმართველობა
Public Administracion

გიგა ფარტენაძე
ირაკლი მანველიძე
რეგიონალური და მუნიციპალური ელექტრონული მთავრობის
კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი 102

	117
<i>Giga Phartenadze</i>		
<i>Irakli Manvelidze</i>		
Some aspects of regional and municipal electronic government's concept.....		120
<i>ხათუნა მურადიშვილი</i>		
ლიდერის ფენომენი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.....		121
	129
<i>Khatuna Muradishvili</i>		
The phenomenon of the leader in creativity of Vazha Pshavela		130
<i>სალომე კინწურაშვილი</i>		
თანამედროვე ლობისტების მიერ სამთავრობო მხარდაჭერისათვის საზოგადოებრივ აზრის მართვის ზოგიერთი ასპექტის შესახებ.....		131
	144
<i>Salome Kintsurashvili</i>		
About some aspects of public opinion management for government support of modern lobbyists.....		145

მეგი ფარტენაძე

აჭარის რეგიონის საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიის შეფასებისათვის 146

Megi Phartenadze

For evaluation of the strategy of public communication of Adjarian region’s public institutions..... 150

.....151

ნანა ბრეგაძე

გენადი იაშვილი

მმართველობითი გადანაცვეტილებების მიღება მომსახურების სისტემაში..... 152

.....157

Genadi Iashvili

Nana Bregadze

Managerial Decision Making in the Service System..... 159

სოციოლოგია
Sociology

ინეზა ზოიძე

სოციალური გარემოს როლი ორგანიზაციის მართვის
სტრატეგიაში 160

Ineza zoidze

The role of social environment in strategy of organizational
management..... 169

..... 170

მასკომუნიკაცია

Mass Communication

ირინე ცინცაძე

მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათმე-
ხამებანი თანამედროვე ქართული პრესის ენაში 171

..... 179

Irine Tsintsadze

Irrelevant idioms in terms of meaning in modern
Georgian press..... 180

იდენტობა

Identity

ცირა ფუტკარაძე

ოიდიპოსი ევროპულ იდენტობაში 181

TsiraPutkaradze

Oedipus in the European Identity 192

..... 193

ქეთევან კოპაძე

ევროპული და ეროვნული ღირებულებების
პრობლემისათვის გაზეთ „დროებაში“ 194

« » 204

Ketevan Kopadze

Issues of European and national values in the newspaper
"Droeba " 205

პოლიტიკის მეცნიერება
Political Science**„ახალი აბრეშუმის გზა“ - სარტყელის ჩინური
სტრატეგია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში*****ლაშა ბაყუნაიშვილი***

ცივი ომის შემდეგ, გლობალურ პოლიტიკაში ჩინეთის ეკონომიკურმა განვითარებამ, შესაბამისად, გლობალურ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე გავლენათა ცვლამ, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მსოფლიოს წესრიგში. 2013 წელს პეკინმა მსოფლიოს „ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელისა და XXI საუკუნის აბრეშუმის საზღვაო გზის“ გლობალური ეკონომიკური ინიციატივა - „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ წარუდგინა. სხვადასხვა მონაცემებით ინიციატივის რეალიზებაში 3 კონტინენტის (ევროპა, აზია, აფრიკა) 65 ქვეყანა მოიაზრება, რომელთა მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 70% შეადგენს, მსოფლიოს მთლიანი პროდუქტის 55%

ანარმოებს და ენერგორესურსების (ნავთობი და ბუნებრივი აირი) მსოფლიო მარაგების 75% ფლობს (2:2).

მართალია, ინიციატივა იმთავითვე სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული, ერთი რამ ცხადია, მის უკან მკვეთრი გეოპოლიტიკური ინტერესები იკვეთება. კერძოდ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან აზია-წყნარი ოკეანის, ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის რეგიონში დომინირების, მსოფლიოში კი ასპარეზზე არსებული გლობალური ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური წესრიგის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა ან სურვილი.

აღნიშნული პროექტის რეალიზება თავისი არსით გულისხმობს: 1) ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილ ეკონომიკური განვითარების კონიუნქტურის შექმნას; 2) ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსის გააქტიურებას; 3) გასაღების ბაზარის გაფართოვებას; 4) მზა პროდუქციის, სტრატეგიული ნედლეულისა და ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების ორგანიზებას. რაც ბუნებრივია, რამდენიმე ეკონომიკურ პროექტსაც აერთიანებს:

„ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“

„ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ ევრაზიის ტრანსკონტინენტური ვაჭრობის დერეფანია. თავისი არსით, იგი წარმოადგენს “ერთი გზა ერთი სარტყელის” პროექტის ე.წ. „სახმელეთო კომპონენტს“, რომლის მიზანი ცენ-

ტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და რუსეთის გავლით ჩინეთის ევროპასთან დაკავშირებაა. ის რამდენიმე სახემელოთ მარშუტს: 1) ჩინეთი-შუა აზია-რუსეთი-ჩრდილოეთ ევროპა, 2) ჩინეთი-შუა-აზია-ახლო აღმოსავლეთი (ირანი, თურქეთი) - ხმელთაშუა ზღვის აუზი და 3) პეკინი-მოსკოვის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებს აერთიანებს (2:6);

სარტყელის სტრატეგიაში, ევრაზიის ცალკეულ რეგიონებთან მიმართებაში, პეკინს, განსხვავებული ინტერესები გააჩნია. შუა აზიის, რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობებში ვაჭრობის გარდა, განსაკუთრებულ ინტერესს სტრატეგიულ ნედლეულზე წვდომა წარმოადგენს. ამ თვლასაზრისით ჩინეთი აქტიურად არის ჩართული რუსეთის, ყაზახეთის, ირანის, ისრაელის, ეგვიპტის ერაყისა და სხვ. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მილსადენების, სარკინიგზო სანავსადგურო-სატერმინალო ინფრასტრუქტურის განვითარება-მოდერნიზების პროცესში. 2016 წელს ექსპლოატაციაში შევიდა 10 ათასი კმ. სიგრძის ირან-ჩინეთის დამაკავშირებელი ტრანსშუაზიური (ყაზახეთისა და თურქმენეთის გავლით) „აბრეშუმის რკინიგზა“¹, რომელიც შემდგომში

¹მიუხედავად თეირანზე დაწესებული საერთაშორისო სანქციებისა, 2003 წლიდან 2013 სლამდე ჩინეთსა და ირანს შორის სავაჭრო ბრუნვა 3 მილიარდი დოლარიდან 53 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

თურქეთის გავლით ევროპის სარკინიგზო ხაზს დაკავშირდება (4:5).

ევრაზიის ეკონომიკური სარტყელის საბოლოო დანიშნულების ადგილი ევროპის რეგიონია, რომელიც ჩსრ-ს ერთ-ერთ ტრადიციულ და ისტორიულ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. ევროკომისიის მონაცემებით, 2014 წელს ჩინეთიდან ევროკავშირის ქვეყნებში იმპორტირებული იქნა 302, ხოლო ექსპორტირებული 165 მილიარდი დოლარის საქონელი და მომსახურება. სავაჭრო ბრუნვის გაზრდის მიზნით, სარტყელის სატრატეგიის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება და აბრეშუმის გზის ევროპულ ინფრასტრუქტურულ ქსელთან დაკავშირება წარმოადგენს (2:8).

„XXI საუკუნის აბრეშუმის საზღვაო გზა“

„XXI საუკუნის აბრეშუმის საზღვაო გზა“ გლობალური ეკონომიკური ინიციატივის საზღვაო-საოკეანო მიმართულებითაა და მის ძირითად მიზანს ჩინეთის წყნარი ოკეანის სანაპიროს ქალაქების (შანჰაი, მაკაო, ჰონკონგი, შიამენი, ნინგბო, გუანჯოუ, შენჯენი, ფუძოუ, ჰაბეი და სხვ.) ინდოეთის ოკეანის, წითელი ზღვისა და სუეცის არხის გავლით ევროპასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან, აფრიკის აღმოსავლეთი სანაპიროს და წყნარი ოკეანის სამხრეთი პერიმეტრის ქვეყნებთან (ავსტრალიისა და ლათინური ამერიკა) დაკავშირება და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს (2:5-6, 3:5). აბრეშუმის საზღვაო გზა, ევრაზიის ეკო-

ნომიკურ დერეფანთან შედარებით სუსტი მიმართულებაა, რაც განპირობებულია: 1) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკების მაღალი კონკრენტუნარიანობით; 2) ASEAN-ის რეგიონალური ორგანიზაციის ფაქტორით და აშშ-ს სამხედრო-პოლიტიკური გავლენებით და 3) ტერიტორიული დავეებით აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთის ზღვებში.

ჩინეთ-პაკისტანის ეკონომიკური დერეფანი. პოსტბიპოლარულ სამყაროში ჩინეთისთვის პაკისტანი კვლავ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ერთ-ერთ გეოეკონომიკურ სივრცედ რჩება, რომლის მეშვეობითაც პეკინი ენერგორესურსების ტრანსპორტირების სფეროში ე.წ. „მალაკის პრობლემის“ გადაჭრას ცდილობს. ყოველწლიურად დაახლოებით 4 ტრილიონი დოლარის საგარეო სავაჭრო ბრუნვა და ყოველდღიურად იმპორტირებული 7 მილიონი ბარელი ნავთობის უსაფრთხო ტრანსპორტირება აშშ-ს და მისი რეგიონალური მოკავშირეების მიერ კარგად კონტროლირებად ბენგალის ყურისა და მალაკის სრუტეზე არის დამოკიდებული (4:6). სტრატეგიულად მნიშვნელოვან სრუტეზე დამოკიდებულების შემცირებისა და ალტერნატიული მარშრუტის შექმნის მიზნით, შემუშავებული იქნა პაკისტანის ეკონომიკური დერეფანის კონცეფცია, რომელიც ჰორმუზის სრუტიდან 400 კმ დაშორებით, არაბეთის ზღვის სანაპიროზე მდებარე სტრატეგიულად მნიშვნელოვან გვადარის ნავსადგურის მოდერნიზებას და პაკისტანის ტერიტორიაზე მილსადენების მშენებლობას ითვა-

ლისწინებს. აღნიშნული გზა მნიშვნელოვნად შეამცირებს საფრთხეებს, მანძილს (დაახლ. 10 ათასი კმ-ით) და ხარჯებს. 2015 წელს მხარეებს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას 46 მილიარდის ინვესტიციის სანაცვლოდ პაკისტანის სტრატეგიული ობიექტების (ნავსადგური, მილსადენების, საავტომობილო და სარკინიგზო ხაზების) 43 წლიანი იჯარით გამოყენებისა და განვითარების შესახებ (9:1-2, 8:1).

„სამხრეთის აბრეშუმის გზა“ (ჩინეთი-ბანგლადეში-მიანმარი-ინდოეთის ეკონომიკური დერეფანი). ითვალისწინებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის მიმართულებას. სადაც განაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიანმარის და ბანგლადეშის გეოეკონომიკურ შესაძლებლობებს (2:2-3).

„ერთი გზა, ერთი სარტყელის“ სტრატეგიის რეალიზება მოითხოვს შესაბამისი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემის განვითარებას. ამ თვალსაზრისით გამოიკვეთა 3 პრიორიტეტი: 1) საკუთრივ ჩინეთის ტერიტორიასა² და 2) მოსაზღვრე რეგიონების (ასევე სუბრეგიონების) განვითარებადი ეკონომიკების მქონე სახელმწიფოებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები; 3) განვითარებული ქვეყნების უკვე არსებულ კომუნიკაციებთან დაკავშირება (2:6). აღნიშნული ამოცანის გადაჭრის მიზნით დაფუძნებული იქნა

²2014-2020 წლებისთვის დაგეგმილია 1,2 ტრილიონი ჩინური იუანის (RMB) (170 მილიარდის ექვივალენტი აშშ დოლარში) ინფრა-პროექტების რეალიზება.

რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი. მათგან ყველაზე სოლიდურ ორგანიზაციას „აზიის ინფრასტრუქტურის ინვესტირების ბანკი“ (Asia Infrastructure Investment Bank - AIIB) წარმოადგენს, რომლის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზება, რომელიც ახალი აბრეშუმის გზის პროექტისათვისაა აუცილებელია. მასვე დაექვემდებარა აბრეშუმის გზის განვითარების ფონდი³ და BRICS-ის (Brasilia, Russia, India, China and South Africa) განვითარების ბანკი⁴ (2:8-9).

ახალი ბანკის შექმნის იდეა 2013 წლის ოქტომბერში სი ძიპინისა და პრემიერ ლი კეი იანგის (Li Keqiang) მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ტურნეს დროს გაცხადდა. უკვე 2015 წლისათვის 57-მა სახელმწიფომ (მათ შორის ინდოეთმა, ავსტრალიამ, ინდონეზიამ და სხვ.) მისი წევრობის სურვილი გამოთქვა. 2014 წელს 24-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ბანკის დაფუძნების მემორანდუმს. იმავე წელს აიიბ-ს დამფუძნებლის სტატუსით დიდი ბრიტანეთიც ჩაერთო, მიუხედავად ვაშინგტონისა და ტოკიოს წინააღმდეგობისა, ლონდონის მაგალითს მალე სხვა ევროპული სახელმწიფოებიც (გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, დანია და შვეიცარია) მიჰ-

³დაფუძნდა ჩინეთის საინვესტიციო კორპორაციის, ჩინეთის ექპორტ-იმპორტ ბანკისა და ჩინეთის განვითარების ბანკის მიერ 2014 წლის ნოემბერში.

⁴დაფუძნდა 2015 წლის 15 ივლისს. ბანკის სათაო ოფისი განთავსებულია ქ. შანხაიში (6).

ყვენ. აიიბ-ში ევროპელი პარტნიორების განვერინება რამდენიმე გარემოებით იყო ნაკარნახევი: 1) 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგების საბოლოო ლიკვიდაციით, 2) ევროპული წამრომავლობის ტრანსნაციონალური კომპანიების ინტერესით ჩარეულიყვენ ბანკის მიერ დაფინანსებულ მრავალმილიონიანი პროექტების რეალზიებაში; 3) გლობალური ეკონომიკურ ურთიერთობებში შეერთებული შტატების ბალანსირებით (2:14).

2016 წლის 24 ივნისს აზიის ინფრა-ინვესტირების ბანკმა მსოფლიოს სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით⁵ პირველი 509 მილიონი დოლარის სესხი გამოყო, რომლის ფარგლებშიც პაკისტანში საავტომობილო მაგისტრალების მშენებლობა, ტაჯიკეთის სასაზღვრო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, ბანგლადეშის ელექტრო-გადამცემი სისტემების მოდერნიზება და ინდონეზიის საკომუნიკაციო საშუალებების რეკონსტრუქცია დაიგეგმა (6:1-2).

ოფიციალური პეკინის მტკიცებით, დასავლური საფინანსო ინსტიტუტებისაგან განსხვავებით, აიიბ-ი არ ითვალისწინებს მკაცრ საკრედიტო პოლიტიკას (სესხის გაცემის, მიზნობრივი გამოყენებისა და დაბრუნების პირობებს), გაცემული სესხი არ წარმოადგენს კრედიტორის მხრიდან დებიტორი სახელმწიფოს შიდაეკონომიკურ ან პოლიტიკურ საქმე-

⁵ აზიის განვითარების ბანკი, მსოფლიო ბანკი, ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების კომიტეტი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

ებში ჩარევის და მასზე გავლენის მოხდენის მექანიზმს. ოფიციალური პირების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ახლადშექმნილ გლობალურ საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტს საკუთარი პრინციპები, მიზნები და ამოცანები გააჩნია, იგი არ ისახავს მიზნად შეცვალოს არსებული გლობალური ფინანსურ-მონეტარული წესრიგი და ემორჩილება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრინციპებს, რომელიც არეგულირებს არსებულ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს - „აზიის ინფრა-ინვესტირების ბანკი იქნება არსებული სისტემის შემავსებელი და არა კონკურენტი ინსტიტუცია...“ (3:10, 7). 2015 წელს ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვანგ იუმ (Wang Yi) უარყო გავრცელებული მოსაზრება აიიბ-ის „მარშალის გეგამსთან“ მსგავსების შესახებ და განაცხადა, რომ „აღნიშნული პროექტი შორს არის ცივი ომის მენტალობისგან... მას არ გააჩნია სტრატეგიული მიზნები და არ გამოარჩევს ბენეფიციარ ქვეყნებს პოლიტიკური იდეოლოგიის და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ნიშნებით...“ (2:3, 3:11, 7).

მიუხედავად ჩსრ-ს ხელისუფლების მტკიცებისა, რომ „ერთი გზა ერთი სარტყელის ინიციატივა“ მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას და ტრანსკონტინენტური ვაჭრობის ინტენსიფიკაციას ემსახურება, წარმოდგენილი გლობალურ ეკონომიკურ ინიციატივას და მის ფარგლებში დაგეგმილ მრავალმილიარდიან ეკონომიკურ აქტივობას განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს შე-

ერთეული შტატები, რუსეთი და აგრეთვე რეგიონალური სუბიექტები, რამეთუ სარტყელის სტრატეგია უფრო რეგიონის ახალი გეოპოლიტიკაა, ვიდრე ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფორმატი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კოლოსალური ინვესტიციები, რეგიონალურ დონეზე ახალი საერთაშორისო საფინანსო-მონეტარული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობათა სისტემის ფორმირების ნებისმიერი მცდელობა⁶ უკვე არსებულთან კონკურენციისა და კონფრონტაციის საფუძველს ქმნის.

პეკინის გლობალური ეკონომიკური ინიციატივას ინდოეთმა საკუთარი ეკონომიკური ხედვა - „პროექტი მაუსამი“ (Mausam) დაუპირისპირა. რომელიც ინდოეთის ოკეანის აუზის ქვეყნებს შორის (ინდონეზიიდან აფრიკის სანაპიროებამდე) სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას, სამხედრო-სტრატეგიულ სფეროში თანამშრომლობას და ნაოსნობის უსაფრთხოების სფეროში ინტეგრაციას ითვალისწინებს (2:12).

ჩინეთის მოჭარბებული აქტივობა გარკვეულ დისკომფორტს უქმნის რუსეთის ინტერესებს შუა აზიის რეგიონში, თუმცა, უკანასკნელ წლებში მოსკოვის დაძაბული ურთიერთობები დასავლეთთან, მას გარკვეული დათმობებზე სვლას აიძულებს. თავის მხრივ, პეკინიც ცდილობს რუსეთის ნდობის

⁶ჩინეთის ეროვნული ვალუტის რენმინბის (Renminbi - RMB) თავისუფლად კონვერტირებად ვალუტად ფორმირება.

მოპოვებას. 2015 წელს მხარეებს შორის ხელი მოეწერა სპეციალურ მემორანდუმს, რომლის მიხედვით „ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ „ევრაზიული კავშირის“ ინიციატივასთან მჭიდრო კოორდინაციის პირობებში უნდა განხორციელდეს. მიუხედავად ამისა, პარტნიორებს შორის კვლავ რჩება აზრთა სხვადასხვაობა რეგიონის სამხედრო-პოლიტიკური მონყობის საკითხში. რუსეთი ცდილობს შუა აზიაში მის მიერ ინიცირებული კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოზიციების გაძლიერებას, ჩინეთი კი, რეგიონის უსაფრთხოებასა და სატაბილურობის სფეროში საკუთარი წვლილის ზრდას, რომელიც არა მოხლოდ ჩინეთის ეკონომიკური ინტერესებს, არამედ შიდაპოლიტიკური სტაბილურობის დაცვის გარანტი უნდა გახდეს⁷.

ვაშინგტონში ჩინურ ინიციატივას აშშ-ს მიერ ინიცირებულ ტრანსატლანტიკური, ტრანსწყნარი ოკეანისა და აშშ-ევროკავშირ-იაპონიის სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორობის რეალურ კონკურენტად აღიქვამენ. ამერიკელი სტრატეგები თვლიან, რომ პეკინს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში არსებული სავაჭრო-ეკონომიკური და მასთან ერთად გეოპოლიტიკური სურათის ცვლა სურს, რისთვისაც იგი არა მხო-

⁷საუბარია იუღურთა ავტონომიური რესპუბლიკაზე (სინძიანის პროვინცია), რომელსაც 4 შუაზიური სახელმწიფო: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და ავღანეთი ესაზღვრება და განსაკუთრებული სეპარატიზმით გამოირჩევა.

ლოდ საერთაშორისო სავაჭრო ქსელს და ბრეტონ-ვუდის ალტერნატიულ გლობალურ საფინანსო-მონეტრალ სისტემას ქმნის, არამედ თავს იმკვიდრებენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან გეოგრაფიულ სივრცეებში⁸. შეერთებული შტატების ხაზინის მდივანის ლარი სამერსის (Larry Summers) განცხადებით, „შეერთებული შტატები კარგავს გლობალური ეკონომიკური სისტემის მოდერატორის სტატუსს“ (8). ჩინეთი „მზარდი სახელმწიფო“ („Rising Power“), რომელიც არსებული წესრიგის შეცვლას ცდილობს, ხოლო აშშ წარმოადგენს „სტატუს ქვო სახელმწიფოს“ („Status quo Power“), რომელიც საპირისპიროდ უკვე არსებული სისტემის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული (5:4-5).

გავლენიანი ამერიკული კვლევითი ცენტრის „საგარეო ურთიერთობათა საბჭოს“ (Council on Foreign Relations) უფროსი მეცნიერის რობერტ ბლექვილის (Robert D. Blackwill) და „მშვიდობის ხელშეწყობის კარნეგის საერთაშორისო ფონდის“ (Carnegie Endowment for International Peace) მკვლევარის ეშლი ტელის (Ashley J. Tellis) ერთობლივ საანგარიშო მოხსენ-

⁸საუბარია მიანმარის, შრილანკისა და პაკისტანის სანაპირო ზოლში სამხედრო-სტრატეგიული პოზიციების გამყარებაზე; სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ხელოვნური კუნძულის, ხოლო და ნიკარაგუაში 278 კმ. სიგრძის არხის მშენებლობაზე, რომელიც განახლებული პანამის არხის ალტერნატივა იქნება; სუეცის ზონაში ინდუსტრიული ზონის, ხოლო ჯიბუტსა და ტანზანიაში ახალი ნავსადგურების მშენებლობა იგულისხმება.

ნებაში „ჩინეთთან ურთიერთობის დიდი სტრატეგიის გადახედვა“ (Revising Grand Strategy Towards China) ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ წლების განმავლობაში აშშ-ს მცდელობას ხელი შეეწყო ჩინეთის „ლიბერალურ საერთაშრისო წესრიგში“ ინტეგრაციისთვის, ახალი საფრთხეები წარმოქმნა. აზია-წყნარი ოკეანის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში ჩსრ-ს ეკონომიკური და სამხედრო აქტივობის ზრდამ აშშ-ს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. „აუცილებელია ჩინეთთან ურთიერთობის სტრატეგიის გადახედვა და თანამშრომლობა ბალანსირების პოლიტიკით შეცვლა“, რისთვისაც მკვლევრები შემდეგი სახის აქტივობის რეალიზების აუცილებლობაზე საუბრობენ: პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების დამყარება პარტნიორ სახელმწიფოებთან; პოტენციურად კონკურენტი სახელმწიფოებისთვის სამხედრო დანიშნულების ტექნოლოგიებზე წვდომის შეზღუდვა; ჩინეთის პერიფერიებში სამხედრო-პოლიტიკური ალიანსების ფორმირება (ე.წ. „სტრატეგიული ალყა“⁹, რომელიც ანაკონდას რკალის პრინციპს ეფუძნება) და პეკინის წინააღმდეგობის მიუხედავად, სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვებსა და ინდოეთის ოკეანეში სამხედრო-სტრატეგიული პოზიციების გამყარება (5:4-5).

ამგვარად, „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ ეკონომიკურმა ინიციატივამ, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის პოსტბიპო-

⁹Strategic Encirclement.

ლარული წესრიგი ახლი გამოწვევების წინაშე დააყენა. წარსულის გამოცდილება გვაფიქრებინებს, რომ ნებისმიერი მზარდი სახელმწიფოს მხრიდან არსებული სისტემის გადახედვის ან შეცვლის მცდელობა ინტერესთა კონფლიქტის საფუძველი ხდება. აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში აშშ-ჩინეთის კონფრონტაცია, რეგიონალური სავაჭრო-ეკონომიკური სისტემის დეზინტეგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობების პოლარიზაცია გარდაუვალი იქნება.

Lasha Bazhunaishvili

**„New Silk Road” – Chinese Belt Strategy in Asia-Pacific
Region
Resume**

In 2013 China has revealed „New Silk Road Economic Belt and XXI Century Maritime Silk Road” Global Economic Initiatives. Despite the facts that Government of China insists that “One Road one Belt” project serves only for economic cooperation and intensification of transcontinental trade, great powers and regional actors perceived China’s ambitious global economic vision as attempts to redesign existed economic, military and political order, not only in Asia-Pacific Region, but also in global scale. It’s essential that huge investments, establishment of new global scale financial institutions and also attempts to create new trade system

along Eurasian land mass (“New Silk Road Economic Belt”) and Oceans (XXI Maritime Silk Road) creates basis confronting with old order which formed after the WWII and leading by Western Countries.

” ” -
-

2013

« 21- ».

« , » ,

, , ,
, , ,

- , -
, -

. ,
, ,

გამოყენებული ლიტერატურა

David Dollar, China's Rise as a Regional and Global Power, Journal Horizons (Journal of International Relations and Sustainable Development), issue No4, 2015, pp. 132-172;

One Belt, One Road": China's Great Leap Outward, European Council on Foreign Relations (ECFR), Source: www.ecfr.eu;

Michael D. Swaine, Chinese Views and Commentary on the "One Belt, One Road" Initiative, China Leadership Monitor, Summer 2015: Issue 47. Source: <http://www.hoover.org/research/chinese-views-and-commentary-one-belt-one-road>;

One Belt One Road: Insights for Finland, Team Finland Future Watch Report. Prepared for Tekes by Enright, Scott & Associates, January 2016. Source: <http://china-trade-research.hktdc.com/business-news/article/One-Belt-One->

Road/One-Belt-One-Road-Insights-for-Finland/obor/en/1/1X000000/1X0A5TST.htm;

Robert D. Blackwill and Ashley J. Tellis, Revising U.S. Grand Strategy Toward China, Special Report No. 72, March 2015, Council on Foreign Relations. Source: www.cfr.org.

China-backed AIIB approves \$509 million for first four projects, Fri Jun 24, 2016. Source: <http://www.reuters.com/article/us-china-aiib-idUSKCN0ZA1RW>;

Vision and Action on Jointly Building Silk Road Economic Belt and 21st Century Maritime Silk Road”, Full Text, Source: http://en.ndrc.gov.cn/newsrelease/201503/t20150330_669367.html;

Sajjad Ashraf, AIIB – the Beginning of Economic Challenge to the U.S. Jul 14, 2015. Source: <http://www.chinausfocus.com/>

Vikram Mansharamani, China's Trillion Dollar Silk Road, published Mar 1, 2016

Source: <http://www.pbs.org/newshour/making-sense/china-is-spending-nearly-1-trillion-to-rebuild-the-silk-road/>

**ახალი მსოფლიო წესრიგი ამერიკულ
გეოპოლიტიკაში***ირაკლი გორგილაძე*

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოლიტიკის მეცნიერებებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ტერმინმა „ახალი მსოფლიო წესრიგი“. მართალია გლობალური აქტორების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიებში მისი ფართო გამოყენება დაიწყო, უნდა შევნიშნოთ, რომ მათში ამ ფენომენის კონცეპტუალიზებასრულად არ მომხდარა - „შეთქმულების თეორიების“ სიმრავლემ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ცნებისა და არსის მარგინალიზირება მოახდინა. ამასთან, როგორც მსოფლიო პოლიტიკური პროცესების ანალიზი ცხადჰყოფს, აღნიშნული პარადიგმა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების საკვანძო საკითხს წარმოადგენს და ხელს უწყობს მას მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაში. ამრიგად, ის მსოფლიო მოვლენების „დიდ სურათს“ (“big picture” - აშშ სტრატეგიის ტერმინოლოგიით) ქმნის. ასეთ მოვლენებს შორის იგულისხმება - 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია, 1917 წლის რევოლუცია რუსეთში, ორი მსოფლიო ომი, ცივი ომი, „ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ“ და აშშ სამხედრო ინტერვენციები მსოფლიო მასშტაბით.

მსოფლიო პოლიტიკაში ახალი მსოფლიო წესრიგის პარადიგმის იმპლემენტაცია ერთ-ერთ სიღრმისეულ ტენდენციას წარმოადგენს. ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტური პერიოდიდან ის თავის თავში გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებს მოიცავდა, რომლებიც “novus ordo seclorum” იდეებს ეფუძნებოდა, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ აღნიშნული იდეა ინტერპრეტირებული იქნა როგორც „საუკუნეთა ახალი წესრიგი“ რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულს ამერიკის შეერთებული შტატებისშემქმნელმა მამამთავრებმა ახალი ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედად აქციეს.¹⁰ 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადებამ „ახალი ამერიკული ერას“ სიმბოლიზირება მოახდინა, ხოლო მის აპოგეად Pax-Americanaაქცია.¹¹

პროცესი არსებითად გაჰყვება აშშ ევოლუციას: XVIII საუკუნეში დასავლეთ ნახევარსფეროში იზოლირებული სახელმწიფოდან XX საუკუნის მიწურულისთვის ერთადერთ ზესახელმწიფომდე. აღნიშნული პროცესის ვრცელი ისტორიული ჩარჩოების გათვალისწინებით, რომელიც არაერთ ასწლეულს მოიცავს, მსოფლიო მოვლენების „დიდი სურათი“ შესაძლებე-

¹⁰ Frank Dobbin, Beth Simmons and Geoffrey Garrett, “The global diffusion of public policies: social construction, coercion, competition, or learning?”, *Annual Review of Sociology*, vol. 33, 2007, pp. 449–72;

¹¹ Joseph S. Roucek. *The Geopolitics of the United States*. *The American Journal of Economics and Sociology*. Vol. 14, No. 2 (Jan., 1955), pp. 185-192

ლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ ისტორიული მოზაიკით, რომელიც არაერთ (ომები, რევოლუციები) მოვლენას აერთიანებს. არსებითია, რომ მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისთვის აუცილებელია ისტორიული პროცესის, როგორც ინტეგრირებული მთელის, და არა ცალკეული ელემენტებისა და ფრაგმენტების ქოტური კომპლექსის განხილვა. ახალი მსოფლიო წესრიგის პარადიგმის პანორამული ანალიზი აუცილებელია იმისთვისაც, რომ კარგად იქნას გაგებული მისი არსი, იმპლემენტაციის ხანგრძლივი ისტორია და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში განსაკუთრებული როლი.

პარადიგმის ძირითადი პრინციპი, მსოფლიო ჰეგემონობისკენ სწრაფვაა. ცალკეული მცდელობები რომლებიც მიმართული იყო და არის მსოფლიო ან რეგიონალური დომინირების მიღწევისკენ, ალექსანდრე მაკედონელის, ჩინგიზ ხანის, ნაპოლეონის, ჰიტლერის ეპოქებს უკავშირდება. ისტორიის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მხოლოდ 13 ასწლეულში ჯვაროსნული ლაშქრობებისა და ბიზანტიის ძარცვის შედეგად მოხერხდა დასავლეთში საფინანსო-ეკონომიკური რესურსების აკუმულირება, რამაც იმავდროულად ანგლო-საქსონური ცივილიზაციის ლიდერობა განსაზღვრა. მოგვიანებით, XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა მსოფლიო პოლიტიკის ერთერთი გავლენიანი სუბიექტი - „ანგლო-ამერიკული ისტებლიშმენტი“. ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ქ. კუიგლი ხაზგასმით აფიქსირებს აღნიშნული სუბიექტის საერთაშორისო

სო მოღვაწეობის ქსელურ ხასიათს და მის მნიშვნელოვან როლს ისტორიაში „Pax-Britannica“ და «Pax-Americana» პერიოდში ეს ანგლო-ამერიკული ისტებლიშმენტი, ტრანსნაციონალური ოლიგარქიის მხარდაჭერით, ხელს უწყობდა ახალი მსოფლიო წესრიგის პარადიგმის განვითარებას.¹²

მსოფლიო მოვლენების „დიდი სურათის“ შექმნის კონტექსტში აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ჯერ კიდევ 1648 წლის ვესტფალიის ზავის პერიოდიდან, ზე ნაციონალური სისტემის ფორმირების მთავარ წინააღმდეგობას სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პრინციპი წარმოადგენდა. საერთაშორისო ურთიერთობათა ვესტფალიის სისტემის ტრანსფორმაცია - სუვერენული მონარქიებისა და ნაციონალური სახელმწიფოების სახით - ძირითადად, ომებისა და რევოლუციების ფონზე მიმდინარეობდა. ამ თვალსაზრისით 1789 წლის რევოლუციამ საფრანგეთში მონარქიის ლიკვიდაცია მოახდინა და რუსეთში ნაპოლეონის 1812 წლის სამხედრო კამპანიის წინაპირობა შექმნა. აღნიშნულმა პროცესებმა აგრეთვე ხელი შეუწყო ევროპული რევოლუციების სერიას 1848 წელს. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის და პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაიშალა რუსეთის, გერმანიის, ავსტრო-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერიები. როგორც ს. ჰანტინგტონი აღნიშნავს „დასავლეთმა დაიპყრო სამყარო არა საკუთარი იდეების, ფასეულობებისა და რელიგიური უპირატესობებით, არამედ ორგანი-

¹² Richard Hall. Policy paradigms, social learning, and the state', p. 280.

ზებული ძალადობით. დასავლეთის მცხოვრებნი ხშირად ივინყებენ ამ ფაქტს, არადასავლელები ამას, არ დაივინყებენ არასოდეს“.¹³

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ სამხედრო პოლიტიკური განზომილების მხარდაჭერა განისაზღვრება ნატოს აღმოსავლეთ ექსპანსიით, სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონებში აშშ სამხედრო ინფრასტრუქტურის გაფართოებით (სამხედრო ბაზები, ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემები და ა.შ). მაგალითად, მახლობელი აღმოსავლეთი აშშ-ს სტრატეგიაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განისაზღვრა როგორც „სასიცოცხლო მნიშვნელობის ზონა“. XX საუკუნის 90-იან წლებში ვაშინგტონში შემუშავებული იქნა დიდი მახლობელი აღმოსავლეთის კონცეფცია, რომელმაც არაბული სამყაროს, ირანის, ისრაელისა და თურქეთის გარდა ტრანსკავკასიური რეგიონი და ცენტრალური აზიის დასავლეთი ნაწილი მოიცვა. გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, კავკასიის რეგიონს, აშშ საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის რეალიზებისას საფუძვლად „სტრატეგიული ენერგეტიკული ელიფსი“ უდევს, რომლის საზღვრებში სხვადასხვა მონაცემებით მსოფლიო ენერგეტიკული რესურსების 70 პროცენტია კონცენტრირებული. „ახალი მსოფლიო წესრიგის“ კონტექსტში აღნიშნულმა ფაქტორებმა

¹³David Marsh and Jason C. Sharman, 'Policy diffusion and policy transfer', Policy Studies 30: 3, 2009, pp. 269–88.

რიგი გეოპოლიტიკური (გესტრატეგიული/გეოეკონომიკური) ტრანსფორმაციები გამოიწვია.

ამერიკული ისტებლიშმენტის ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურაზბიგნეებჟეზინსკიტავისდროზეაღნიშნავდა, რომ ამერიკული სტრატეგია უნდა გავრცელდეს მთელს ევრაზიაზე. იგიმიუთითებს შავი ზღვა-კასპისპირეთის რეგიონის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მას “ევრაზიულ ბალკანეთს” უწოდებს. “ევროპაში სიტყვა “ბალკანეთი” ინვეს ეთნიკური კონფლიქტებისა და რეგიონში ძლიერი სახელმწიფოების მეტოქეობის ასოციაციას. ევრაზიას ასევე გააჩნია თავისი “ბალკანეთი”, თუმცა, “ევრაზიული ბალკანეთი“ გაცილებით დიდია, უფრო მჭიდროდაა დასახლებული და მეტი ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა¹⁴. ბჟეზინსკისაზრით, აშშ, რომელმაც ფსონი პოსტსაბჭოთა ევრაზიაში გეოპოლიტიკური პლურალიზმის შენარჩუნებაზე დადო, დაინტერესებულია არა მარტო ამ რეგიონის რესურსებით, არამედ მის გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთის დომინირების აღკვეთით.

1997 წლის მოხსენებაში - ახალი ამერიკული ასწლეული - აღნიშნულია, რომ „ტრანსფორმაციის პროცესი, თუნდაც ის რევოლუციური ცვლილებების მომტანი იყოს, ყველა აღბათობით ხანგრძლივი იქნება თუ რა თქმა უნდა რაიმე კატასტრო-

14

... , 1997, .149.

ფული და კატალიზატორული მოვლენა არ იჩენს თავს - ვთქვათ, ახალი პერლ ხარბორი.

მოცემულ პრიზმაში ცხადია, რომ ვაშინგტონისთვის სამხრეთ ტრანსკავკასიურ რეგიონში გეოპოლიტიკური ინტერესები გაცილებით ფასეულია, ვიდრე ეკონომიკური. რეგიონი მდებარეობს ევრაზიის კონტინენტზე, აშშ-ის სამი კონკურენტის - რუსეთის, ირანისა და ჩინეთის გარემოცვაში, აქ საკუთარი კონტროლის დანესების შემთხვევაში, ვაშინგტონს საშუალება მიეცემა, მოიპოვოს დომინირებული მდგომარეობა ხუთ ზღვას შორის (შავი ზღვა, ხმელთაშუა ზღვა, კასპიის ზღვა, სპარსეთის ყურე და მასთანმიმდებარე არაბეთის ზღვა) და მთელს კონტინენტზე. რაც შეეხება ჩინეთს, ანალიტიკოსთა საკმაოდ სოლიდური ნაწილის მიერ, ის განიხილება როგორც აშშ-ის ძირითადი გეოპოლიტიკური და, შესაძლოა, გლობალური მეტოქე XXI საუკუნეში.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ გასულ საუკუნეში ეს რეგიონი არასოდეს ყოფილა „განებივრებული“ განსაკუთრებულად დიდი საერთაშორისო ყურადღებით. სამხრეთ კავკასიის საკითხით დაინტერესება, ხშირ შემთხვევაში, ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა და უმეტესწილად ბალკანეთში განვითარებული მოვლენების ჩრდილში ექცეოდა. საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით კი აშშ-ის ინტერესმა კავკასიის მიმართ დაიწყო პერმანენტული ზრდა XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან და ამ ტენდენციამ თავისი

გაგრძელება XXI საუკუნეშიც ჰპოვა. ასე მაგალითად, 1997წლის აგვისტოში აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ტრანსკავკასიური რეგიონი აშშ-ის ეროვნული ინტერესების ზონად გამოაცხადა. ხოლო კიდევ უფრო ადრე (თებერვალში), სენატორმა რობერტ ბირდმა თავის გამოსვლაში „ამერიკული პოლიტიკა კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით“, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები ვაშინგტონის სტრატეგიულ პარტნიორებად დაასახელა. 2002 წელს აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამფსმელდმა განაცხადა, რომ აშშ-ის ინტერესები კავკასიაში იზრდება და ვაშინგტონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ რეგიონის სტაბილიზაციის საკითხს, ისევე, როგორც თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოსთან.

პარადიგმის პანორამული ანალიზი ცხადყოფს, რომ ის ითვალისწინებს შესაძლებელი მოქმედებებისა და მანიპულაციების ნახალისებას იმისათვის, რათა არ მოხდეს აშშ მტრულად განწყობილი კოალიციის ფორმირება. საშუალოვადიან პერსპექტივაში, ზემოაღნიშნულმა თანდათან ადგილი უნდა დაუთმოს იმ საკითხს, რომლის გადაწყვეტის დროსაც, მეტწილად აქცენტი გაკეთდება ისეთი მნიშვნელოვანი დასტრატეგიული თვალსაზრისით შესაფერისი პარტნიორების გაჩენაზე, რომლებიც აშშ-ის ხელმძღვანელობით ხელს შეუწყობენ უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნას. გრძელვადიან პერსპექტივაში, ყოველივე ზემოაღნიშნულმა თანდათანობით უნდა

მიგვიყვანოს რეალურად ერთობლივი პოლიტიკური პასუხისმგებლობის მსოფლიო ცენტრის ჩამოყალიბებამდე.¹⁵ ზბიგნეე ბჟეზინსკის მიაჩნია, რომ ევრაზიის გეოპოლიტიკური პლურალიზმის სტაბილურობა, რომელიც გამოორიცხავს რომელიმე ერთი სახელმწიფოს დომინირებას, უნდა გამტკიცდეს ტრანსევრაზიული უსაფრთხოების სისტემით, რაც, მისივე თქმით, 21-ე საუკუნის პირველ ნახევარში მოხდება. ჩვენის აზრით, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები უკვე იმყოფება იმ ეტაპზე, როდესაც იგი აქტიურად მუშაობს ხსენებული ტრანსევრაზიული უსაფრთხოების სისტემის ფორმირების საკითხზე, ხოლო სამხრეთ კავკასიის რეგიონი კი ვაშინგტონის მიერ უდაოდ განიხილება, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკვანძო რგოლი ამ სისტემაში.

ამრიგად, ახალი მსოფლიო წესრიგის პარადიგმის იმპლემენტაცია ხორციელდება გეოპოლიტიკური დოქტრინებისა და პრინციპების შესაბამისად, რამაც ბევრად განსაზღვრა აშშ დომინირება კავკასიის რეგიონში. ანგლო-საქსონური გეოპოლიტიკური აზრის მამამთავრებმა ალფრედ მეხენმა, ფრედერიკ ტერნერმა, ხელფორდ მაქინდერმა, ნიკოლას სპიქმენმა თეორიული საფუძვლები მოუმზადეს აშშ გეოპოლიტიკურ ექსპანსიას აქ. მათ შორის განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს უერთიერთშემავსებელი კონცეფციები: ა. მეხენის

¹⁵

, დასახ. ნაშრომი. გვ. 235.

საზღვაო ძალა რომელიც ანაკონდის ანუ კონტინენტალური სივრცის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო მოხრჩობის პრინციპს ეფუძნება; თერნერის „მოძრავი საზღვრები“; მაქინდერის „ჰართლენდი“ და სპაიქმენის „რიმლენდი“.

პენტაგონის 1992 წლის 18 თებერვლის გახმაურებულ დოკუმენტში „თავდაცვითი პოლიტიკის სახელმძღვანელო 1994-1999 წწ საფინანსო პერიოდისთვის“ რომელიც აშშ ერთ ერთი ნეოკონსერვატორი სტრატეგის პ. ვულფოვიცის მიერ იქნა მომზადებული აღნიშნული იყო, რომ: „აუცილებელია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ახალი მეტოქის გაჩენის შესაძლებლობების აღმოფხვრა, რომელიც ისეთივე წესრიგის საფრთხეს შექმნის იქ როგორსაც თავის დროს საბჭოთა კავშირი ქმნიდა“. ამიტომ, „აუცილებელია ისეთი მექანიზმების მხარდაჭერა რომელიც მაქსიმალურად შეაკავებს პოტენციურ მონინაალმდეგებს რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა

Frank Dobbin, Beth Simmons and Geoffrey Garrett, ‘The global diffusion of public policies: social construction, coercion, competition, or learning?’, Annual Review of Sociology, vol. 33, 2007

Joseph S. Rousek. The Geopolitics of the United States. The American Journal of Economics and Sociology. Vol. 14, No. 2 (Jan., 1955)

Richard Hall. Policy paradigms, social learning, and the state.

David Marsh and Jason C. Sharman, 'Policy diffusion and policy transfer', Policy Studies 30: 3, 2009

Збигнев Бжезинский, Великая шахматная доска. М., 1997

„

«

».

,

,

—

«

»

«

»

.

,

,

-

.

**საბერძნეთ-ოსმალეთის ომი და
ქართული პრესა***კახაბერ სურგულაძე*

საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობების ისტორიაში ერთ-ერთ საინტერესო ფაქტად რჩება 1897 წლის საბერძნეთ-ოსმალეთის ომის მიმართ ქართული საზოგადოების პოზიცია, რაც გამოიხატა საპროტესტო აქციებით თუ საბერძნეთის არმიაში ვოლონტიორებად მონაწილეობის სახით.

1897 წლის საბერძნეთ-ოსმალეთის სამხედრო კამპანია ისტორიაში ცამეტდღიანი ომის სახელით არის ცნობილი. მართალია ამ ომში ბერძნები დამარცხდნენ, მათ დაეკისრათ კონტრიბუციის გადახდა, მაგრამ ევროპელი სახელმწიფოების ჩარევით ოსმალეთიც იძულებული გახდა დათანხმებულიყო კრეტისთვის თვითმმართველობის სტატუსის მიცემაზე.

საბერძნეთ-ოსმალეთის ომმა რეზონანსი გამოიწვია ევროპის სახელმწიფოებში. ცხადია, მისდამი დაინტერესება გაჩნდა ქართულ საზოგადოებაშიც. აშკარა იყო, რომ რელიგიური ფაქტორის გარდა, მხედველობაში მისაღები იყო ცარიზმის მმართველი წრის პოზიცია და ორივე ერის თანმხვედრი პრეტენზიები ოსმალელების მიმართ.

ბერძნებისადმი ქართველთა თანადგომა გამოვლინდა პერიოდულ პრესაში საზოგადოებისთვის საომარი ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, ქართული სათვისტომოს მხრივ პეტერბურგში მხარდამჭერი საპროტესტო მიტინ-

გების ორგანიზებით და საბერძნეთის არმიაში ვოლონტიორებად მონაწილეობის ფორმით. წინამდებარე სტატიაში მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ საბერძნეთ-ოსმალეთის ომის პერიპეტეიების ქართულ პერიოდულ პრესაში გაშუქების საკითხზე.

საერთოდ, გვინდა შევნიშნოთ, რომ XIX ს-ის მინურულს, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს უკვე აქტიურად ეხმიანებოდა ქართული პრესა („ივერია“, „კვალი“...). განსაკუთრებით თუკი საკითხი ეხებოდა ჩაგრულ ერებს. სწორედ პრესის დამსახურება იყო ქართული საზოგადოებაში ეროვნული ცნობიერების გაზრდა და ქართველების მონაწილეობა ბურების, ბერძნების თუ მსოფლიოს სხვა ხალხების სამართლიან ომებში.

საბერძნეთ-ოსმალეთის ომის შესახებ ქართულ პერიოდულ პრესაში ინფორმაციები ძირითადად იხვედებოდა რუსული და ევროპული გაზეთებიდან. ასევე ცნობები მოდიოდა სტამბულიდანაც. ომზე ვრცელი წერილების ავტორები იყვნენ გიორგი წერეთელი („მაზაკვალი“), ნიკო ნიკოლაძე. იოსებ მეხუზა („იასე რაჭველი,“) და სხვ. ასე მაგ., ნ.ნიკოლაძე „მოამბეში“ 1894-1897 წლებში განაგებდა საშინაო და საგარეო პოლიტიკური მიმოხილვის განყოფილებას. ჩვენი აზრით, ნ.ნიკოლაძის წერის სტილიდან გამომდინარე, მისი უნდა ყოფილიყო ამ ჟურნალში 1897 წელს (3-5) გამოქვეყნებული ვრცელი წერილები კუნძ. კრეტაზე მიმდინარე ბერძენთა ამბოხების შესახებ [სურგულაძე, 1986:75]].

კორესპოდენტებს შორის გვინდა დავასახელოთ ილია ჭავჭავაძეც. ფაქტია, რომ მისი რედაქტორობით გამომავალ

„ივერიაში“ საერთაშორისო ცხოვრების შესახებ ხელმოუწერლად დაბეჭდილი სტატიები უშუალოდ მის კალამს ეკუთვნოდა. მაშასადამე, „ივერიაში“ საბერძნეთ-ოსმალეთის ომზე უავტოროდ გამოქვეყნებული მასალა ი.ჭავჭავაძის დანერვილია [ჭავჭავაძე, 1957:319].

უნდა ითქვას, რომ პრესაში ძირითადად სწორად გამოქვდა ომის წარმოშობის მიზეზები. მაგ., „მოამბე“ წერდა, რომ „კრეტელი ბერძნები აუჯანყდნენ ოსმალს და საბერძნეთთან შეერთების სურვილი განაცხადეს“. მაშინ „საბერძნეთმა... მოძმეთა დახმარება მოინდომა“ (3, 1897), რასაც კიდევ მოჰყვა ომი. პრესის შეფასებით ბერძნებისთვის ეს ომი იყო სამართლიანი, რადგან საქმე ეხებოდა „სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლას“. თუ 1921-1929 წლებში „ბერძნებს სურდათ თავიანთი სამშობლოს ოსმალთა მფლობელობისგან განთავისუფლება“, ახლა ცდილობენ „საბერძნეთს შემოუერთონ ის ადგილები, რომლებიც ჯერ კიდევ ოსმალების მონობის ქვეშ არიან“ („ივერია“, 11, 1897).

პრესაში შენიშნულია ომის დაწყებით გამოწვეული ბერძენთა პატრიოტიზმი. მაგ., „ივერია“ წერდა, რომ „ხალხისგან დიდძალი შემოწირულება მოსდის მთავრობას, როგორც ჯარის შესათოფიარალებლად, ისე კრეტელი მემბოხეთა დასახმარებლად... თუ საჭიროება მოითხოვს, ყველა ბერძენი წლოვანებისა და წოდების განურჩევლად, საერთო საქმისთვის ბრძოლის ველზე გამოვა“ (55, 1897). 5 მარტს კი „ივერია“ იუწყებოდა, რომ „საბერძნეთის მთავრობამ რუსეთში მყოფ ყველა თავის ქვეშევრდომს , რომელთაც წლოვანება

ჯარში ნასვლის ნებას აძლევს, ბრძოლისკენ მოუწოდა და ეს მოწოდება მათ დიდი ალტაცებით მიიღეს“ (40, 1897).

კორესპოდენციაში „სამშობლოსათვის თავგანწირული ქალი“ გაზ. „კვალი“ აღწერდა „ბერძენთა ჟანა დარკად“ წოდებულ ელენე კონსტანტინიდის მამაცობას: „ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა მეომარი თაოსნობს სამი ათას თავგანწირულ ბერძენს. ის არის თბილისელი ბერძენი კბილის ექიმის ასული, რომელიც ამ ცოტა ხანში ბათუმში გადასახლდა და ემზადებოდა სამშობლო მხარეში გამგზავრებას. ის ბათუმშივე სწავლობდა იარაღის ხმარებას... მორთულია კაცურად, ქუდზე საბერძენეთის სამხედრო ნიშანი აკერია, ხელსი უჭირავს დროშა, ცხენზე ზის და მუდამ წინ უძღვის თავისუფალ მეზობლთ“ (19, 1897).

პრესაში ვრცლად იყო აღწერილი სხვადასხვა საომარი ბატალიები, ბერძენთა წარმატება-წარუმატებლობები, ბძოლებში გაღებული მსხვეპლის რაოდენობის შესახებ მოტანილი იყო სტატისტიკური მასალა და ა.შ განმარტებული იყო ბერძენთა მარცხის მიზეზებიც (გენერალიტეტის პასიურობა და ა.შ). შენიშნული იყო ობიექტური, ამ შემთხვევაში საერთაშორისო გარემოებებიც. ასე მაგ., სტატიაში „საბერძენეთ-ოსმალეთის ომი“ კითხვაზე „ვინ დაამარცხა საბერძენეთი“ გიორგი წერეთელი პასუხობდა: „საბერძენეთი დაამარცხა მხოლოდ გერმანიამ, რომელიც... არის ევროპის სახელმწიფოების კონცერნის ნამდვილი შემდგენი და მეთაური“ (21, 1897). ამ დასკვნას გ.წერეთელი აკეთებდა ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკის ანალიზის და გერმანია-ოსმალეთის ურთიერთობიდან გამომდინარე. იგი ხედავდა, რომ „სამხედრო მასა-

ლის დამზადება ოსმალებმა გერმანიის ქარხნებს შეუკვეთა“. მოწინავე ტექნიკის გამოყენებამ კი ოსმალებს ომის წარმოება გაუადვილათ, ხოლო თვით გერმანელებს „ორმოცი მილიონი მარკა მოგება მოუტანა“ (43, 1897).

დასასრულ, შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადად ასეთი იყო პრესაში საბერძნეთ-ოსმალეთის ომის პერიპეტიების გაშუქება. საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ჩაგრულ ერების ბრძოლებზე იყო ის ერთ-ერთი ბერკეტი, რითაც ხდებოდა ქართული საზოგადოებაში ეროვნული ცნობიერების გაზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

- კ.სურგულაძე, საბერძნეთის არმიის ქართველი ვოლონტიორები, ბათ., 3, 1986, გვ. 71-75;
ი.ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 9, თბ., 1957;

-

-

1897 ,

,

(« »)

Kakhaber Surguladze

Greek-Ottoman war and Georgian press

Resume

The article is about 1897 Greek-Ottoman war and it shows how this war was described in periodical press (“Iveria”).

It is noted that by means of press society’s attention was attracted to the wars of suppressed nations in order to raise national awareness of Georgian society.

„არაბული გაზაფხული“ თუნისში*ლამზირა ხიდემელი*

2011 წელს ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები რევოლუციებმა მოიცვა. დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებში ამ პროცესებმა „არაბული გაზაფხულის“ სახელწოდება მიიღო. თავდაპირველად მოვლენები თუნისში დაიწყო, გადაინაცვლა ლიბიაში, ეგვიპტეში და შემდეგ აღმოსავლეთში. თუნისსა და ლიბიაში ამ პროცესებმა ადგილობრივი რეჟიმების დამხობა გამოიწვია, მავრიტანიასა და მაროკოში კი შედარებით მშვიდად განვითარდა და ძირეული ცვლილებები პოლიტიკურ მონყობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მოჰყოლია. მალრიბში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი ამ ქვეყნების ლიდერების მიერ გატარებული არაეფექტური პოლიტიკა და მმართველობაში მათი ხანგრძლივი ყოფნა იყო.

თუნისში ე.წ. „უასმინის რევოლუციის“ საბაბი 26 წლის თუნისელის - მუჰამად ბუაზიზის თვითმკვლელობა გახდა. ამით მან გამოხატა პროტესტი ადგილობრივი ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ. მომხდარმა საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია და მალე თუნისის პრეზიდენტის ზინა ალ-აბედინ ბენ ალის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტში გადაიზარდა. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს და გააქტიურდნენ ისლამისტები. ისინი განსაკუთრებულ პროპაგანდას

ენოდნენ ახალგაზრდებში, ანცობდნენ დემონსტრაციებს, მოუწოდებდნენ მოსახლეობას ჩაბმულიყვნენ პოლიტიკურ ბრძოლაში. 2010-2011 წლებში მიმდინარე პროცესებს შეეწირა 220 და დაიჭრა 500 ადამიანი. 2011 წლის 14 იანვარს პრეზიდენტმა ზინა ალ-აბედინ ბენ ალიმ ქვეყანა დატოვა. დაიწყო დაპირისპირება საერო მმართველობის მომხრეებსა და ისლამისტებს შორის. საჭირო იყო ახალი კონსტიტუციის შემუშავება, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რათა დასრულებულიყო 2.5 წლიანი მწვავე პოლიტიკური კრიზისით გამონვეული გარდამავალი პერიოდი. გააქტიურდა რადიკალური ისლამისტური ორგანიზაცია „ალ-ქაიდა მუსლიმურ მალრიბში“, რომელიც 1997 წელს ალჟირში დაარსდა.

2011 წლის 23 ნოემბერს თუნისში ეროვნული დამფუძნებელი ასამბლეის არჩევნები ჩატარდა. მისი უმთავრესი ამოცანა ახალი კონსტიტუციის ტექსტის შემუშავება იყო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოყალიბება, ქვეყნის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოწყობა „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ზომიერმა ისლამისტურმა მოძრაობამ „ან-ნაჰდამ“ (ალორძინება), მან მიიღო 217 მანდატიდან 91. მასვე დაევალა ქვეყნის დროებითი ხელმძღვანელობა და ერთი წლის მანძილზე კონსტიტუციის ტექსტის შემუშავება. ამ პერიოდში უნდა მომზადებულიყო საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. „ან-ნაჰდას“

მეთაურმა რაშიდ ლანუშიმ პირობა დადო, რომ ერთ თვეში ჩამოაყალიბებდა და სათავეში ჩაუდგებოდა გარდამავალ ხელისუფლებას. პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე წამოაყენეს „ან-ნაჰდას“ მოძრაობის მეორე ლიდერის ჰამდი ალ-ჯებაილის კანდიდატურა, რომელმაც 16 წელი გაატარა საპატიმროში ექსტრემიზმის ბრალდებით. მან პრემიერ-მინისტრად არჩევის შემთხვევაში პირობა მისცა მოსახლეობას, რომ დაიცავდა აღმსარებლობის თავისუფლებას, რელიგიური უმცირესობების უფლებებს და ასევე შეუნარჩუნებდა ქალებს იმ უფლებებსა და თავისუფლებას, რომელიც მათ გამოარჩევდათ სხვა არაბული ქვეყნების ქალებისაგან.

არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა მემარცხენე-ცენტრისტულმა პარტიამ „რესპუბლიკურმა კონგრესმა“ (მან მიიღო 30 მანდატი, ხმების 13/82 %). პარტიის ლიდერი - ყოფილი დისიდენტი მონსეფ მარზუკი. მესამე ადგილი მიიღო „დემოკრატიულმა ფორუმმა“ (21 მანდატი, ხმების 8/78 %). „პროგრესულმა დემოკრატიულმა პარტიამ“, რომელსაც „ან-ნაჰდას“ სერიოზულ მონინალმდეგად ითვლებოდა, მხოლოდ 17 მანდატი დაისაკუთრა.

2011 წლის დეკემბერში ეროვნულმა დამფუძნებელმა ასამბლემ მიიღო „მინი-კონსტიტუცია“, რომელმაც განსაზღვრა სახელმწიფოს პირველი პირების უფლებამოსილება. სახელმწიფოს დროებით მეთაურად და უმაღლეს მთავარსარდლად აირჩიეს „რესპუბლიკური კონგრესის“ პარტიის

ლიდერი მონსეფ მარზუკი, პრემიერ-მინისტრად მან დანიშნა ჰამდი ალ-ჯებალი. ახალმა პრემიერ-მინისტრმა ჩამოაყალიბა კოალიციური მთავრობა 41 ადამიანისგან: 30 მინისტრი და 11 მდივანი, მათ შორის 2 ქალი. საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში ჩაუდგა რაშიდ ლანუშის სიძე - რაფიკ ბენ აბდესალამი. მთავრობის წევრების უმეტესობას შეადგენდნენ ისლამისტები, რომელთა უმრავლესობა პოლიტიკა-ტიმარი იყო და არ ჰქონდა სამინისტროებში მუშაობის გამოცდილება.

მთავრობას უნდა გადაეწყვიტა ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები, გაეთავისუფლებინა ქვეყანა ზინა ალ-აბედინ ბენ ალის მმართველობის მძიმე შედეგებისგან, განესაზღვრა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, შეეკავშირებინა მთავრობის ყველა შტოს საქმიანობა, გაეტარებინა ღონისძიებები მოსახლეობის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად.

მდგომარეობა ქვეყანაში არასტაბილური იყო, არსებობდა სამხედრო გადატრიალების საშიშროება, მიმდინარეობდა დემონსტრაციები მინისტრთა კაბინეტის გადადგომის მოთხოვნით. 2014 წლის 14 ოქტომბერს მმართველმა კოალიციამ „ან-ნაჰდას“ მეთაურობით საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების თარიღები გამოაცხადა. პირველი ტური უნდა ჩატარებულყო 2013 წლის 23 ივნისს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მეორე - 2013 წლის 7 ივლისს. ამასთანავე

გამოცხადდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები იქნებოდა საყოველთაო და პირდაპირი. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მონსეფ მარკუზი უნდა გადამდგარიყო ქვეყნის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან. მაგრამ არჩევნები დანიშნულ ვადაში არ ჩატარებულა.

2011-2013 წლებში თუნისში მიმდინარე პროცესებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ სახელმწიფო მეთაურის, მთავრობის, საპარლამენტო ფრაქციების თავჯდომარეების შეცვლა. საჭიროა სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკების დროული და უმტკივნეულო შეცვლა, ახალგაზრდა, პერსპექტიული ლიდერების გამოვლენა და მათი წინ წამოწევა. არჩევნებში გამარჯვებული თუნისის ახალი ხელისუფლება, უპირველეს ყოვლისა „ან-ნაჰდას“ პარტია ჯერ კიდევ 2011 წლის ნოემბერში მიხვდა ყოველივე ამას, ამიტომაც დანიშნა სახელმწიფოს მეთაურად „რესპუბლიკური კონგრესის“ პარტიის ლიდერი მონსეფ მარზუკი, რომელიც ქვეყანაში ცნობილი უფლებადამცველი, თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის მებრძოლი იყო. მას თუნისელთა 60% დაუჭირა მხარი.

2014 წლის 26 იანვარს ეროვნულმა დამფუძნებელმა ასამბლეამ ხმების აბსოლიტური უმრავლესობით მიიღო მის მიერვე შემუშავებული ახალი (ქვეყნის ისტორიაში მეორე) დემოკრატიული კონსტიტუცია. მას ხელს აწერდნენ პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავჯდომა-

რე. 27 იანვარს ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა. თუნისი გამოცხადდა საერო სახელმწიფოდ, პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით, დამტკიცდა ახალი უპარტიო მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით. მისი უმთავრესი ამოცანა გახდა უმოკლეს დროში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, ქვეყნის მწვავე კრიზისიდან გამოყვანა, შიდაპოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია. ახალი კონსტიტუციის მიღება და მთავრობის ფორმირება თუნისში საერთაშორისო საზოგადოებას დემოკრატიულ პროცესად მიაჩნია. ამ ფაქტით, კმაყოფილება გამოხატა გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა.

ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, 2014 წლის 26 ოქტომბერს თუნისში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, 217 მანდატიდან 85 მოიპოვა საერო პარტიამ „ნიდაა თუნისმა“ (თუნისის ხმა), ისლამისტურმა პარტიამ „ან-ნაჰდამ“, რომელიც ქვეყნის სათავეში „ჟასმინის რევოლუციის“ მოვლენების შედეგად მოვიდა, მოიპოვა 69 მანდატი და არჩევნებში დამარცხება აღიარა.

პარტია „ნიდაა თუნისი“ შეიქმნა 2012 წელს, მისი დამფუძნებელია პოლიტიკოსი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი (2011 წლის 27 თებერვლიდან - 24 დეკემბრამდე) 88 წლის ბეჯი საიდ ესებსი. არჩევნებში საერო ძალების გამარჯვებით, სამხედროების პალიტიკაში ჩაურევლობით, თუნისმა შეძლო თავიდან აეცილებინა ეგვიპტური სცენარი, სადაც ისლამის-

ტების ხანმოკლე მმართველობა პრეზიდენტ მუჰამად მურსის ჩამოგდებით დასრულდა. რის შემდეგაც ეგვიპტეში პარტია „მუსლიმიძმები“ კანონგარეშედ გამოცხადდა და ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი კვლავ გრძელდება.

2014 წლის ბოლოს, „უასმინის რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში პირველად ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. მეორე ტურის შედეგად, თუნისის ახალი პრეზიდენტი გახდა პატრცია „ნიდაა თუნისის“ ლიდერი - ბეჯჯი საიდ ესებსი, რომელმაც მხოლოდ 6%-ით გაუსწრო მონსეფ მარკუზის, რომელიც 2011 წლიდან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო.

თუნისის რევოლუციიდან ხუთი წელი გავიდა, ქვეყანას აქვს თანამედროვე კონსტიტუცია, ჰყავს არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი. 2015 წლის 5 თებერვალს პარლამენტის 217 დეპუტატიდან 166-მა ხმა მისცა ახალი კოალიციური მთავრობის არჩევას. მიუხედავად ამისა, სიტუაცია ქვეყანაში ვერ დასტაბილურდა. 2015 წლის 18 მარტს შეიარაღებული ტერორისტები თავს დაესხნენ თუნისის დედაქალაქში, პარლამენტის შენობის გვერდით მდებარე ბარდოს მუზეუმს. დაიღუპა 23 ადამიანი, მათ შორის 11 უცხოელი ტურისტი, 3 თუნისელი და 2 ტერორისტი. ივნისში კიდევ ერთი, თუნისის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტი განხორციელდა, სასტუმროზე თავდასხმის შედეგად დაიღუპა 38 ადამიანი, 40 კი დაიჭრა. თუნისის მთავრობამ ქვე-

ყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, პარლამენტმა შეიმუშავა ანტიტერორისტული კანონი, პარლამენტში შემაჯავალი ყველა პარტია შეთანხმდა, რომ დემოკრატიულ სისტემას ალტერნატივა არა აქვს.

თუნისი დღეს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოა მსოფლიოში. ქვეყნის კოალიციური მთავრობის წინაშე ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა, მათ შორის მუნიციპალიტეტებისა და პროვინციების საზღვრების დადგენა, დემოკრატიული რეფორმების გატარება, სიღარიბის დაძლევა, უმუშევრობის აღმოფხვრა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ. „ჟასმინის რევოლუციის“ მონაპოვარია მშვიდობის დარგში ნობელის პრემია, რომლითაც ნობელის კომიტეტმა თუნისის ეროვნული დიალოგის კვარტეტი დააჯილდოვა. აღნიშნულმა „ოთხეულმა“ 2011 წლის რევოლუციის შემდეგ თუნისის დემოკრატიზაციის გზაზე გადამწყვეტი როლი ითამაშა. თუნისური კვარტეტი ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან შედგება. ოთხეულმა პოლიტიკური პროცესის მშვიდობიანი წარმართვა მოახერხა, მაშინ, როდესაც ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზე იყო. მან დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუამავლის როლი წარმატებით შეასრულა და ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფრთხეს აარიდა.

დღევანდელი თუნისი არ შეიძლება ჩაითვალოს სტაბილურ სახელმწიფოდ, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე დემოკ-

რატიულმა ცვლილებებმა აჩვენა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა არაბულ - ისლამურ ქვეყანაშიცაა შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

ლ. ხიდეშელი, მუსლიმი ფუნდამენტალისტების გასამართლება ალჟირსა და თუნისში, პოლიტოლოგიის საკითხები, 2(4), თსუ, 2003.

ლ. ხიდეშელი, ისლამისტები და სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობა თუნისში XX ს-ის 80-90-იანი წლების მიჯნაზე, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები, თსუ, 1994.

ლ. ხიდეშელი, ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესი თუნისში, ორიენტალისტური ძიებანი 3-4, თსუ, 1995.

ლ. ხიდეშელი, მალრიბის ქვეყნები დემოკრატიის განვითარების გზაზე, სამეცნიერო ნარკვევები ისტორია-ფილოლოგია, თსუ, 2005.

www.nawaat.org

www.sciencespo.fr

www.perspektivy.info

www.dw.com.ru

www.aljazeera.net

« »

2011

, « ».

, , , , , .

« » ,
- . 23

2011

,
« -
» ().

« »
. 2011-2013 .
. 26 2014

,
», - « - »

.
« » 88-

- .

Lamzira Khidesheli
„Arabic Spring“ in Tunisia

Resume

In 2011 revolutionary wave covered countries of northern Africa, called these processes “Arabic Spring of Revolution”. Events began in Tunisia, followed in Libya, Egypt and later in the East. As the situation in Maghreb showed, reason of the population being unsatisfied was the ineffective politics of leaders of these countries and their long time spent in the government.

After the so called “Jasmine Revolution” in Tunisia, president of the Country, Zine El Abidine Ben Ali left the country. In 2011, on November 23, the National Constituent Assembly elections was won by the moderate Islamic Movement, “An - Nahda ” (revival). Monsep Marzuki was elected as a “Republican Congress” Party leader. Events that took place in 2011-2013 could not lead the country to stable situation. On January 26, 2014 the Assembly issued second democratic constitution in the history of Tunisia based on which parliamentary elections were held by the end of year, where public

party “Nidaa Tunis” won the elections and Islamic “An-Nahda” claimed itself as a lost. “Nidaa Tunisia” leader 88 year old Baji Said Esebsi won the second tour of Presidential elections. Democratic changes in Tunisia showed that democratic state can also be built in Arabic-Islamic country.

**საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის
მოძრაობა: პირველი ნაბიჯები***ზაზა ბურკაძე*

1940 წლის 22 ივნისს, მას შემდეგ, რაც საფრანგეთსა და გერმანიას შორის დაზავების ხელშეკრულება იქნა ხელმოწერილი, საფრანგეთი ორ, ჩრდილოეთის და სამხრეთის ზონად გაიყო. ჩრდილოეთის ზონა გერმანელთა მიერ იქნა ოკუპირებული, ხოლო სამხრეთის თავისუფალი ზონა, ქალაქ ვიშიში დამკვიდრებულ მარშალ პეტენის მთავრობის კონტროლს დაექვემდებარა. კაპიტულაციის შემდეგ მარშალმა პეტენმა საფრანგეთში დიქტატორული მმართველობა დაამყარა. 1940 წლის 10 ივლისს ვიშიში შეკრებილმა პარლამენტმა პეტენს „სახელმწიფოს მეთაურის“ წოდება და განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა და თავი დაშლილად გამოაცხადა. ეს ფაქტობრივი სახელმწიფო გადატრიალება ვიშის ხელისუფლებამ „ნაციონალურ რევოლუციად“ მონათლა, რასაც საფრანგეთში „ახალი წესრიგის“ დამყარება და ფრანგი ერის აღორძინება უნდა მოჰყოლოდა. ვიშის მთავრობა დემაგოგიურად აცხადებდა, რომ საფრანგეთის მიერ განცდილი სამხედრო მარცხი იმ პოლიტიკური ქაოსით იყო გამოწვეული, რაც მესამე რესპუბლიკაში 30-იან წლებში, განსაკუთრებით კი სახალხო ფრონტის მმართველობის პერიოდში სუფევდა. ახლა კი, ამ კატასტროფის შემდეგ, საჭირო იყო

შეცდომების აღიარება, ძლიერი ხელისუფლების შექმნა და ერის მთელი ძალების მობილიზება, რათა საფრანგეთს გერმანიის ეგიდით შექმნილ ახალ ევროპაში საპატიო ადგილი დაეკავებინა. (1, გვ.40)

მაგრამ განცდილმა სამხედრო მარცხმა და ოკუპაციამ ვერ გატეხა ფრანგი ხალხის ნება. 1940 წლის ზაფხულშივე საფრანგეთში ჩამოყალიბებას იწყებს წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც როგორც გერმანელი ოკუპანტების ისე ვიშის მთავრობის კოლაბორაციონისტული პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული.

იმ ადამიანთა დიდი უმრავლესობა, რომელიც წინააღმდეგობის მოძრაობაში თავიდანვე ჩაერთო, სამხედრო წრეებს არ წარმოადგენდა. ისინი იყვნენ ჩვეულებრივი, სხვადასხვა პროფესიის და სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების სამოქალაქო პირები, რომლებსაც აერთიანებდათ პატრიოტიზმი და რომლებიც სიცოცხლის რისკის ფასად ცდილობდნენ სამშობლოს განთავისუფლების საქმეში თავიანთი მაქსიმალური წვლილი შეეტანათ.

წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლებს მეტად ძლიერ ძალასთან მოუწიათ შეჯახება. ეს იყო გერმანელ ოკუპანტთა სპეციალური პოლიცია_გესტაპო, რომელიც ნაცისტური იდეოლოგიისადმი ფანატიკურად ერთგულ პროფესიონალთაგან შედგებოდა. ბრძოლა აშკარად უთანაბრო იყო. თუმცა წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლთა პატრიოტული აღტკინება ხშირად ახდენდა მათი გამოუცდელი-

ბის კომპენსაციას, რის შედეგადაც ისინი (მართალია დიდი მსხვერპლის ფასად) თავიანთ აქციებს ძირითადად წარმატებით ანხორციელებდნენ.

საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის მოძრაობას, გარკვეული ბიძგი თავდაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გენერალმა დე გოლმა მისცა, რომელმაც მარშალ პეტენის მთავრობას ჯერ კიდევ კაპიტულაციამდე გამოუცხადა დაუმორჩილებლობა და თვითნებურად ინგლისში გადაფრინდა. 1940 წლის 18 ივნისს გენერალმა ლონდონის რადიოთი ფრანგებს წინააღმდეგობის გაგრძელებისაკენ მოუწოდა. მისი აზრით საფრანგეთის სამხედრო მარცხი მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო და მეტროპოლიის ოკუპაციის მიუხედავად საფრანგეთის კოლონიურ იმპერიას ინგლისთან ერთად ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გაეგრძელებინა. იგი არწმუნებდა თანამემამულეებს, რომ ამ ომს მსოფლიო ხასიათი ქონდა და ადრე თუ გვიან მასში გერმანიის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირიც ჩაებმებოდნენ.

1940 წლის 22 ივნისს დე გოლმასაომარი მოქმედებების დროს დიუნკერკიდან ინგლისში ევაკუირებულ ფრანგ ოფიცრებსა და ჯარისკაცებზე დაყრდნობით ორგანიზაცია „თავისუფალი საფრანგეთის“ შექმნა გამოაცხადა, რომელიც 28 ივნისს გერმანელთა წინააღმდეგ მებრძოლი ფრანგების ორგანიზაციის სახით ინგლისის მთავრობამ ცნო. ბრიტანეთის ხელისუფლებამ ორგანიზაციის დაფინანსების

ვალდებულება იკისრა და დე გოლს რადიოსადგურ „ბი ბი სის“ გარკვეული საეთერო დროც დაუთმო, რათა მას მეტროპოლიასა და კოლონიებზე პროპაგანდისტული გადაცემები ეწარმოებინა. პირველი სამხედრო ნაწილების ფორმირებასთან ერთად ორგანიზაციას მალე საკუთარი ტერიტორიაც გაუჩნდა. თავდაპირველად ეს იყო წყნარ ოკეანეში მდებარე კოლონია ახალი ჰებრიდის კუნძულები, რომლის ადმინისტრაციამ 1940 წლის ივნისში „თავისუფალ საფრანგეთს“ მხარდაჭერა გამოუცხადა. ძალიან მალე რადიოპროპაგანდის და „თავისუფალი საფრანგეთს“ აგენტების საქმიანობის შედეგად ორგანიზაციას შეუერთდნენ საფრანგეთის მთელი რიგი აფრიკული კოლონიები: ნიგერი, ჩადი, კონგო, უბანგი შარი, კამერუნი და გაბონი. ამის შედეგად 1940 წლის ნოემბრისათვის „თავისუფალი საფრანგეთის“ კონტროლქვეშ უკვე საკმაოდ ვრცელი ტერიტორია მოექცა.

მართალია „თავისუფალი საფრანგეთის“ შექმნით გენერალი დე გოლი მიზნად უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფი ფრანგული სამხედრო ძალების შემოკრებას და საფრანგეთის კოლონიებში დამკვიდრებას ისახავდა, რათა გერმანიის წინააღმდეგ ომის გაგრძელებისათვის საჭირო საწყისი ბაზა შექმნილიყო, მაგრამ ამასთან ერთად მისთვისწინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზება ოკუპირებული მეტროპოლიის ტერიტორიაზეც ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. ამ მიზნით ლონდონიდან „თავისუფალი საფრანგეთი“ სისტემატიურად აწარმოებდა პროპაგანდის-

ტულ რადიოგადაცემებს სათაურით „ფრანგები ელაპარაკებოდნენ ფრანგებს“, სადაც მხილებული იყო გერმანული და ვისიტური პროპაგანდის სიყალბე დაოკუპანტთა და კოლაბორაციონისტთა წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოწოდებები გაისმოდა.

მაგრამ თავდაპირველად საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის მოძრაობა მაინც სპონტანურად იშვა. დე გოლის 1940 წლის 18 ივნისის მოწოდება ოკუპირებულ ქვეყანაში ცოტა ადამიანმა თუ მოისმინა. წინააღმდეგობის პირველი აქტები ცალკეული პიროვნებების და იზოლირებული მცირერიცხოვანი ჯგუფების მიერ იქნა განხორციელებული, რომლებიც იმპროვიზაციით მოქმედებდნენ. შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის ფორმირების პროცესი ქრონოლოგიურად შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს: 1940 წლის ზაფხული ეს ცალკეული ადამიანების და ჯგუფების ოკუპანტთა მიმართ პროტესტის მეტნაკლებად სიმბოლური გამოხატვის პერიოდი იყო, ხოლო შემოდგომის განმავლობაში ორგანიზებული წინააღმდეგობის პირველი იდეები გაჩნდა და მათი რეალიზაცია დაიწყო. 1941 წელს კი წინააღმდეგობის მოძრაობა საბოლოოდ ჩამოყალიბდა. (2, გვ. 125).

1940 წლის ივლისიდან საფრანგეთში პირველი არალეგალური პროკლამაციები გაჩნდა, რომლებიც მოსახლეობას პასიური წინააღმდეგობისკენ მოუწოდებდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ჟურნალისტის, სოციალისტ ფ. ტექსიეს ბროშურა „რჩევები ოკუპირებული ტერიტორიების

მცხოვრებლებს“, რომელშიც ვკითხულობთ: „გარეგნულად იყავი გულგრილი, მაგრამ სულის სიღრმეში ატარე შურისძიების სურვილი, რომელიც მომავალში გამოგადგება“ (2, გვ. 126). იქმნებოდა საიდუმლო საგზაო კომუნიკაციები, რომელთა მეშვეობითაც ტყვეობას თავდალწეული ფრანგი სამხედროები ესპანეთის გავლით ლონდონში ჩადიოდნენ და „თავისუფალ საფრანგეთს“ უერთდებოდნენ. ოქტომბერსა და დეკემბერში პირველი იატაქვეშა გაზეთებიც გამოცემაც დაიწყო. ასე მაგალითად მუსიკალური გამომცემლობის მფლობელმა რ. დეისმაგაზეთი „პანტაგრუელი“, ხოლოსოციალისტმა კ. პინომ გაზეთი „ლიბერასიონი“ გამოსცეს. გამოვიდა გაზეთ „რეზისტანსი“ პირველი ნომერიც, რომლის ავტორები პარიზის ანთროპოლოგიური მუზეუმის თანამშრომლები იყვნენ. 1940 წლის ბოლოს საფრანგეთში უკვე თხუთმეტამდე არალეგალური გაზეთი გამოდიოდა. (7, გვ. 70)

გაზეთებთან ერთადწინააღმდეგობის მოძრაობის პირველიჯგუფებიც გაჩნდნენ. ჩრდილოეთის ზონაშიკაპიტან ჟ. არტიუსი (რომელიც ომამდე სამენარმეო საქმიანობას ეწეოდა), პოლკოვნიკების ერტოს და ტიუნის, მენარმეების ბლოკ-მასკარის, ბერჟერონის, ლეფორიშონის, მიეერისდა არქიტექტორ სუმერის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ჯგუფი „სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაცია“, რომელიც ძირითადად საფრანგეთის სამხედრო წრეების და მენარმეების წარმომადგენლებს აერთიანებდა. გაჩნდა ჯგუფი „ლიბერა-

სიონ ნორი“, რომელიც სოციალისტების და პროფკავშირული მოძრაობის წარმომადგენლებმა კ. პინომ (მომარაგების სამინისტროს მოსამსახურედა ბანკების და ბირჟის მუშაკთა პროფკავშირის მდივანი), რ. ლაკოსტმა (მოსამსახურეთა პროფკავშირის მდივანი) და ჟ. ტექსიემ ზემოთაღნიშნულ გაზეთ „ლიბერასიონის“ ირგვლივ ჩამოაყალიბეს. აღსანიშნავია აგრეთვე ჯგუფი „ადამიანის მუზეუმი“, რომელიც პარიზის ანთროპოლოგიური მუზეუმის თანამშრომლებმა ბ. ვილდემ და ა. ლევიციმ შექმნეს და რომლებსაც მწერალთა, მასწავლებელთა და მეცნიერთა (ჟ. კასუ, კ. აველინი, მ. აბრაამი ა. იუმბერი), აგრეთვე ადვოკატთა (ა. სიმონო, ლ. ნორდმანი, ლ. ამონი) ჯგუფები შეუერთდნენ. ორგანიზაციის წევრთა შორის იყვნენ სოციალისტი პ. ბროსოლეტი და პოლკოვნიკები ოე და ლა როშერი (ამ უკანასკნელმა ორგანიზაციის შემადგენლობაში კლერიკალები და მონარქისტებიც ჩართო).

სამხრეთის ზონაში ყველაზე უფრო ადრე „ეროვნული განთავისუფლების მოძრაობა“ გაჩნდა, რომელიც ფრანგული კონტრდაზვერვის ოფიცერმა, ვიშისტური არმიიდან გაქცეულმა ა. ფრენემ შექმნა. ფრენეს გარდა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში ლეიტენანტი ა. შევანსი, კაპიტანი რ. გედონი უმუშევრობასთან ბრძოლის კომისარიატის მუშაკი ბ. ალბრეხტი და ინჟინერი და ჟურნალისტი კ. ბურდეც შედიოდნენ. სამხრეთის ზონის მეორე მნიშვნელოვანი ჯგუფი

გაზეთ „ლიბერტეს“ ირგვლივ შეიქმნა. მისი დამაარსებლები ნანსის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომლები იყვნენ, რომლებიც საომარი მოქმედებების დროს განხორციელებული ევაკუაციის შემდეგ ლიონის, მონპელიეს და კლერმონ-ფერანის უნივერსიტეტებში აგრძელებდნენ მუშაობას. ჯგუფს სათავეში პროფესორი ფ. დე მანტონი ედგა, რომელსაც მხარს პროფესორები პ. ტეტჟენი, რ. კურტენი, ა. კოსტ-ფლორე, ადვოკატი პ. რენუვენი, ჟურნალისტი ჟ. ბიდო და ე.მიშლე (ახალგაზრდა კათოლიკეთა ორგანიზაციის თავმჯდომარე კორეზის დეპარტამენტში) უმაგრებდნენ. 1941 წლის ნოემბერში გრენობლში „ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის“ და „ლიბერტეს“ ურთიერთშერწყმის შედეგად უფრო დიდი ორგანიზაცია „კომბა“ ჩამოყალიბდა.

კლერმონ ფერანში ოფიცერმა ემანუელ დასტიე დე ლა ვიჟერიმ ისტორიის მასწავლებელთან სოციალისტ ლ.ობრაკთან დაამ ქალაქში ევაკუირებული სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორ, ფილოსოფოსჟან კავაიესთანერთად ჯგუფი „ლიბერასიონ სიუდი“ ჩამოაყალიბა, რომელმაც ცნობილი სოციალისტის დ. მეიერის და ომამდელი პროფკავშირული გაერთიანების, შრომის საყოველთაო კონფედერაციის ლიდერის ლ. ჟუოს მხარდაჭერა მიიღო.

ლიონში მენარმე ე. პეჟიუმ, მზა ტანსაცმლით მოვაჭრემ, სამკერვალო ფაბრიკის მფლობელმა ა. ავენენმა და ქალაქის მუნიციპალური საბჭოს ყოფილმა მრჩეველმა, ისტო-

რიის მასწავლებელმა ო. პენტონმა, რომელთაც მოგვიანებით ცნობილი ისტორიკოსი მ. ბლოკი შეუერთდა, მცირერიცხოვანი ჯგუფი „ფრანს-ლიბერტე“ დააარსეს. შემდეგ ისინი პატარა საფეიქრო ფაბრიკის დირექტორს ჟ. ლევისდაუკავშირდნენ, რომელმაც ამ ჯგუფის რიცხოვრივი გადიდება და მისი საქმიანობის ლიონის რეგიონის ფარგლებს გარეთ გავრცელება შეძლო. ამის შედეგად 1941 წლის დეკემბერში „ფრანს-ლიბერტეს“ ბაზაზე უფრო დიდი ორგანიზაცია „ფრან-ტირერი“ ჩამოყალიბდა.

აღსანიშნავია აგრეთვე 1941 წლის ზაფხულში კომუნისტთა მიერ შექმნილი „ეროვნული ფრონტი“, რომელიც სხვა პოლიტიკური ტენდენციების ადამიანებსაც აერთიანებდა. უნდა ითქვას, რომ კომუნისტური პარტია, რომელიც საფრანგეთში 1939 წელს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აიკრძალა, ოკუპაციის პირველ პერიოდში იატაკქვეშეთიდან მხოლოდ ვიშისტური მთავრობის ანტიდემოკრატიული პოლიტიკის კრიტიკით იყო დაკავებული. იგი თავის მომხრე მუშებს გაფიცვებისა პეტენის ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის დაწყებამდე ფრანგი კომუნისტები მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სხვა პარტიების წარმომადგენლების მსგავსად მათაც კარგად ესმოდათ, რომ გერმანელები დამპყრობლები იყვნენ და ისინიც მათ წინააღმდეგ ბრძოლის სურვილით იყ-

ვნენ აღვსილნი. მაგრამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა იძულებული იყო ანგარიში გაენია იმ ფაქტისათვის, რომ საბჭოთა კავშირსა (რომელიც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის და მისი ხელმძღვანელი ორგანიზაციის კომინტერნის სულისჩამდგმელი იყო) გერმანიას შორის ზემოთაღნიშნული შეთანხმების შემდეგ მეგობრული ურთიერთობა სუფევდა და ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის პირდაპირი მოწოდებებისაგან თავი შეეკავებინა. (4, გვ. 193) ასეთ ვითარებაში დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას მხოლოდ რიგითი კომუნისტები აწარმოებდნენ. მაგრამ 1941 წლის ივნისიდან, გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, მოსკოვიდან მიღებული დირექტივების მიხედვით-საფრანგეთის კომუნისტური პარტია და მისი შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც 1941 წლის ბოლოს შ. ტიონისმეთაურობით „ფრანტირერებისდა პარტიზანების“ სახელწოდებით გაერთიანდნენ, გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ.

წინააღმდეგობის მოძრაობის ყველა მნიშვნელოვან ჯგუფს თავისი გაზეთი ქონდა („კომბა“, „ლიბერასიონი“, „ფრან-ტირერი“ და სხვ.), რომელთა ტირაჟი თანდათანობით იზრდებოდა. ეს გამოცემები ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებებთან ერთად სასტიკად აკრიტიკებდნენ ომამდელი მესამე რესპუბლიკის ტრადიციულ პარტიებს, რომლებიც მთელენერგიას თავიანთი ვიწრო პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციასახმარდნენ დარომლებმაც არა-

მარტო საერთო მტრის წინააღმდეგ ერის გაერთიანება ვერ შეძლეს, არამედ სახელმწიფოს მმართველობის სისტემის დეზორგანიზაციაც მოახდინეს.

საბჭოთა კავშირის ომში ჩაბმამ და ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნამ (რამაც ფაშისტურ ბლოკზე გამარჯვების რეალური პერსპექტივა გააჩინა) წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლებს დიდი იმედები აღუძრა, ხოლო ამ მოძრაობაში კომუნისტური პარტიის მასობრივმა ინტეგრაციამ მას დიდი ძალაც შემატა, რადგან კომუნისტურ პარტიას, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, 1939 წლიდან იატაკქვეშეთში მოქმედებდა, უკვე კარგად ორგანიზებული და მრავალრიცხოვანი საიდუმლო სტრუქტურები ქონდა. როგორც „თავისუფალი საფრანგეთის“ ერთ-ერთი წევრი, დე გოლთან დაახლოვებული ჟ. რენო (ფსევდონიმი პოლკოვნიკი რემი), რომელიც ამ ორგანიზაციასა და შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის ჯგუფებს შორის კავშირის და კოორდინირებული მოქმედების განხორციელებაზე მუშაობდა, ომის შემდეგ წერდა: „საფრანგეთის კომუნისტური პარტია ოკუპაციის პერიოდში დიდი ხნის განმავლობაში ერთადერთი მტკიცე, მკაცრად დისციპლინირებული და კონსოლიდირებული პოლიტიკური ძალა იყო, რომელსაც კარგად ორგანიზებული აპარატი ქონდა“ (5, გვ. 177).

ასეთ ვითარებაში კომუნისტურმა პარტიამ მის მიერ შექმნილი „ეროვნული ფრონტის“ ბაზაზე პატრიოტული ძალების გაერთიანების წინადადება წამოაყენა. ფრანგ კომუ-

ნისტთა ლიდერებმა წინააღმდეგობის მოძრაობის სხვა ჯგუფებთან შეთანხმების მიღწევის მიზნით თავიანთი იდეოლოგიური პროპაგანდა ქვეყნის მომავალი პოლიტიკური მოწყობის შესახებ შეწყვიტეს და წინა პლანზე ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგი წამოსწიეს. კომუნისტური იატაკვეშა გაზეთები „იუმანიტე“ და „ვი უვრიერი“ აცხადებდნენ, რომ „ეროვნული ფრონტის“ და მისი შეიარაღებული ფორმირებების კარი ყველასათვის ღია იყო და რომ კომუნისტური პარტია ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან ითანამშრომლებდა, რომელთა მიზანი გერმანელ ოკუპანტთა და მათი მარიონეტის, ვიშის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. კომუნისტთა პატრიოტულმა პროპაგანდამ და მათი პარტიული აპარატის ეფექტურმა მოქმედებამ მალე მოიტანა პოზიტიური შედეგი „ეროვნული ფრონტი“ წინააღმდეგობის მოძრაობის სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით თავისი საიდუმლო კომიტეტების და სექციების მეშვეობით ორივე ზონაში დამკვიდრდა და ამასთან ერთად მას ამ ჯგუფების და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ცალკეული წევრებიც („კომბას“ და „ფრან-ტირერის“ მებრძოლები ჟ.ბიდო და ი. ფარჟი, რადიკალი ჟ. გოდარდი, ქრისტიან-დემოკრატი მ. ანდრე, სოციალისტი ჟ.ბუნენი და სხვ.) შეუერთდნენ.

კომუნისტთა ავტორიტეტს კიდევ უფრო ზრდიდა ის, რომ მათ იმთავითვე არამარტო საბოტაჟის აქტები, არამედ გერმანელ ჯარისკაცებზე და ოფიცრებზე ცალკეული თავდასხმებიც განახორციელეს. 1941 წლის აგვისტოში პარიზის

მეტროსადგურ ბარბე-როშეშუარში კომუნისტთა შეიარაღებული ჯგუფების მებრძოლებმა გერმანელი ოფიცერი მოკლეს. ორი დღის შემდეგ ქვეყნის ჩრდილოეთის დეპარტამენტებში კომუნისტთა მიერ ოთხი გერმანელი ოფიცერი იქნა მოკლული. ოქტომბერში კომუნისტებმა ნანტში ქალაქის კომენდანტის, ხოლო ბორდოში გერმანული სამხედრო ადმინისტრაციის მრჩევლის ლიკვიდაციაც მოახდინეს.

ამ თავდასხმებს ოკუპანტთა მხრიდან სასტიკი რეპრესიები მოყვა. 1941 წლის 16 სექტემბერს გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსმა ფელდმარშალმა კაიტელმა სპეციალური ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვითაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე გერმანელი სამხედროების მკვლელობის საპასუხოდ მძევალთა დახვრეტა იქნა შემოღებული. 22-23 ოქტომბერს გერმანელ ოფიცერთა ზემოთაღნიშნული მკვლელობების გამო სიკვდილით 98 ადამიანი დასაჯეს, რომელთა დიდ უმრავლესობას კომუნისტები შეადგენდნენ. მძევლების დახვრეტას საფრანგეთის საზოგადოების დიდი აღშფოთება მოყვა. მოსახლეობის ეს რისხვა არამარტო ოკუპანტების, არამედ პეტენის მთავრობის წინააღმდეგაც იყო მიმართული, რომელიც ამ რეპრესიების ორგანიზებაში საოკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა. პეტენის მთავრობის „სამარცხვინო“ საქციელი მთელმა იატაკქვეშა პრესამ ერთხმად დაგმო. მართალია კომუნისტური „ეროვნული ფრონტისაგან“ განსხვავებით წინააღმდეგობის მოძრაობის სხვა ორგანიზაციების ხელმძღვა-

ნელობა საბრძოლო საშუალებების უკიდურესი ნაკლებობის და კოორდინირებული მოქმედების შეზღუდული შესაძლებლობის პირობებში მოსალოდნელი დიდი მსხვერპლის გამო შეიარაღებული ბრძოლის გაჩაღებას ჯერ-ჯერობით ნაადრევად მიიჩნევდა, მაინც შურისძიების სურვილით ანთებული ამ ჯგუფების მებრძოლები პროპაგანდის, სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების, საბოტაჟის და დივერსიების გარდა გერმანელ სამხედროებზე თავდასხმებსაც სულ უფრო ხშირად ახდენდნენ. 1941 წლის ივლისიდან 1942 წლის თებერვლის ჩათვლით „ეროვნული ფრონტის“ და სხვა ჯგუფების მებრძოლებმა გერმანელ ჯარისკაცებზე საერთო ჯამში 380 თავდასხმა განახორციელეს(6, გვ. 251).

1941 წლის ბოლოს წინააღმდეგობის მოძრაობა საფრანგეთის ტერიტორიაზე უკვე მნიშვნელოვან და ქმედით ძალად იქცა. მასში ფრანგული საზოგადოების თითქმის ყველა ფენა იყო წარმოდგენილი (3, გვ. 353). 1941 წლის ზაფხულიდან ლონდონში მყოფი გენერალი დე გოლი უკვე იღებდა ცნობებს იმის შესახებ, რომ მის სამშობლოში ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო ფართოვდებოდა. რა თქმა უნდა ასეთ ვითარებაში გენერალმა მიზნად შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის ჯერ-ჯერობით მაინც დაქსაქსული ჯგუფების „თავისუფალი საფრანგეთის“ ეგიდით გაერთიანება დაისახა. „თავისუფალი საფრანგეთის“ ხელმძღვანელობას კარგად ესმოდა, რომ მეტროპოლიასა და კოლონიურ იმპერიაში მოქმედი წინააღმდეგობის ძალების გაერთიანება არამარტო საფრან-

გეთის განთავისუფლებისათვის იყო აუცილებელი, არამედ ამით მოკავშირეთა თვალში დე გოლის ორგანიზაციის ლეგიტიმურობის დონეც ამაღლდებოდა (უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი ომში ჩაება „თავისუფალი საფრანგეთი“ სტალინის მთავრობამ ცნო, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება, რომელიც პეტენტან დიპლომატიურ ურთიერთობას არ წყვეტდა, „თავისუფალი საფრანგეთის“ ოფიციალურ აღიარებას არ ჩქარობდა. თუმცა რუზველტის მთავრობამ 1941 წლის შემოდგომაზე ამ ორგანიზაციას ვაშინგტონში საკუთარი წარმომადგენლობის გახსნის უფლება მისცა და მის შეიარაღებულ ძალებს პირველი სამხედრო დახმარებაც გაუწია).

იმისათვის, რათა „თავისუფალი საფრანგეთის“ და შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის ჯგუფების გაერთიანებაში რაიმე პოლიტიკური პრობლემა არ წარმოქმნილიყო, 1941 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში დე გოლმა ლონდონიდან გახმოვანებულ გამოსვლებში მის მიერ შექმნილი ორგანიზაციის პოლიტიკური პროგრამა წამოაყენა. გენერლმა სასტიკად დაგმო გერმანიასა და იტალიაში არსებულ ტოტალიტარულ რეჟიმები და განაცხადა: „ჩვენ გვინდა იმ დემოკრატიული პრინციპების ერთგულნი დავრჩეთ, რომლებიც ჩვენ წინაპრებს ჩვენი ერის გენიამ მისცა და რისთვისაც ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში თავი უნდა დავდოთ“ (3. გვ. 353).

ოფიციალურად გამოაცხადა რა თავის მიზნად განთავისუფლებულ საფრანგეთში დემოკრატიული რეჟიმის აღ-

დგენა, დე გოლმა პატრიოტული ძალების გაერთიანების ნი-
ადაგი მოამზადა, მაგრამ ამ გაერთიანების პრაქტიკული რე-
ალიზაციისათვის გენერალს შიგა წინააღმდეგობის მოძრაო-
ბის რომელიმე ავტორიტეტული წარმომადგენლის მხარდა-
ჭერა ჭირდებოდა, რომელიც თავდაპირველად ოკუპირებულ
ქვეყანაში მოქმედი ჯგუფების ხელმძღვანელების შეკავში-
რებას და „თავისუფალსაფრანგეთის“ ორგანიზაციასთან-
მათ უწყვეტ კონტაქტს უზრუნველყოფდა. ამ რთული პრობ-
ლემის გადაჭრაში გენერალ დე გოლს ფასდაუდებელი დახ-
მარება წინააღმდეგობის მოძრაობის გამორჩენილმა მოღვა-
ნემ ჟან მულენმა გაუწია. თავისი პოლიტიკური მრწამსით
გულმხურვალე რესპუბლიკელმა და ანტიფაშისტმა მულენ-
მა, რომელიც დიდი ინტელექტით და ორგანიზაციული საქ-
მიანობის უნარით გამოირჩეოდა და რომელსაც მემარცხენე
და მემარცხენე-ცენტრისტულ პოლიტიკურ წრეებში ფართო
კავშირები ქონდა, ომამდელ პერიოდში როგორც სახელმწი-
ფო მოხელემ დიდ წარმატებას მიაღწია. 1936-1938 წლებში
იგი სახალხო ფრონტის მთავრობების (ლ. ბლიუმის და კ. შო-
ტანის კაბინეტები) ავიაციის მინისტრის, რადიკალ პიერ კო-
ტის კანცელარიას ხელმძღვანელობდა და ამავდროს ავე-
რონის დეპარტამენტის პრეფექტადიქნა დანიშნული. 1939
წლიდან კი მულენმა ერისა და ლუარას დეპარტამენტის
პრეფექტის პოსტი დაიკავა. 1940 წლის ნოემბერში ვიშის
მთავრობამ მულენი პრეფექტის თანამდებობიდან გაათავი-
სუფლა, რის შემდეგაც იგი წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩა-

ება და მიზნად ამ მოძრაობის ჯგუფების გაერთიანება და მათი „თავისუფალ საფრანგეთთან“ დაკავშირება დაისახა. 1941 წლის გაზაფხულზე მულენი, ა. ფრენეს შეხვდა. მათ შორის წინააღმდეგობის მოძრაობის შიგნით არსებული ვითარების დეტალური განხილვის შემდეგ მულენმა ლონდონში გენერალ დე გოლთან გამგზავრების გადაწყვეტილება მიიღო. 1941 წლის ოქტომბერში ესპანეთის და პორტუგალიის გავლით მან ლონდონში ჩაღწევა შეძლო და დე გოლს დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინა, რომელშიც წინააღმდეგობის მოძრაობის საქმიანობა და მისი განვითარების ტენდენციები იყო აღწერილი. თავის მოხსენებაში მულენი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რომ მომავალში წინააღმდეგობის მოძრაობის ჯგუფებს არამარტო პროპაგანდა, დივერსიები, საბოტაჟი და სადაზვერვო საქმიანობა, არამედ შეიარაღებული ბრძოლაც უნდა გაეფართოვებინათ, რისთვისაც ინგლისის ხელისუფლების და „თავისუფალი საფრანგეთის“ მხრიდან პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო დახმარება (ავტომატები, ტყვიამფრქვევები და კავშირგაბმულობის ტექნიკა) იყო აუცილებელი.

მულენის მოხსენებამ და მისმა პიროვნებამ ინგლისის მთავრობასა და გენერალ დე გოლზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „თავისუფალი საფრანგეთის“ ხელმძღვანელებმა პირველად მიიღეს სარწმუნო ინფორმაცია მათ სამშობლოში მიმდინარე განმათავისუფლებელი ბრძოლის მასშტაბების შესახებ. გენერალმა დე გოლმა გადაწყვიტა შიგა წინააღ-

მდეგობის მოძრაობის ჯგუფების გაერთიანების და „თავისუფალ საფრანგეთზე“ მათი დაქვემდებარების მისია სწორედ მულენზე დაეკისრებინა. 1942 წლის 1 იანვარს ჟ. მულენი, რომელსაც თან დე გოლის მიერ მისთვის გადაცემული 500 ათასი ფრანკი და სპეციალური დოკუმენტი (რომელშიც იგი გენერლის პირად წარმომადგენლად იყო გამოცხადებული) ქონდა, რადისტის და მეკავშირის თანხლებით ინგლისური თვითმფრინავიდან სამხრეთ საფრანგეთში მონპელიეს მახლობლად პარაშუტით დაეშვა. მან მალე შეძლო წინააღმდეგობის სხვადასხვა ჯგუფების ხელმძღვანელებთან დაკავშირება და მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა, რომელიც ფინანსებს და იარაღის პარტიებს ანაწილებდა. ამ ორგანოს ძალისხმევით თანდათან „თავისუფალი საფრანგეთის“ და შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის ურთიერთობამ სისტემატიური ხასიათი მიიღო.

ამგვარად, 1942 წლის დამდეგს ფრანგი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ახალი ეტაპი დაიწყო. შიგა და გარე წინააღმდეგობის მოძრაობის ფორმირების შემდეგ ამ მოძრაობის მესვეურებმა ეროვნულ-პატრიოტული ძალების სრულმასშტაბიანი კონსოლიდაციისაკენ პირველი დიდი ნაბიჯი გადადგეს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბურკაძე ზ., ოპერაცია „ტორჩი“ და საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნა, სოციალურ მეცნიერებათა საკითხები, VII, შრომების კრებული, თბ., 2015.

Jean-Pierre Azéma. De Munich à la Libération 1938-1944. Editions duseuil, 1979.

... „ ... „ ... „
 . . ., 2005
 „ ...
 . V. . ., 2008.
 „ ... „ , . ., 1988.
 „ ... „ , 1939-1945, ..
 1985.
 „ ..
 , . ., 1979.

Zaza Burkadze

French internal resistance movement: first steps

Resume

In the article process of formation of French movement during the World War II is discussed which was against the German occupants and collaborationist Vichy puppet government which later developed into a large-scale national-liberation struggle and played an important role in French liberation. In the article it is discussed how main groups of resistance movement developed in occupied and non-occupied zones as well as activities of patriot people belonging to different social groups, having different professions and political affiliations who created secret political and military structures as well as made first resistance activities. In the article the French communist party's contribution in organizing struggles is also discussed both inside and outside the country (General Charles de Gaulle's organization "Free France" established in the colonial empire), unification of these movements and the role of the movement's prominent member J. Moulin who together with General de Gaulle achieved to consolidate French patriotic forces.

**ეთნო-კონფესიური და ეთნო-ტერიტორიული
პრობლემები სამხრეთ კავკასიაში**

მარინე იტრიაშვილი

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ტერიტორიული და კონფესიური საკითხების გადაწყვეტა წარმოადგენს. ეთნოსოციალური მოძრაობის სპეციფიკური ხასიათი და უნიკალურობა საკმაოდ ართულებს ეთნიკური და ტეროტორიული კონფლიქტების წარმოქმნასა და განვითარების საერთო თეორიული კონცეფციის შემუშავებას.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტების სიხშირით და თავისებურებებით გამოირჩევა ერთ-ერთი ყველაზე პოლიეთნიკური კავკასიის რეგიონი, რომელიც თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობით ყოველთვის იყო მსოფლიოს გავლენიანი სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში. თუ შუა საუკუნეებში ამ რეგიონისთვის ერთმანეთს ებრძოდნენ მოსაზღვრე სახელმწიფოები (ოსმალეთი, სპარსეთი, რუსეთი), უკვე XIX საუკუნის II ნახევრიდან მასზე ყურადღება გაამახვილეს ინგლისმა, გერმანიამ, აშშ-მა. კავკასიის ხალხები იძულებულნი იყვნენ, ხან ერთი ხან მეორე სახელმწიფოს ინტერესები გაეთვალისწინებინათ თავდაპირველი გეოპოლიტიკური ნონასწორობის აღდგენის იმედით.

XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-ირანის ომებში რუსეთის წარმატების შემდეგ კავკასია ამ უკანასკნელმა შემოიერთა. რუსეთთან შეერთებით დაიწყო ახალი ეტაპი გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული და გეოეკონომიური დაპირისპირებისა რუსეთის იმპერიასა და ევროპის ქვეყნებს შორის. თუ რუსეთსათვის კავკასიას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც დასაყრდენს ევროპაზე ეფექტური წინააღმდეგობის გასანევად, ევროპისათვის ის იყო პლაცდარმი რუსეთის იმპერიაზე ზემოქმედებისა და დიდი აბრეშუმის გზის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით, ამ რეგიონში ახალი ეტაპი დაიწყო. მსოფლიოს დიდი სახელმწიფოებისათვის სამხრეთ კავკასია საგარეო პოლიტიკური ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა, რადგანაც მისი მეშვეობით შესაძლებელია ევროპის დაკავშირება ახლო აღმოსავლეთთან, ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ აზიასთან.

ევროკავშირმა შეიმუშავა არაერთი პროგრამა კავკასიის სატრანსპორტო, სკომუნიკაციო და ენერგეტიკული რესურსების ევროპის ანალოგიურ ინფრასტრუქტურასთან ინტეგრაციისათვის.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რუსეთი შეეცადა თავისი გავლენის შენარჩუნებას ამიერკავკასიაში ტრადიციული ურთიერთობებიდან გამომდინარე, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა

საქართველოსთან და აზერბაიჯანთან გართულებული ურთიერთობების გამო. ამის ერთ-ერთი მიზეზი გახდა რუსეთის ორმაგი სტანდარტები აქ მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტებისადმი, ერთის მხრივ სეპარატიზმის მხარდაჭერა და კონფლიქტების გაჩაღება, პარალელურად ამ ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. (თუმცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, რუსეთმა ცალკე დამოუკიდებელ ერთეულებად ცნო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.)

საქართველოში არის რამდენიმე რეგიონი, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებულნი აზერბაიჯანელი და სომხური უმცირესობის წარმომადგენლები. მიუხედავად საქართველოს ფრთხილი პოლიტიკისა, აზერბაიჯანული და სომხური უმცირესობების მიმართ მაინც ჰქონდა ადგილი ქართველთა და აზერბაიჯანელთა შეტაკებებს, რაც გამონვეული იყო იმით, რომ მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა მოითხოვეს ე.წ. „ბორჩალოს ავტონომიის“ შექმნა, რასაც წინ აღუდგა ეთნიკურად ქართველი უმრავლესობა.

ცნობილია, რომ აზერბაიჯანის შემადგენლობაშია ზაქათალა, რომელიც გასაბჭოებამდე საქართველოს ეკუთვნოდა და კომპაქტურად არის ქართველებით დასახლებული, ამიტომ ორივე ქვეყანას გააჩნია თანაბარი დაინტერესება თავისი ეროვნული უმცირესობების დაცვის სფეროში. მი-

თუმცა, ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით, აზერბაიჯანი ოფიციალურად დაუპირისპირდა თავის ტერიტორიაზე რაიმე სახის ფედერაციული ერთეულის შექმნას.

საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მიუღია ღია კონფლიქტის ფორმა იყო და არის უფრო რთული და საძაბული.

აფხაზური და ოსური სეპარატიზმის ფონზე, საქართველო ფრთხილად ეკიდება სომხებით დასახლებულ თავის სამხრეთ რაიონებს, მაგრამ 1992-1993 წლებში დაიწყო დავა ქართველ და სომეხ ისტორიკოსთა შორის ჯავახეთის საკითხზე. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ეს რეგიონი არ დაემორჩილა ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციას, სომხებმა უარი განაცხადეს ემსახურათ ქართულ არმიაში. 1995 წელს მოძრაობა „ჯავახეთმა“ მოითხოვა „პოლიტიკური თვითგამოყოფა“ საქართველოს შემადგენლობაში, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ეს საკითხი არ განიხილა. სომხეთის ხელისუფლება ჯერჯერობით არ აფიქსირებს თავის მხარდაჭერას ჯავახეთის სეპარატიზმისათვის, რაც გახდება ახალი კონფლიქტის მიზეზი მეზობელ სახელმწიფოსთან. ეს კი გამოიწვევს სომხეთის სახმელეთო კომუნიკაციების სრულ ბლოკადას მის პარტნიორ რუსეთთან. გარდა ამისა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველოში მცხოვრები ათასობით სომეხი. თუმცა ეს პრობლემა არსებობს და მას აუცილებლად გამოიყენებს რუსეთი საქართველოზე ზეწოლისათვის.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობაში, რუსეთს თავისებური პოლიტიკა გააჩნია. სომხეთი მისი სტრატეგიული მოკავშირეა. უმჯობესდება ურთიერთობა აზერბაიჯანთან საქართველოსთან გამწვავებული ურთიერთობების ფონზე, რაც თავის მხრივ ართულებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს სომხეთსა და რუსეთს შორის. სომხეთი ეჭვის თვალთ უყურებს საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობასაც. ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება ამ სამი ქვეყნის ურთიერთობაზე.

საქართველოში დატრიალებულმა ტრაგედიამ, რაც რუსეთის ხელშეწყობით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დროებით დაკარგვაში გამოიხატა, საქართველო 1993 წელს დსთ-ში შეიყვანა. რუსეთმა გააძლიერა ზენოლა საქართველოზე ჩეჩენი ტერორისტებისათვის თავშესაფარის მიცემის ბრალდებით, რაც 2002-2003 წლებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დაძაბვის მიზეზი გახდა. რუსეთმა საერთაშორისო ტერორიზმთან დაწყებული ბრძოლის ფონზე თავისი თავი საქართველოს ტერიტორიიდან მომდინარე ტერორისტული გამოხდომების მსხვერპლად წარმოაჩინა. მხოლოდ ეუთოს დროულმა ქმედებამ, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ჩატარებულმა მონოტორინგმა, აშშ-ს დიპლომატიურმა ჩარევამ და საქართველოსადმი დახმარებამ სამხედრო პროგრამის განხორციელებაში შესაძლებელი გახადა პანკისის ხეობაში საქართველოს კონტროლის აღდგენა.

რუსეთმა ბრალი დასდო საქართველოს ანტირუსულ პოლიტიკაში. 2003-2007 წლებში რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში კვლავ აგრძელებდა ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას: სიტყვით აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სინამდვილეში კი თავის კონტროლის ქვეშ ჰყავდა აყვანილი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და ცდილობდა შეენარჩუნებინა გადამწყვეტი როლი კონფლიქტის დარეგულირების საკითხში, რაც სინამდვილეში მათ დაკონსერვებაში გამოიხატებოდა. სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, როდესაც რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად სცნო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

დაკვირვებებმა და ანალიზებმა ცხადყო, სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ეთნო-კონფესიური და ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები წარმოადგენს სოციალური კონფლიქტის ნაირსახეობას, რომელშიც დაპირისპირებულ მხარეებად ორი ან რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი გვევლინება. ავტორიტარიზმიდან დამოკრატიაზე გადასვლას პოლიეთნიკურ საზოგადოებაში თან ახლავს ეთნიკური კონფლიქტების გადაზრდა შეიარაღებულ კონფლიქტებში, რაც ხშირ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის ტერიტორიულ ერთიანობას. ამიტომაც ეთნიკური ინტერესების დემოკრატიზაცია, ეთნოსების ინტერესების გათვალისწინება საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს.

თანამედროვე სახელმწიფო ფლობს წინააღმდეგობების ჩახშობის არსენალს და შესაძლებლობა აქვს სამხედრო ძალით მოახერხოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, თუმცა ყველა პოლიეთნიკური ქვეყნის მაგალითი გვიჩვენებს, რომ სამხედრო გზით შეუძლებელია სოციალურ-პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სამხრეთ კავკასია, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე არასტაბილურ რეგიონად ითვლება. პოლიტიკურმა, ეთნიკურმა, ტერიტორიულმა პრობლემებმა იგი ფეთქებადსაშიშ ზონად აქცია და პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს რეგიონისთვისაც. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს სულ ცოტა ხნის წინ დაწყებული ახალი შეიარაღებული კონფრონტაციაზერბაიჯან-სომხეთს შორის, რომელმაც გამოიწვია ახალი ნგრევა და განადგურება.

კავკასიაში მიმდინარე მოუგვარებელ კონფლიქტებს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს ემატება რეგიონში არსებული ეკონომიკური კრიზისის მძიმე შედეგები. პრობლემას ართულებს სახელმწიფოთა შორის არსებული უნდობლობაც.

სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობა მთლიანად იქნება დამოკიდებული გარე სახელმწიფოების - რუსეთის და აშშ-ს ურთიერთობებზე. ვფიქრობთ, რომ სამხრეთ კავკასიის ყველაზე აქტუალური პრობლემა სტაბილურ სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში მდგომარეობს, რაც მას საშუალებას მისცემს გახდეს საერთაშორისო ეკონომი-

კური და პოლიტიკური სისტემის წევრი და ამ გზით მოაგვაროს რეგიონში არსებული ეთნიკური და ტერიტორიული პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა

აფციაური ნ., მენტემაშვილი ად., „უშიშროებისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში“, ორიენტალისტური ძიებანი, თსუ კრებული 5, თბ., 1996

იტრიაშვილი მ., მაჭარაშვილი ქ. „ტეროტორიული და ეთნიკური კონფლიქტები საქართველოში“, საისტორიო ვერტიკალი, ტსუ შრომები, N27, თბ., 2013

რეგინალური კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ, თბ., 2005.

ქვაჩახია მ., მომავალი კონფლიქტების გარეშე: კონფლიქტების ანალიზისა და მართვის მეთოდები, უსაფრთხოების უნარ-ჩვევები და რეკომენდაციები, თბ., 2004.

„...“, 1991

„...“, 1977

http://www.niiss.ru_naumov._shtm/

http://www.iatp.org.ge/dawnioads/publications/regiona/secretu_future_of_the_caucasus.pdf/

-

-

.

,

-

,

-

-

.

.

,

,

-

.

,

.

Marina Itriashvili

**Ethno-confessional and ethno- territorial problems
in South Caucasus**

Resume

As a matter of fact one of the most important problems of modern world appears to be the issue of solvent ethno-confessional and ethno-territorial problems. One of the most poly-ethnic region – Caucasus region is distinguished with ethno-conflicts frequency and peculiarities in post soviet space. Caucasus region has almost all kinds of ethno-conflicts. Today, conflicts of Armenia-Azerbaijan, Georgia-Abkhazia and Georgia-Ossetia are in the centre of world society's attention.

Modern state has arsenal of repressing resistance and has ability to restore territorial integrity with military power, though all examples referred to poly-ethnic countries show us that it is

impossible to solve social-political problems with military ways. Attempt of solving national problem with forced ways has in many countries caused more tensioning of ethno-conflicts.

Stability in South Caucasus is totally dependent on relationships among foreign states, first of all relationships between Russia and United States of America. We assume that the most active problem of South Caucasus is building up stable state and statehood, which will give the region opportunity to become member of international economic and political system and this way solve current ethno-territorial and ethno-confessional problems in South Caucasus region.

**დიპლომატიური პროტოკოლის, ეტიკეტის
წყაროები და სამართლებრივი
უზრუნველყოფის საკითხები***ნატალია ლაზბა*

სახელმწიფოების და ხალხებს შორის საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული ურთიერთობების ძირითადი წესების ცოდნა უზრუნველყოფს მათ შორის კავშირების განმტკიცებას, უსაფრთხოების შენარჩუნებას, მშვიდობიან თანაცხოვრებას და კონფლიქტური სიტუაციების პოლიტიკური გზით მოგვარებას. ყოველივე ეს მნიშვნელოვანია მრავალი რთული პრობლემების გადაწყვეტისთვის. თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების განვითარების მასშტაბები, გლობალური პრობლემების გაჩენა, საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება არსებული დიპლომატიური პრაქტიკის ეროზიას იწვევს. შედეგად საერთაშორისო თანამშრომლობაში აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს პრაქტიკული დიპლომატიის განვითარება, მისი არსებულ სწრაფგანვითარებად გარემოსთან ადაპტირების საკითხი.

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო პოლიტიკური კონფლიქტების და კრიზისების წარმოქმნის და მათი გაჭიანურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ვფიქრობთ ის არის, რომ მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობაში მიმდინარე ცვლილებებისა, უცვლელი და სტაბილური რჩება დიპ-

ლომატიური პრაქტიკის ძველი ფორმები, მეთოდები და ინსტრუმენტები, მათ შორის - დიპლომატიური პროტოკოლი. მართალია მისი სამართლებრივი ნორმების და ეტიკეტის დაცვის წესები სავალდებულოა როგორც სახელმწიფოებისათვის, ისე საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებზე მონაწილეებისთვის, თუმცა, მსგავსი ვალდებულება კონკრეტული სუბიექტებისათვის უმეტესწილად განპირობებულია საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის დადებითი ტენდენციების შესანარჩუნებლად. არადა სახელმწიფო ინტერესთა კონფლიქტების ველზე მსგავსი ვალდებულება ხშირად ქრება და საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტები დაუნდობლად უპირისპირდებიან ერთმანეთს მათ ხელთ არსებული ყველა ძალისმიერი თუ დიპლომატიური რესურსით. დიპლომატიური პროტოკოლის სამართლებრივი ნორმები კი ამოქმედებას მხოლოდ მაშინ იწყებს თუ მხარეები რალაც გარემოებების გამო ველარ აგრძელებენ აგრესიულ ქმედებებს ერთმანეთის წინააღმდეგ. დიპლომატიურ სამართლებრივ ნორმებს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების იერარქიაში, დისციპლინას და ორგანიზებულობაში შეიტანოს სერიოზული ცვლილებები, რის გარეშეც თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობა ვერ შეძლებს ნორმალურ ფუნქციონირებას.

დიპლომატიურ საკითხებზე გადაწყვეტილებების ძიების საჭიროება საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეებისაგან მოითხოვს კონტაქტების აქტივიზაციას მშვი-

დობიანი საშუალებების გამოყენებით, მათ შორის დიპლომატიური პროტოკოლის და სამართლის ნორმების. ამდენად, დიპლომატიური პროტოკოლი, როგორც ინსტრუმენტი, საერთაშორისო სამართალთან ერთად სახელმწიფოთა ურთიერთობებში ერთ-ერთ უალტერნატივო საშუალებას წარმოადგენს დავების მშვიდობიანი გზით მოგვარებაში.

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო სამართლის და მისი ინსტიტუტების როლი იზრდება, ის მოიცავს დიპლომატიურ სამართალსაც, ეს უკანასკნელი ასევე არეგულირებს პროტოკოლის საკითხებსაც.

დიპლომატიური სამართლის პრაქტიკის ჩამოყალიბება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიამ 1949 წელს დაიწყო. თავის პირველ სესიაზე სხვა საკითხებთან ერთად, რომლებიც კოდიფიკაციას ეხებოდა, განიხილა და მიიღო შესაბამისი გადანყვეტილებების დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების შესახებ. 1958 წელს, კომისიამ კონვენციის პროექტი შეადგინა დიპლომატიური ურთიერთობებისა და იმუნიტეტების შესახებ, რომელიც 1961 წლის ვენის კონვენციას საფუძვლად დაედო დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ. კომისიამ ასევე შეადგინა კონვენციის პროექტი საკონსულო ურთიერთობებისა და იმუნიტეტის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1963 წელს.

გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიამ რეკომენდაცია გაუწია სპეციალური მისიების და სახელმწიფო-

ბის წარმომადგენლობის სამართლებრივი მდგომარეობის კონვენციას უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში. რომელიც მიღებული იქნა 1969 და 1975 წლებში.

გარდა სამართლებრივი ნორმებისა, დიპლომატიური პრაქტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა ნორმებთან: ჩვეულებასთან, ტრადიციებთან, მორალთან, ეტიკეტთან. როგორც წესი, აღნიშნულ ურთიერთკავშირს დიპლომატიური პროტოკოლის და ეტიკეტის ნორმებს უწოდებენ. პროტოკოლის ნორმები წარმოადგენს ოფიციალურ დონეს, ეტიკეტი კი - კულტურის (დაუნერელი წესები).

საერთაშორისო თავაზიანობა (ეტიკეტი) - ეს არის საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეების თავშეკავება, ყურადღების გამახატვა, კოლეგიალობა, კორექტულობა, ურთიერთპატივისცემა. თავაზიანობას და ეტიკეტს გააჩნია საერთო მიზანი - საერთაშორისო ურთიერთობების რეგულაცია. თავაზიანობა და ეტიკეტი ურთიერთდაკავშირებულ ცნებას წარმოადგენს. სხვაობა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის და საერთაშორისო თავაზიანობის შორის იმაში მდგომარეობებს, რომ საერთაშორისო თავაზიანობის წესები არ არიან იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები პირიქით, იურიდიულად სავალდებულოა.

საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო სამართლის უნი-

ვერსალური გამოყენების უზრუნველყოფაში, ანუ გამოდის აღნიშნული ნორმების გამოყენების „გარანტად“. გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლის განვითარება ვითარდება ჩვეულების მეშვეობით; კერძოდ, ჩვეულებითი სამართალი ემსახურება სახელშეკრულებო ნორმების ახსნას და ამით ჩვეულებითი სამართლის ნორმას შეუძლია შეცვალოს სახელშეკრულებო ნორმა.

დიპლომატიური პროტოკოლი ამასთან ერთად, აგრეთვე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დიპლომატიური პროტოკოლის ნორმები - ესაა საერთაშორისო სამართლის კოდიფიცირებული ნორმები და საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმები, მისი პოლიტიკური ფუნქცია მეორეხარისხოვანია და დიპლომატიური პროტოკოლის ნორმების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა (სატისფაქცია, რეტორსია). სატისფაქცია - საერთაშორისო სამართლის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი ფორმა, რაც გამოიხატება საერთაშორისო სამართლის დამრღვევი სახელმწიფოს მიერ საკუთარ ქმედებაზე მორალურ-პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებაში. სატისფაქცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელი არ არის ზიანის ანაზღაურება კომპენსაციის ან - რესტიტუციის გზით. სატისფაქცია შეიძლება გამოიხატოს ბოდიშის მოხდით, სინანულის გამოთქმით, საკუთარი ქმედების უკანონობის აღიარებით და ა.შ.

რეტორსია კი სახელმწიფოს ცალმხრივი, მართლზომიერი სახის ქმედებაა, რომელიც ხორციელდება მეორე სახელმწიფოს არამართლზომიერი ქმედების საპასუხოდ. ვინაიდან რეტორსია უკანონო ქმედებაზე რეაგირებას წარმოადგენს, იგი ამ ქმედების პროპორციული უნდა იყოს და მისი შეწყვეტისთანავე უნდა შეწყდეს. რეტორსიულ ზომად ძალის გამოყენება ან ძალის გამოყენების მუქარა დაუშვებელია. რეტორსიის მაგალითს წარმოადგენს ადრესატი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის შეზღუდვების დაწესება.

ამგვარად, დიპლომატიური პროტოკოლის ნორმების წარმოშობა საერთაშორისო სამართლის კოდიფიცირებული ნორმებთანაა დაკავშირებული, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალთან, ეროვნული კანონმდებლობასა და სახელმწიფოს ეროვნულ ტრადიციებთან. საერთაშორისო საზოგადოების განვითარების თანამედროვე მასშტაბები, მსოფლიოში კონფლიქტურობის და კრიზისული სიტუაციების ზრდის კვალობაზე, საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოთა დასჯადობის ორმაგი სტანდარტების არსებობა (ძლიერები აკეთებენ იმას, რაც სურთ, ხოლო სუსტები იმას, რაც შეუძლიათ, ძლიერებს არავინ სჯის, ხოლო სუსტებს ასამართლებენ) დღის წესრიგში აყენებს არსებული საერთაშორისო ნორმების გადახედვის აუცილებლობას, შესაბამისად, ცვლილებები უნდა შევიდეს დიპლომატიური სამართლის ნორმებშიც მათი გამკაცრების და სავალდებულოდ შესრულების თვალსაზრისით.

(, , ,)
, , -)
..
Natalia Lazba

Sources of diplomatic protocol, etiquette and issues of legal assurance

Resume

Knowledge of main rules of communication between states and nations developed throughout centuries ensures strengthening of their relations, security, peaceful cohabitation and political settlement of conflicts. All this is important for solving many difficult problems. At the present stage scales of social development, global problems, rapid development of information technologies cause destruction of diplomatic practice. Therefore, in international relations a topical problem is development of practical diplomacy, its adaptation to current rapid-changing situation.

Emergence of norms of diplomatic protocol is connected with codified norms of international law, international law, national

legislation and state national traditions. Modern scales of development of international society, conflicts and crisis situations worldwide, double standards of state punishment in international relations (strong states do what they want and weak ones do what they can, therefore, strong states are not punished and weak ones are) makes it necessary to revise existing international norms. Therefore, diplomatic norms also require changes in order to make them stricter and obligatory.

საჯარო მმართველობა
Public Administracion**რეგიონალური და მუნიციპალური**
ელექტრონული მთავრობის კონცეფციის
ზოგიერთი ასპექტი

გიგა ფარტენაძე
ირაკლი მანველიძე

ელექტრონული მთავრობა, რომელიც საინფორმაციო საზოგადოების აუცილებელი ელემენტია, მიზნად ისახავს ისეთი სისტემის შექმნას და განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ერთი მხრივ, სახელმწიფო მართვის ეფექტიან გაზრდას, მეორე მხრივ კი მოქალაქეზე/საზოგადოებაზე ორიენტირებულ, მაღალი დონის სამთავრობო მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების უტილიზაციის გზით. შესაბამისად, ჩვენეული გაგებით, ელექტრონული მთავრობა, ეს არის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ადმინისტრაციული ფუნქციების გამართვების მიზნით ეფექტური მთავრობის შექმნა, რომელიც

მოქალაქეებსა და სხვა საზოგადოებრივ სუბიექტებს საჯარო ინფორმაციის თავისუფალ წვდომის, ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის და მონიტორინგის, სახელმწიფო სერვისების ოპერატიულ მიღების, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების, სახელმწიფო მართვის პროცესში მათი ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს.

ელექტრონული მთავრობა იმ დოკუმენტებით მუშაობის ავტომატიზაციაა, რისთვისაც მოქალაქეები მიმართავენ სახელმწიფო უწყებებს სხვადასხვა ცნობების, ლიცენზიების და სხვა ფორმალური აქტების მიღებისთვის და საკუთარი განსაზღვრული საქმიანობის დაკანონებისთვის. ამავე დროს, მოქალაქეებისათვის ეს არის შესაძლებლობა თვალი მიადევნონ მათ განცხადების, თხოვნის, წინადადებების, მოთხოვნების შემდგომ მსვლელობას. აქედან გამომდინარე, ელექტრონული მთავრობა, ეს არის სახელმწიფო მართვის ფორმების და მეთოდების ერთობლიობა, მომსახურება გაუწიოს მოქალაქეებს, ორგანიზაციებს და ხელისუფლების სხვა ორგანოებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეთავაზებული მომსახურების და უწყებათშორის ორგანიზაციის ოპტიმიზაციის მიზნით. ამავე დროს გაზარდოს საზოგადოების მონაწილეობის დონე სახელმწიფო მართვის სფეროში.

საქართველოში საჯარო მმართველობის სფეროში რეფორმების მიმდინარეობის არსებული სიტუაცია ურთიერ-

თსანინაალმდეგო თავისებურებებით ხასიათდება. საქართველოში ეს კიდეც უფრო ნათლად ჩანს ელექტრონული მთავრობის განვითარების კუთხით. ვინაიდან, თუ ჩვენ ამ უკანასკნელს განვიხილავთ, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის რეფორმირების მნიშვნელოვან ელემენტად, მაშინ ქვეყანას უნდა გააჩნდეს თანმიმდევრული პოლიტიკა ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის განვითარების კუთხით სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე. საქართველოს რეალობაში, აჭარის ავტონომია მართვის რეგიონალურ დონეს ქმნის. სამწუხაროდ, ელექტრონული მთავრობის განვითარების კუთხით, დღემდე არსებულ ყველა სახელმწიფო დოკუმენტში ელექტრონული მთავრობის რეგიონალური დონის განვითარებაზე საუბარიც კი არ არის.

ელექტრონული მთავრობა განიხილება ისეთი ტექნოლოგიის ხარისხში, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს უკვე არსებული საჯარო სტრუქტურების მუშაობის სპეციფიკა და ახლებურად მოახდინოს ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე მათი ურთიერთქმედების სისტემის ორგანიზება. ეს მოიცავს ახალი „თამაშის წესებსაც“, რომლებიც ეხება ამ ურთიერთქმედებას.

სამწუხაროდ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტენსიური ჩართვის ტემპები რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დონეზე ჯერ კიდევ დაბალია, ვიდრე სხვა სფეროებში. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მმართვე-

ლობის აღნიშნულ დონეებზე ძირითადად, შიდაუნეებრივ ხასიათს ატარებს. ძირითადად ყველა სახელმწიფო მართვისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა შექმნეს საკუთარი ინტერნეტ-საიტები, სადაც განლაგებულია საინფორმაციო, საძიებო და დაზუსტებული-ნორმატიული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მათი საქმიანობის სფეროებთან, თუმცა მათი შინაარსობრივი, ტექნიკური და ფუნქციური მხარეები მოუწესრიგებელია. სახელმწიფო ინფორმაციული სისტემების შექმნის მიმართულებით ხორციელდება გარკვეული პროექტები და პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცედურების ავტომატურ ერთობლიობას, ინფორმაციის შესწორებას და შენახვას, რაც აუცილებელია ცალკეული ორგანოების მიერ ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისათვის. ამავდროულად, ინფორმაციული რესურსების დიდი ნაწილი, როგორც ცენტრალური სახელმწიფო მართვის, ასევე რეგიონალურ და მით უფრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ფორმირდება ნორმატიული ინფორმაციული ბაზის არარსებობისა და არაკოორდინირებული მუშაობის პირობებში.

რეგიონალური და მუნიციპალური მთავრობის კონცეფციის განხილვისას ზოგადად უნდა ამოვიდეთ ელექტრონული მთავრობის მოდელების განხილვიდან. დღესდღეობით მსოფლიოში არ არის ცალსახად მიღებული ერთი რომელიმე ელექტრონული მთავრობის განვითარების კონკრეტული მოდელი. საერთაშორისო ორგანიზაციები და ცალკე-

ული მეცნიერები უპირატესობას ანიჭებენ ამა თუ იმ მოდელს იმ პირობიდან გამომდინარე, თუ რომელი მაჩვენებელი არის პრიორიტეტული მოდელის აგების დროს (რესურსები, ტექნოლოგიები, ვებ-ნვდომა) ზოგადად, ელექტრონული მთავრობის განვითარების ეტაპები ზოგიერთი ავტორის შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსია, თუმცა განსხვავებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების და სისრულეში მოყვანის ეტაპების რაოდენობა და ამ ეტაპების მახასიათებლები და მაჩვენებლები.

საქართველოში ელექტრონული მთავრობის განვითარების კუთხით, პირველადი ან პრიმიტიული, წინასწარი, ინტერაქტიული და ტრანსაქციური დონეები ნაწილობრივ მიღწეულია. რაც გულისხმობს, რომ მთავრობას აქვს შექმნილი ვებ-გვერდები, მთავრობა აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველი სტრუქტურების შესახებ. ე.წ. „ლინკები“ უკავშირდება საარქივო ინფორმაციას, დოკუმენტებს, მოხსენებებს, კანონებს, რეგულაციებს, მიმდინარე სიახლეებს; მთავრობა უზრუნველყოფს მოსახლეობას ფორმებით გადასახადების შესავსებად, ლიცენზიების გასახლეზად. არსებობს ინტერაქტიური პორტალები ან ვებ-გვერდები, რათა უფრო ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი გახდეს მოსახლეობის დროული და ხარისხიანი მომსახურება; მთავრობა მოქალაქეებთან ორმხრივი ურთიერთქმედების შედეგად, ტრანსფორმირებას განიცდის. მომსახურების ეს ტიპი სთავაზობს არჩევანს გადასახადების გა-

დახდის პროცესში, ონლაინ რეჟიმში გაიცემა პირადობის, დაბადების მონმობები, პასპორტები და ლიცენზიები, ხდება მათი განახლება, ასევე სხვა ურთიერთქმედებები 24/7 უწყვეტ რეჟიმში. თუმცა, მსგავსი რამ შეუძლებელია რომ ვთქვათ ელექტრონული მთავრობის რეგიონალური დონის შეფასების დროს.

რამდენად არის შესაძლებელი ელექტრონული მთავრობის არსებული მოდელები და დონეები განვიხილოთ რეგიონალური ელექტრონული მთავრობის განვითარებისათვის საქართველოში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსგავსი მოდელების გამოყენება სერვისული მომსახურების კუთხით, რეგიონალური ელექტრონული მთავრობა განვითარებისათვის არამართლზომიერია. ჩვენ მიგვაჩნია, ელექტრონული მთავრობის მეორე, მესამე და მეოთხე დონის განვითარება უზრუნველყოფილია საქართველოში ელექტრონული მთავრობის განვითარების ზოგად ეროვნული პროგრამით, როცა ელექტრონული სერვისების მომსახურების უზრუნველყოფა მთლიანად ცენტრალური საჯარო დაწესებულებების პრეზერვატივაა.

რეგიონალური ელექტრონული მთავრობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია პირველი და მეხუთე დონის უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი გულისხმობს შერწყმის დონეს, როცა მთავრობა მოსახლეობასთან ჰარმონიულ ერთობას წარმოადგენს, რომელიც ხალხის მოთხოვნებს ინტეგრირებული ერთიანი ინფრასტრუქტურის მეშვეობით აკმაყოფილებს. ეს უმაღლესი, ყველაზე რთული დონეა ონლაინ

მომსახურებისა და ხუთი მახასიათებელი გააჩნია: ა. ჰორიზონტალური კავშირი (სახელმწიფო დაწესებულებებს შორის); ბ. ვერტიკალური კავშირი (ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებთან); გ. ინფრასტრუქტურული კავშირები (ინტეგრირებული სისტემა); დ. კავშირი მთავრობებსა და მოქალაქეებს შორის; ე. უწყვეტი კავშირი მომხმარებლებს შორის: მთავრობას, კერძო სექტორს, აკადემიურ ინსტიტუტებს, არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებასთან. მთავრობა ყველანაირად ეხმარება მოქალაქეებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ასპექტების ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ცენტრალურ დონეზე ელექტრონული მთავრობის განვითარების მმართველობითი ღონისძიებების სისტემა უნდა შემუშავდეს, რომელიც ელექტრონული ადმინისტრირების მიმართულებით უნდა მოიცავდეს შემდეგ შესასრულებელ ამოცანებს:

შეიქმნას და განვითარდეს მართვის ცენტრალური, რეგიონალური და მუნიციპალური ფუნქციების და მომსახურების ოპტიმიზაციის ანალიტიკური სისტემა, როგორც სახელმწიფო მმართველობის სრულყოფის ინსტრუმენტი;

მოხდეს სახელმწიფოს მართვის ცენტრალური, რეგიონალური და მუნიციპალური ორგანოების და ორგანიზაციების საინფორმაციო-ელექტრონული ურთიერთობების უზრუნველყოფა ელექტრონულ ფორმატში სახელმწიფო და

მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროცესის ფარგლებში;

დაზუსტდეს და მოხდეს სრულყოფილება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ უწყებათშორის ელექტრონული ურთიერთობების სისტემებს შორის ურთიერთობების მექანიზმები და ტექნოლოგიები;

შემუშავდეს უწყებათშორის ელექტრონული ურთიერთობების სისტემის შექმნის და განვითარების დოკუმენტი, რომელის საფუძველზეც უნდა დაიხვეწოს არსებული უწყებათშორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა;

შეიქმნას ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს უწყებათშორის ელექტრონული ურთიერთობის ცენტრალური სისტემის უწყვეტ მუშაობას, რომელიც დაკავშირებული იქნება სისტემაში სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების თუ სხვადასხვა სუბიექტების მზარდ ჩართვასთან;

განვითარდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ინტერნეტ ქსელის უსაფრთხოების სეგმენტი;

გაიზარდოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაფინანსება სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების საქმიანობაში.

მოხდეს ელექტრონული ციფრული ხელმოწერის მომხმარებელთა ავტორიზაციის და იდენტიფიკაციის მექანიზმების სრულყოფილება ელექტრონული მართვის და მომსახურების ყველა დონეზე.

სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მონ-
ყობის კუთხით საქართველოში ელექტრონული მთავრობის
განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს,
რომ განვითარების ღერძი უფრო ვერტიკალურია ვიდრე
ჰორიზონტალური, რაც კიდევ უფრო უფუნქციოს გახდის
რეგიონალურ სახელმწიფო სტრუქტურებს. ჰორიზონტა-
ლური განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია საქმისწარ-
მოების ავტომატიზირებული სისტემები ქაოსური დანერგვა
მუნიციპალიტეტებში.

საგულისხმოა, რომ ელექტრონული მთავრობის ჰორი-
ზონტალურმა და ვერტიკალურმა განვითარებამ უნდა უზ-
რუნველყოს ელექტრონული მთავრობის ცენტრალური, რე-
გიონალური და მუნიციპალური ადმინისტრაციების ჰარმო-
ნიული ურთიერთქმედება.

რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლების ორ-
განობში საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის
დანერგვა მართალია ხელს უწყობს ელექტრონული მთავრო-
ბის G&G სახეობის განვითარებას, მაგრამ ნაკლები ყურად-
ღება ექცევა G&C სახის განვითარებას, რომელიც მოქალა-
ქეების ინტერაქციის საშუალებაა.

ვფიქრობთ, რომ რეგიონალურ დონეზე ელექტრონუ-
ლი მთავრობის განვითარების კუთხით, მნიშვნელოვანია
ელექტრონული კომუნიკაციის ელემენტების გაძლიერება.
ზოგადად, საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციის
ოთხი მთავარი სფეროა განსაზღვრული: უკუკავშირი ელექ-

ტრონულ სერვისებთან მიმართებაში, ელექტრონული სერვისების შემუშავებაში ჩართულობა, ღია მონაცემები, გამჭვირვალობა, ღია მმართველობა და ბოლოს, გადაწყვეტილების მიღება და პოლიტიკის შემუშავება.

უკუკავშირის მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: კომენტარების/საჩივრის საშუალება, ანუ ვებ-გვერდის ბოლო თავი, ჩამოსაშლელი მენიუ სერვისის მინოდების შემდეგ და ა.შ.; ონლაინ ჩატები ან სწრაფი მოკლე ტექსტური შეტყობინების ფუნქცია; ფორუმები, ბლოგები; ონლაინ კვლევა ან კონსულტაციები; ონლაინ გამოკითხვები; სოციალური მედიის გამოყენება. აჭარის მთავრობის ერთიან პორტალ www.adjara.gov.ge-ზე არ არის განთავსებული ზემოთ-დასახელებული ერთი უკუკავშირის მექანიზმიც კი. თუ არ ჩავთვლით ისეთ მოძველებულ სერვისს, როგორცაა „მოგვწერეთ“. ამავე დროს ყველას გააჩნია ოფიციალური ფეისბუქ-გვერდები. თუმცა ისინი არ არის გათვლილი კონკრეტული მომსახურებებისა თუ მომხმარებლის სეგმენტზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ელექტრონული კომუნიკაციის კვლევის მიხედვით, აჭარის ა/რ საჯარო ინსტიტუტების ვებ-გვერდები ძირითადად ორიენტირებულია ცალმხრივ კომუნიკაციაზე, რაც ინფორმაციის გაცვლაში გამოიხატება და არ უზრუნველყოფს ისეთი განხილვის პლატფორმას, როგორცაა ბლოგ-ფორუმები. იმ ვებ-გვერდების უმრავლესობას, რომლებზეც მონიტორინგი ჩატარდა, არ აქვს ონლაინ

სერვისების შეფასების ფორმები, რომლის მეშვეობითაც მოხდება პრობლემის იდენტიფიცირება და აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება მოქალაქეებთან ერთად. ვებ-გვერდს www.adjara.gov.ge არ აქვს სპეციალური მოდული, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა მსურველს, დატოვოს კომენტარი სხვადასხვა სამთავრობო გადანყვეტილებების, პროექტების, ღონისძიებების შესახებ და ამ გზით გამოხატოს თავისი მოსაზრება. ვებ-გვერდი არ მოიცავს ელექტრონულ პეტიციებს.

სამსუბაროდ, ელექტრონული კომუნიკაციის ელემენტებს თითქმის არ ექცევა ყურადღება „ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის“ პროექტში, რომელიც მუნიციპალური ელექტრონული მმართველობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

რეგიონალური და მუნიციპალური მთავრობის კონცეფციიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დავაჩქაროთ პრობლემების გადანყვეტა, რომელიც აბრკოლებს ეფექტურ ურთიერთობებს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებას შორის, საჭიროა ჩატარდეს კოორდინირებული ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ინფორმაციული შეხვედრები მმართველობის ყველა დონეზე. ცენტრალურ დონეზე, პირველ რიგში, აუცილებელია შეიქმნას ელექტრონული მმართველობის საერთო ინფრასტრუქტურის ნორმატიული რეგლამენტაცია, კერძოდ კი: მომზადებულ იქნას ნორმატიული

სამართლებრივი აქტების სისტემა, საკითხების სამართლებრივი რეგულირებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ხელისუფლების ყველა ორგანოში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვასთან, რეგიონალური და მუნიციპალური საინფორმაციო სისტემის შექმნასა და ექსპლუატაციასთან, მათი თანაარსებობის უზრუნველყოფასთან, საინფორმაციო უსაფრთხოების ერთიანი მოთხოვნების დადგენასთან.

უნდა განხორციელდეს უწყებათშორის საინფორმაციო ურთიერთობების ნორმატიულ-სამართლებრივი რეგლამენტაცია იმ სახელმწიფო და მუნიციპალური ფუნქციების შესრულებისთვის, რომლებიც წარმოდგენილია სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურება, მათ შორის განისაზღვროს ელექტრონული ურთიერთობების სუბიექტი, ობიექტი და საგანი.

რეგიონალური ელექტრონული მთავრობის განვითარების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა საკუთრივ უნდა წარმოადგენდეს იმ პროგრამულ კომპლექსს, რომელიც მოიცავს მონიტორინგს და განვითარების ინდექსის შემუშავებას. ეს უკანასკნელი გამოხატავს რეგიონალური ელექტრონული მთავრობის არსებულ მდგომარეობას.

რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნეს:

ელექტრონული მთავრობის ფორმირების ერთიანი სტანდარტების დანერგვა, რომელიც შემუშავებული იქნება ცენტრალურ დონეზე;

საზოგადოებრივი დაშვების შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, ფართო მასებისათვის იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის, რომელიც ინტერნეტში განთავსდება სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას შესახებ და, რომელიც ამავე დროს მისცემს შესაძლებლობას მოსახლეობას ადგილზე მიიღოს სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურება ელექტრონული ფორმით.

შესაბამისი ტექნოლოგიური ბაზის შექმნა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო თუ ადგილობრივ დონეზე მართვის ორგანოებს გაუადვილდებათ ინტერნეტში ინფორმაციის შეუფერხებლად განთავსება და მომსახურების განწევა.

მიუხედავად ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის განვითარების პროცესში არსებული წინსვლისა, ელექტრონული მთავრობის შექმნა და ფორმირება რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომელიც ხშირად წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს, მათ შორისაა:

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურული და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შექმნის პროექტების რეალიზაციაში აშკარაა ცენტრალური დონის აქტივობის სიძლიერე;

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა, რომლებიც პასუხს აგებენ რეგიონალური და მუნიციპალური მომსახურების ინფორმატიზაციაზე, სისტემატიზაციაზე და რეგლამენტაციაზე. ასევე მოახდენს მოქმედებების კოორდინირებას ცენტრალურ დონეებთან.

ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, რეგიონალური და მუნიციპალური ორგანოებისათვის შესაბამისი დახმარების განწესის (მატერიალურ-ტექნიკური, ტექნოლოგიური, მეთოდური) საჭიროება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შექმნის პროექტების განხორციელებაში.

განსხვავებით ცენტრალური დონისა, რეგიონალური და მუნიციპალური ორგანოების მოსამსახურეების მხრიდან გამოცდილების არქონა, ახალი ტექნოლოგიური მმართველობის სპეციფიკის არცოდნა და შესაბამისი კომპეტენციის არქონა;

სხვადასხვა დონის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური სისტემების ინტეგრირების და თავსებადობის უზრუნველყოფაში სირთულეების არსებობა: სახელმწიფო მმართველობის ყოველი აღმასრულებელი და რეგიონალური და მუნიციპალური ორგანოები დამოუკიდებლად ახდენენ უნიკალური პროგრამული უზრუნველყოფის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დანერგვას.

საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპლექსური პროექტების დანერგვის ეფექტურობის შეფასებაში არსებული სირთულეები, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფო მართვის სხვადასხვა დონეებზე განხორციელებული მსგავსი პროექტების შეფასების მეთოდიკა არ არსებობს;

რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტების განხორციელების სარგებლიანობის დაბალი ეფექტურობის მაღალი წილის გამო მათი დაფინანსების პრობლემა;

ელექტრონული მთავრობის შექმნის პროცესთან დაკავშირებით, სახელმწიფო მართვის ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე საერთო ხედვის არარსებობა;

ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე საერთო მეთოდოლოგიის და სტანდარტების არ არსებობა;

იმ ნორმატიულ-სამართლებრივი ნორმების არარსებობა, რომელიც დაარეგულირებდა საინფორმაციო სისტემების დანერგვის პროცესში მუშაობის კოორდინაციას ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებს შორის.

ჩამოთვლილი თავისებურებები და სირთულეები არსებით დაბრკოლებას წარმოადგენს ელექტრონული მთავრობის შექმნის გზაზე რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე. ვფიქრობთ ეს განპირობებულია, რეგიონალური და მუნიციპალური ორგანოების მხრიდან სუსტი რეაქციით იმ ცვლილებებთან მიმართებით, რომლებიც პრინციპულად

ახალ მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ორგანოებს. ეს არის პრინციპულად ახალი მოთხოვნები მოსახლეობასთან და სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობების ახალი მექანიზმების გამოყენებისთვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურების განხორციელება. შესაბამისად, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ორგანოების ყურადღება კონცენტრირებული უნდა იყოს მოსახლეობასთან ურთიერთობების ახალი ორგანიზაციული სისტემების შექმნისა და დანერგვისკენ, ან არსებულის გაუმჯობესებისკენ ახალი ორგანიზაციული მონაცემების შექმნის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

**Giga Phartenadze
Irakli Manvelidze**

**Some aspects of regional and municipal electronic
government's concept**

Resume

Current situation concerning reforms in the field of public administration in Georgia is characterized by controversial features. If we look at the development of electronic government in Georgia as an important element of reforming state and municipal governance systems then the state should have consistent politics concerning development of electronic government in the country at all levels of state governance. In Georgian reality Adjarian autonomy represents regional level of governance. Unfortunately, in all of the currently

existing state documents concerning development of electronic governance nothing is said about development of regional level of electronic government.

Usage of information-communication technologies at regional and municipal levels has mainly intradepartmental character. Almost all state and local self-government units have created their own internet sites which provide the news, search-adjusted and normative information concerning their fields of activity though their content, technical and functional aspects are not regulated.

As for development of electronic government at regional level it is important to strengthen elements of electronic communication. From the standpoint of regional and municipal government's concept it is necessary to conduct coordinated organizational-technical informative meetings at all levels of governance so that to faster solve problems hindering effective relations between state agencies and the society at regional and municipal levels. At the central level firstly it is necessary to create statutory regulation for common infrastructure of electronic governance, more precisely to prepare a system of normative legal acts for legal regulation of issues that are connected with establishment of electronic documentation system in all state agencies, creation and exploitation of regional and municipal information system, insurance of their cohabitation and definition of common requirements of informational security.

**ლიდერის ფენომენი ვაჟა-ფშაველას
შემოქმედებაში***ხათუნა მურადიშვილი*

საქართველო მსოფლიო კულტურული ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენს. ის მრავალფეროვანია როგორც რეალურად არსებული ისტორიული გმირებით ასევე გამოგონილი ლიტერატურული პერსონაჟებით, რომლებიც ქართველი ადამიანის ბუნებასა და მის ძირითად მახასიათებლებს გადმოგვცემს.

ქართული ლიტერატურა მდიდარია პერსონაჟებით, რომლებიც ისტორიულად არსებული რეალური პიროვნებები არიან და ავტორსაც მათი დახასიათება კონკრეტულ ისტორიულ ჭრილში აქვს წარმოდგენილი. მათი მეშვეობით ქართულმა საზოგადოებამ მიიღო ისტორიული მოვლენის მხატვრული პერფორმანსი და შეექმანა სრული შთაბეჭდილება ამ ეპოქისა და მისი გმირის - ლიდერის შესახებ. ქართულ ლიტერატურას ჰყავს ასევე ავტორები, რომლებმაც არ არსებული, ან ჩვენამდე მოუღწეველი გმირის სახე შექმნეს, რომლითაც გვაჩვენეს, რომ ასეთი გმირებიც არსებობენ და მათ გარკვეულწილად საზოგადოებაში ლიდერების ფუნქცია შეასრულეს.

როდესაც ქართველი კაცის ბუნებაზე და მის პიროვნულ თვისებებზე გვაქვს საუბარი მთელ ქართველ შემოქმედებს შორის სახასიათო და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვაჟა-ფშაველას და მის უკვდავ პერსონაჟებს, რომლებმაც ზეკა-

ცის სახეები მოირგეს და ავტორმა გვაჩვენა თუ როგორი და-
მოკიდებულება იყო საზოგადოებაში თემს, ადათ- ნესებსა და
გმირებს შორის.

ვაჟა-ფშაველა ქართული ფენომენია, ის განეკუთვნება
იმ ჭეშმარიტ მამულიშვილთა რიცხვს, რომლებიც მიუხედავად
მათი გარდაცვალებისა, მაინც უდიდეს სამსახურს უწევენ თა-
ვიანთ სამშობლოს. ვაჟას შემთხვევაში კი ეს სამსახური ისეთი
სახასიათო პერსონაჟების შექმნაში გამოიხატება, რომლებიც
ქვეყნის სამსახურში არიან და მათი იდეა მუდამ მარადიული
და თანამედროვეა.

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში სრულქმნილად განხორციელ-
და XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშ-
ვნელოვანესი მიზანდასახულება — ეროვნული ეპოპეის შექ-
მნის ამოცანა. სამი საწყისი განსაზღვრავს მისი ეპიკური შე-
მოქმედების პათოსს: ჰეროიკული, ტრაგიკული და ჰუმანის-
ტური პოემები, რომელთაგან მთავარი ადგილი უჭირავს
„ალუდა ქეთელაურს“ (1888 წ.), „ბახტრიონი“ (1892 წ.),
„სტუმარ-მასპინძელი“ (1893 წ.), „გველის მჭამელი“ (1901 წ.).

ვაჟა-ფშაველას პერსონაჟების სულიერი თვალსაწიერი
ზოგჯერ ვერ თავსდება დაკანონებული ზნეობრივი ნორმების
ჩარჩოებში. ცხოვრება მოითხოვდა ძირეულ გარდაქმნას, რაც,
პოეტის რწმენით, შესაძლებელი იყო მხოლოდ სულიერად
სრულქმნილი, ძლიერი პიროვნების ტიტანური შემართებით.
მძაფრ კოლიზიას ამგვარ პიროვნებასა და ვინრო უტილიტა-

რული ინტერესებით შეზღუდულ საზოგადოებას შორის ავლენს „გველის მჭამელი“. მინდიას სწრაფვა სამყაროს იდუმალებათა შეცნობისაკენ შერწყმულია ადამიანთათვის თავდადებული სამსახურის ძლიერ წადილთან.

ვაჟას გმირები თავის თემსა თუ სოფელში რჩეულები არიან, თავისი მორალით, გამჭრიახობითა და ღირსეული ქმედებებით. ყველანი ამ ნიქს რალაც კონკრეტული მოვლენის ზეგავლენით იძენენ. ვაჟამ თავის შემოქმედებაში შესანიშნავად წარმოაჩინა წინააღმდეგობა იდეალებსა და რეალობას შორის. ცხოვრება ხანდახან შურისძიებას, მახვილის ხელში აღებას ითხოვს ადამიანისაგან, მაგრამ ვაჟამვე გაგვაფრთხილა, რომ მტერობა უსასრულოდ გაგრძელდება, თუ ადამიანებში სიკეთის სხივები ჩაკვდა, თუ მასში შეცოდების სურვილი მოისპო, თუ ისინი მტერში მხოლოდ მოსისხლეს დაინახავენ და არა ადამიანს. ამიტომაც არ ნებდება ვაჟა რეალობის მკაცრ გარდუვალობას და ადამიანის სულის უფაქიზეს და უღრმეს ფენებს იძიებს, აგნებს ადამიანის სულიერ სამყაროში დამარხულ ხელუხლებელ და უჩინარ საუნჯეებს. მისი ალუდა, ჯოყოლა, მინდია თუ სხვანი აკონინებენ და ინარჩუნებენ ვაჟაკაცობისა და გმირობის დაუშრეტელ უნარს, სწორედ ეს უნარი აიძულებთ მათ მტერშიც მოყვასი ეძიონ.

საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ გვყავდა გამოორჩეული ლიდერები, რომლებიც მტერთან სისხლისღვრისა და შურისძიების ნაცვლად, საჭირო დროს მოლაპარაკებებსაც და დაზავებასაც წარმართავდნენ. შეუძლებელია ერი ყოველ-

თვის შურისძიებით ცხოვრობდეს. მას უნდა ჰყავდეს ისეთი ლიდერები, როგორებიც არიან ვაჟას ალუდა და ჯოყოლა. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მტერს ალუდასა და ჯოყოლას თვალი-თაც უნდა შეხედონ.

ამიტომაც ვაჟას პოემათა გმირების ალუდა ქეთელაურის, ჯოყოლასა და მინდიას ზნეობრივი სამყარო, შინაგანი თავისუფლება მკვეთრად იხატება არა მხოლოდ ვაჟას მიერ წარმოდგენილი არქაული თემის ფონზე, არამედ ამ გმირთა სულიერი მისწრაფებანი მთელი კაცობრიობის კუთვნილი უნივერსალური გრძნობები, სიკეთე და სათნოებაა.

ვაჟას ამ პოემებიდან ისიც აშკარაა, რომ ადამიანს უფლება აქვს ეძიოს ჭეშმარიტება, ეძიოს ღმერთი, უფლება აქვს ემსახუროს უმაღლეს მიზნებს, ასეთმა მისწრაფებამ შეიძლება მიიყვანოს იგი ღმერთის მოძიებამდე. მისი გმირები თანამოდმეებზე როგორც ამაღლებულნი ასევე მათგან გარიყულნიც ხდებიან. მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ ვაჟა-ფშაველას სწორედ მათი საშუალებით გვაგრძნობინებს სამშობლოს, საერთოდ მშობლიური კუხთისადმი სიყვარულის ყოვლისშემძლეობას. მისდაუნებურად თანამოდმეებთან დაპირისპირებულ ალუდას ფიქრადაც არ მოსვლია თემის და მისთვის ტომთა გაკიცხვა: „ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ, ნუ გადიქცევით ცეტადა“, - მიმართავს ქეთელაური ოჯახის წევრებს. ანდა ჯოყოლამ როგორი თავგანწირვით დაიცვა თავისი ხალხი და შეებრძოლა ხევსურებს. მან თვითონვე თქვა, რომ იგი მისი ხალხის მოლალატე არ იყო.

აშკარაა, რომ ვაჟას ზოგადსაკაცობრიო შინაარსისა და თემატიკის მქონე პოემები „აღუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ სავსეა სამშობლოსადმი სიყვარულის დიდი გრძნობით. ეს, ალბათ გენიალურ ქმნილებათა ერთ-ერთი თვისებაცაა „რამდენადაც ღრმაა ნაციონალურად ხელოვნების ქმნილება, იმდენად ზენაციონალურია იგი. ღრმა აქ გულისხმობს „ეთნოგრაფიულზე“ მაღლა დგომას“.

სწორედ ეს არის ფასეული და მნიშვნელოვანი ვაჟას შემოქმედებაში. სწორედ ამიტომ იქნება მისი ნაწარმოებები ყოველთვის აქტუალური და თანამედროვე. ვაჟამ საოცარი ოსტატობით მოგვანოდა თავისი სათქმელი - შინაგანმა თავისუფლებამ ადამიანს შეიძლება მისცეს ძალა და უნარი გაარღვიოს რელიგიური თუ წარმომავლობის ჩარჩოები, ამაღლდეს იგი ზოგადსაკაცობრიო იდეალებამდე, მაგრამ დარჩეს ნამდვილ პატრიოტად, თავისი ხალხის ერთგულ შვილად და უწინამძღვროს მას. ჭეშმარიტი პატრიოტობა თანამოძმეთა იდეალებისა და შეხედულებისადმი ბრმა მორჩილებას როდი გულისხმობს. სწორედ ნამდვილი პატრიოტი ეძებს იმ უნივერსალურს, ზოგადს, რაც მის პიროვნებას სიკეთისაკენ წარმართავს, მის თანამოძმეთაც წაადგება, ზნეობრივად უფრო ამაღლებს და გააკეთილშობილებს. სწორედ ვაჟას პიროვნებაში და მის შემოქმედებაში ამ ჯანსაღი აზრის არსებობის გამო არ ეწინააღმდეგება ალუდას, ჯოყოლას თუ მინდიას სულიერი მისწრაფებანი მათ დიდ პატიოტულ გრძნობებს. ფაქტია, რომ

ეს გმირები არ არიან რაღაც არაბუნებრივი პიროვნებანი, არ დგანან განყენებულად და განცალკევებით ვაჟას შემოქმედებებიდან. მათი ადამიანური თვისებები, ზნეობრივი სამყარო და ქმედებანი თვითონ ვაჟას სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებიდან, მისი ჯანსაღი მოქალაქეობრივი პოზიციიდან არიან აღმოცენებულნი.

ამრიგად, ვაჟას გმირები ნამდვილი ლიდერები არიან, რადგან ყველა იმ თვისებას იძენს ზეამაღლებულობით, რაც სასურველია, რომ ლიდერს გააჩნდეს. მისი პოემები შესანიშნავ მაგალითებად გამოდგება თანამედროვე პოლიტიკური ლიდერის ფორმირებისათვის. პოეტი ამბობს, იმის ნაცვლად, რომ დავძლეთ ლაშქრობით, ხმლების ქნევით, გულისკარნახს უნდა მივყვეთ და ვალიაროთ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი“. ეს მართლაც უნიკალური მოვლენაა.

განვითარების თვალსაზრისით ვაჟას ეპოქა ბევრად განსხვავდება თანამედროვე ეპოქისაგან. საქართველო ბევრად წინ წავიდა ვიდრე ეს XIX საუკუნის ბოლო ან XX საუკუნის დასაწყისია, მაგრამ პოემებში განხილული პრობლემები, თანამედროვე სახით დღესაც არსებობს. დიდი ფუფუნებაა ყავდეს ქვეყანას, თანაც ისე პატარას, როგორიც საქართველოა, ვაჟას გმირების მსგავსი გამჭრიახი და ზეამაღლებული ლიდერები, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად არის ქართული საზოგადოება მზად, რომ შეითვისოს და მიიღოს გენიალური ლიდე-

რის ფენომენი. ვაჟას პოემებში სწორედ ეს შეუთასებლობა და ზეკაცსა და საზოგადოებას შორის უსკრულის წარმოქმნამ შექმნა თვითეული გმირის, როგორც პირადული ისე გლობალური სახის ტრაგედია. თითქოს ერთი შეხედვით სამივე ალუდა, ჯოყოლა და მინდია ბედნიერები უნდა იყვნენ, რომ მათ ხვდათ წილად ბედნიერება ეხილათ და შეეგრძნოთ ჭეშმარიტება, მაგრამ თუ ეს ჭეშმარიტება იმ საზოგადოებამ არ გაიზიარა რომელშიც ზეადამიანი ცხოვრობს, მაშინ ეს ნიჭი და უნარი მისთვის შესაძლოა დამლუპველიც აღმოჩნდეს.

თანამედროვე ლიდერის ჭრილში შეიძლება თამამად გავიზიაროთ ვაჟას მაგალითები, რომ ლიდერის მთავარ ფუნქციას, არა მხოლოდ მისი ცნობიერების ამაღლება, არამედ ამ ცნობიერებამდე საზოგადოების აყვანა უნდა წარმოადგენდეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ლიდერსა და საზოგადოებას შორის ყოველთვის იქნება უფსკრული, ვერასოდეს შედგება კომუნიკაცია, რაც ყველა ერთად აღებული ქვეყნის დეგრადაციას, ინსტიტუტების რღვევასა და სხვადასხვა სახის პრობლემებს წარმოშობს.

ვაჟა-ფშაველამ თავისი სახასიათო პერსონაჟები შექმნით მოგვცა უნიკალური მაგალითები, თუ რა პრობლემა შეიძლება შეექმნას ლიდერს, რჩეულს სახელმწიფოს მართვისას, რომ ლიდერის ფენომენი პატრიოტიზმით უნდა იყოს განმსჭვალული და შემდგომ უნდა გადაიზარდოს კოსმოპოლიტიზმში. თუ ლიდერი ძლიერი იდეების მატარებელია ის აუცი-

ლებლად კოსმოპოლიტი გახდება. ვაჟა ღიად საუბრობს თავისუფლებაზე და გვაცდევს იმ ფორმულას თუ რა საზღვრებში უნდა იჯდეს ზოგადად ადამიანის თავისუფლების გაგება და შესაბამისად, როგორ უნდა იმოქმედოს ქვეყანაში ლიდერმა ისე, რომ არც სხვისი თავისუფლება შეზღუდოს და არც მისი იქნეს საზოგადოებისაგან შეზღუდული.

ამრიგად, ვაჟას შემოქმედება საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის, პოლიტიკური ლიდერის ფორმირების კუთხით ფასდაუდებელ მოვლენას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

გრ. რობაქიძე, ვაჟას ენგადი (ბარათი სამშობლოსადმი), წიგნში: გრ. რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, კრებული, თბ., 1996

ვაჟა-ფშაველა, „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამობატულებით“, თხზ., ტ. 9.

თ.ჩხენკელი, მშვენიერი მძლევარი, თბ., 1989;

„...“, ,, 1961, გვ. 31

დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა, შემოქმედი და მოაზროვნე, თბ., 1989.

XX

XIX

Khatuna Muradishvili**The phenomenon of the leader in creativity of Vazha Pshavela**

Resume

Georgia is the part of world's cultural civilization. It is diverse as the existing historical heroes as well as fabricated literal characters, which express Georgians character.

When we talk about Georgian character and personal features, we loudly and proudly should talk about Vazha Pshavela and his immortal characters, who are supermen. With their character the author shows us what kind of dependence was in the society between community and heroes.

Vazha Pshavela's heroes are real leaders, because they have all features which is desired to have a leader .

Vazha's age is quite different from modern epoch. Nowadays Georgia is much more increased and developed as it was in XIX and beginning of XX centuries , but the problem which the author discussed in his creations is still actual. For such a small country like Georgia- it is great luxury to have such a smart leaders as Vazha Pshavelas heroes are .

**თანამედროვე ლობისტების მიერ
სამთავრობო მხარდაჭერისათვის
საზოგადოებრივ აზრის მართვის ზოგიერთი
ასპექტის შესახებ**

სალომე კინწურაშვილი

სამართალდამცავმა რესურსმა Consumer Watchdog-მა დაითვალა, რომ უმსხვილესმა ამერიკულმა ტექნოლოგიურ-მა კომპანიებმა, მათ შორის Apple-მა და Facebook-მა, უცებ გაზარდა ხარჯი ლობიზმზე-თავიანთი ინტერესების დაცვა, მთავრობაში, პარლამენტში და სასამართლოებში სააგენტოების დახმარებით, რომლებიც სპეციალიზირებული არიან მსგავსი საკითხების ბიზნესში. „Лента.ру“-მ გადანყვიტა გამოერკვია, საერთოდ როგორ ფუნქციონირებს ლობიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც, ამ „რუხ“ ბაზარზე თამაშისათვის გამომუშავებულია ყველაზე დეტალური ნებსებია გამომუშავებული.

ლობიზმი შეერთებულ შტატებში თვით სახელმწიფოსთან ერთდროულად გაჩნდა და მართვის დემოკრატიული სისტემა ხელს უწყობდა მის სწრაფ განვითარებას. მაგალითად ხშირი არჩევნები, ყოველთვის ნიშნავდა პოლიტიკოსების დამოკიდებულებას ხალხის აზრზე, ხოლო დანაკარგებისა და წინააღმდეგობების სისტემა კარნახობდა, რომ აუცილებელი იყო მუდმივი დიალოგი ხელისუფლების სხვადასხვა

შტოსთან. ამგვარად, ქვეყანაში პროფესიონალ პოლიტიკოსთა მთელი ფენა გაჩნდა, რომელთაც მოეთხოვებოდათ, საკუთარი ამომრჩევლების მოთხოვნების ცოდნა, ხოლო საჭიროებისამებრ-საკუთარ კოლეგებზე ზემოქმედების მექანიზმი, კანონის ფარგლებში.

შეერთებულ შტატებში, იურიდიულ ფუნდამენტად ლობისტური საქმიანობისათვის, კონსტიტუციის პირველადი ცვლილება გვევლინება, რომელიც, გარდა რელიგიური თავისუფლებისა, სიტყვის თავისუფლების და კონგრესისადმი მიმართვის საშუალებას გარანტიას იძლევა.

მე-19 საუკუნის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ლობიზმი უფრო ნაკლებად იყო გავრცელებული ფედერალური ბიუროს დონეზე აშშ-ში, ვიდრე შტატების დონეზე. მდგომარეობა „მოოქროვილი საუკუნის“ დასაწყისსა (1870-1890 წლები) და შემდეგ პროგრესიზმის ეპოქაში შეიცვალა, (1890-1920 წლები). ქვეყნის სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ და ფედერალური ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდამ, ინტერესის გამძაფრება გამოიწვია, დედაქალაქში პოლიტიკური ცხოვრების გავლენაზე.

სხვა ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობდა ლობიზმის განვითარებას, გახდა ძალაუფლებიანი კორპორაციების გაჩენა. მსხვილ ბიზნესს არ ერიდებოდა გამოეყენებინა ისეთი არაკანონიერი მეთოდები, როგორცაა, მოსყიდვა, ასევე ლეგალური მეთოდების-პოლიტიკოსების, საზოგადოებრივი

აზრისა და მედიის სპონსორობა. კონგრესმენები, სენატორები, მოსამართლეები და მაღალი თანამდებობის მქონე ჩინოვნიკები, მე-20 საუკუნის დასაწყისში, გახვეული იყვნენ, ლობისტური სტრუქტურების ქსელში. 1912 წლის საპრეზიდენტო, წინასაარჩევნი კამპანიის დროს, მისმა შემდგომმა გამარჯვებულმა ვუდრო ვილსონმა, განაცხადა, რომ აშშ-ს მთავრობა გვევლინება სხვა არაფრად, თუ არა გავლენის ჯგუფის მომსახურედ, რომელსაც საკუთარი ნება არ გააჩნია.

დაახლოებით იმავე დროისთვის, სახელისუფლო ორგანოების დამოკიდებულება მსხვილ ბიზნესზე, მკვეთრი კრიტიკის საგანი გახდა საზოგადოების მხრიდან. 1912 წლის არჩევნებში, დემოკრატი ვილსონის წარმატება პირდაპირ იყო დამოკიდებული მის დაპირებებთან, ბოლო მოელო კორუფციისათვის და მონოპოლიის გაბატონებისათვის.

პირველი სერიოზული მცდელობა, დარეგულირებულ იყო ლობიზმის ინდუსტრია, უკვე 1920-იან წლებში გაჩნდა. 1928 წელს, სენატმა მიიღო კანონი, რომელიც ავალდებულებდა ლობისტებს, დარეგისტრირებულიყვნენ კონგრესში, თუმცა წარმომადგენელთა პალატამ ეს კანონი დაბლოკა. მსოფლიოში არასტაბილური მდგომარეობის გამო, 1938 წელს, კონგრესმა მოიწონა უცხოელ აგენტთა დარეგისტრირების კანონი (FARA, Foreign Agents Registration Act.) კანონი ავალდებულებდა ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებდნენ სხვა სახელმწიფოების ინტერესების მიხედვით, დარე-

გისტრირებულიყვნენ იუსტიციის სამინისტროში და რეგულარულად ეწარმოებინათ ანგარიშები საკუთარი საქმიანობისა და დაფინანსების წყაროების შესახებ.

ომის შემდგომ, აშშ-ში ამოქმედდა კანონი, ლობიზმის ფედერალური რეგულაციის შესახებ, (Federal Regulation of Lobbying Act, FRILA), რომელიც 1946 წელს დამტკიცებული იქნა კონგრესის მიერ. ეს კანონი გამოირჩევა იმით, რომ მასში მოცემულია პირველი თანამედროვე განმარტება იმაზე, თუ ვინ არის ლობისტი. ეს არის ადამიანი „რომელიც, ან თვითონ ან საკუთარი აგენტების ან დაქირავებული პირების მეშვეობით, პირდაპირ ან ირიბად, დაკავებულია საჩუქრების, შემოწირულობების ან სხვა შენატანების შეგროვებით, რომელიც შემდგომში, გამოყენებული უნდა იქნეს, პირველ რიგში, აშშ-ს კონგრესში, საკანონმდებლო პროცესზე, პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედებისათვის“. კანონი ავალდებულებდა ლობისტებს, დარეგისტრირებულიყვნენ კონგრესში და მიეწოდებინათ ანგარიში საკუთარი მოქმედებების, კერძოდ, კონგრესის წევრისათვის ნებისმიერი სახის შემოწირულობის შესახებ, რომელიც აღემატებოდა 500 აშშ დოლარს.

1954 წელს, უმაღლესმა სასამართლომ, უმნიშვნელოდ შეავიწროვა FRILA-ს გამოყენება. კონგრესის წევრებს მიეცათ ლობირების უფლება, რეგისტრაციის გარეშე, იმ პირობით, თუ ამისათვის დახარჯავდნენ საკუთარ და არა მოზიდულ სახსრებს. გარდა ამისა, ლობისტების განსაზღვრებიდან ამო-

ღებული იქნა ჯგუფები, რომლებიც ენეოდნენ ირიბ ლობირებას, რაც საზოგადოებრივი აზრის შექმნას ნიშნავდა.

კანონის ასეთმა ვიწრო ფორმულირებამ, გავლენა იქონია მის ეფექტურობაზე. FRLA-ს მოქმედების მთელი ისტორიის მანძილზე, ის მხოლოდ ერთხელ იქნა გამოყენებული. 1956 წელს, ორი ლობისტი Superior Oil Corporation , იქნა დაჯარიმებული, არასამართლებრივი გავლენისა და 2.5 ათასი დოლარის შემონიშნულობის გაღებისათვის სენატორისთვის, ფრენსის კეის (Francis Case) სამხრეთ დაკოტისაგან.

ახალი ეტაპი, ლობიზმისადმი საზოგადოებრივი უკმაყოფილებისა, მეორეს მხრივ კი „გავლენის აგენტებ“-ის მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდისა, 1970-იან წლებში დაიწყო. ეს პირდაპირ იყო დაკავშირებული უტორგეიტულ დებოშთან და ფართო აუდიტორიის, კორუმპირებული ვაშინგტონისაგან, გადაღლასთან. ლობისტების გავლენის ზრდაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სენატის ყველა მცდელობა, გაემკაცრებინა მათზე კონტროლი, კრახით დასრულდა. ლობისტები აპელირებდნენ კონსტიტუციის პირველად ცვლილებაზე, რომელიც მათი ქმედებების კანონიურობის გარანტიას იძლეოდა.

FRLA- წარუმატებელი კანონის შეცვლის აუცილებლობამ და შემდგომმა კორუმპირებულმა დებოშებმა, მოითხოვა, კანონმდებლობის ინდუსტრიისათვის ეპოქალური კანონის მიღება ლობისტური საქმიანობის გამჭვირვალობაზე

(LDA, Lobbying Disclosure Act). მის განხილვას და შეთანხმებას, კონგრესში სამი წელი-1992-დან 1995-მდე დასჭირდა. კანონი უწოდებდა ლობისტს ნებისმიერს, ვინც სამთვიანი პერიოდის განმავლობაში, მიიღებს 2.5 ათას დოლარზე მეტს ლობისტური საქმიანობისათვის და ლობიზმს უთმობს საკუთარი დროის 20 პროცენტზე მეტს. ორგანიზაცია აღიარებული იქნება ლობისტურად, იმ შემთხვევაში, თუ სამი თვის განმავლობაში მას დაგეგმილი აქვს დახარჯოს 10 ათას დოლარზე მეტი, საკუთარი კლიენტის ინტერესების წარმოჩენისათვის. კომპანიები და კერძო პირები, რომლებიც დაკავებული არიან ლობიზმით, უნდა დარეგისტრირდნენ კონგრესში და წარადგინონ ანგარიში საკუთარი ქმედებების შესახებ.

LDA-ს მდგომარეობა გამკაცრებული იქნა 2007 წელს, როცა მიიღეს კანონი კერძო ლიდერობაზე და ღია მთავრობაზე, (HLOGA, Honest Leadership and Open Government Act.) მან გაამკაცრა ლობისტურ კომპანიებზე, კონგრესის წევრებზე და მთავრობის მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებზე კონტროლი. კერძოდ, სენატორებისათვის, რომლებმაც დატოვეს პოსტი, საჭირო იყო ორწლიანი პაუზა, მანამ, სანამ შეძლებდნენ ისინი დაკავებულიყვნენ ლობისტური პრაქტიკით. მაღალი თანამდებობის მქონე ჩინოვნიკებისათვის დაწესებული იყო სამუდამო აკრძალვა, იმ სფეროში ლობისტურ მოღვაწეობაზე, რომელსაც ისინი კურირებდნენ მთავრობაში მუშაობის დროს.

ლობისტებს აეკრძალათ კონგრესის წევრებისათვის საჩუქრის შეთავაზება, რომლის მიღებაც არღვევდა ეთიკის ნორმებს კანონმდებლებისათვის. გარდა ამისა, კონგრესმენები და სენატორები ვალდებული იყვნენ თვითონვე დაეფარათ კერძო თვითმფრინავით მგზავრობის საფასური.

თავისი წარმოშობიდანვე, ლობიზმი დაკავშირებული იყო კულუარულ გარიგებებთან და ფარულ მოლაპარაკებებთან. მიუხედავად ამ სფეროს ეკონომიკაში, გამჭვირვალობის გაზრდის ძალისხმევისა, მისი ანალიზის დროს, გარდაუვალია კერძო მითქმა-მოთქმა იმაზე, რომ საუბარი მიდის მხოლოდ K-street-დან კომპანიების (ქუჩა ვაშინგტონში, რომელზეც მდებარეობს ყველაზე წარმატებული ლობისტური კომპანიები) ღია სტატისტიკაზე.

აშშ-ში სამოქალაქო კონტროლს ლობისტურ კომპანიებსა და აგენტებზე აწარმოებენ მთელი რიგი ორგანიზაციებისა. მათ, პირველ რიგში განეკუთვნებათ ისეთები, როგორიცაა პასუხისმგებლური პოლიტიკის ცენტრი (Center For Responsive Politics), საჯარო დამკვირვებელი, (Public Citizen) მომხარებელთა დამცველები (Consumer Watchdog) და სხვა. ყველა ესენი, თავისებურად შეიძლება ჩაითვალოს ლობისტურ სტრუქტურებად.

პასუხისმგებლური პოლიტიკის ცენტრის მონაცემებით, რომელიც ეფუძნება კონგრესის ოფიციალურ მონაცემებს, ვაშინგტონში 2013 წელს, დარეგისტრირებულია 11455 ლო-

ბისტი. ეს უფრო ნაკლებია ვიდრე 2012 წელს, როცა ქალაქში მოქმედებდა 12426 ლობისტი, მაშინ როცა, მაქსიმალური რაოდენობა დარეგისტრირებული „გავლენის აგენტებ“-ისა 2006 წელს იყო 15 ათასი. ნათელია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებით აიხსნება 2012 წელს ლობისტებზე მნიშვნელოვანი დანახარჯი, რომელმაც შეადგინა 3,31 მილიარდი დოლარი. 2013 წელს, ოფიციალური მონაცემებით, დახარჯული იქნა მხოლოდ 1,62 მილიარდი დოლარი. რეკორდული მაჩვენებელი აღინიშნებოდა 2010 წელს, როდესაც ლობიზმის ინდუსტრიის მოცულობამ 3,55 მილიარდი დოლარი შეადგინა. როგორც წესი, ლობისტებზე დანახარჯების ზრდა, ემთხვევა საპრეზიდენტო არჩევნებს ან კონგრესის შუალედურ არჩევნებს.

Washington Post-ის ინფორმაციით, 2013 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში, აშშ-ს ათი ყველაზე შემოსავლიანი ლობისტური კომპანიის მოგება სამი პროცენტით-173,6 მილიონი დოლარიდან, 168,3 მილიონამდე დაეცა. გამოცემაში, ამ ინდუსტრიის დანაკარგი დაკავშირებული იყო, დემოკრატიებსა და რესპუბლიკელებს შორის გამართული დაუნდობელი დაპირისპირებით, რაც ართულებს კანონების მიღებას და ამცირებს ლობისტების წარმომადგენლობითი პალატისა და სენატის წევრებთან მუშაობის ინტერესს

ლობისტების კლიენტებს შორის, პროგნოზირებადი სახით ლიდერობენ აშშ-ს უმსხვილესი კომპანიები და კომერციული გაერთიანებები. არასრული 2013 წლის განმავლო-

ბაში, სავაჭრო პალატამ, უმსხვილესმა ლობისტმა, თავისი ინტერესების წინ წამოწევაზე, დახარჯა 38,5 მილიონი დოლარი, რიალტორების ეროვნულმა ასოციაციამ 17,6 მილიონი დოლარი, ხოლო General Electric-მა 9,9 მილიონ დოლარზე მეტი. დემოკრატების განზრახვის გათვალისწინებით, გაატარონ მაშტაბური რეფორმა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ლობისტების ძირითად კლიენტებად გამოდიან სამედიცინო სფეროს საწარმოები. ყველამ ერთად, 2013 წელს, თავისთვის სარგებლიანი იმიჯის შექმნაში ჩადეს 117 მილიონზე მეტ დოლარი.

ამასთანავე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ უდიდესი სპექტრი, ლობისტური სტრუქტურების მოქმედებისა არ ხვდება რეგულირების სფეროს ქვეშ. კერძოდ, საუბარია სატელივიზიო რეკლამაზე, დაბალ ფენებში პოლიტიკური კამპანიების ორგანიზებაზე, ინტერნეტ რეკლამებზე დანახარჯებზე. ლობისტური ხარჯის ნაწილი გადის ხარჯის სხვა სტატიით, რაც ხელს უშლის ლობისტური სექტორების მდგომარეობის ზუსტ შეფასებას. ამ ფაქტზე არაერთხელ მიუთითებდნენ სპეციალისტები.

ლობისტების ეფექტურობის სიმპტომატიკურ მაგალითად ასევე შეიძლება გახდეს SOPA-ს (Stop Online Piracy Act) კანონპროექტი, რომელიც მიმართულია ინტერნეტში პირატული ქმედებების წინააღმდეგ. მისი განხილვის დასაწყისში, დოკუმენტს, კონგრესში მხარს უჭერდნენ როგორც დემოკ-

რატები, ასევე რესპუბლიკელები. გარდა ამისა, კანონმდებლების ნაწილი ვარაუდობდა, რომ კანონპროექტი შეიძლება გახდეს ორპარტიული მმართველობის საფუძველი, რაც მხოლოდ ზრდიდა მისი მიღების შანსს. ბიზნეს-გარემოში SOPA-ს აგტირებდა Disney, Mastercard, Visa, სავაჭრო პალატა და სხვა ძალაუფლებიანი ორგანიზაციები.

წინააღმდეგ გამოვიდნენ, კომპიუტერული კომპანიები- Google, Yahoo, Twitter, Facebook. მათი მხარდამჭერები ენეოდნენ მასობრივ ინფორმაციულ სამუშაოს, არწმუნებდნენ რა საზოგადოებას იმაში, რომ SOPA დაარღვევს მათ უფლებებს. SOPA-ს მონინააღმდეგენი არწმუნებდნენ კონგრესმენებს იმაში, რომ მიღების შემთხვევაში, კანონი მოახდენს ნეგატიურ გავლენას ინტერნეტზე და შეზღუდავს ამერიკელების თავისუფლებას. შედეგად, რამდენიმე თვის შემდეგ, კონგრესი იძულებული გახდა უარი ეთქვა SOPA-ზე.

„ინტერნეტ-ლობიზმის“ გამარჯვებამ აჩვენა, რომ მომავალში ეს ინდუსტრია უფრო აქტიურად იქნება ჩართული ქსელში და თავისი მიზნების მისაღწევად გამოიყენებს დაბალი ფენების მობილიზაციას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმიტომ, რომ ის არ ხვდება (ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით) უმეტესობა არსებული შეზღუდვების ქვეშ და არის ხელმისაწვდომი.

კონგრესის რესურსების მონაცემების საფუძველზე, Consumer Watchdog-მა გამოთვალა, რომ ლობისტებზე დანა-

ხარჯით პირველ ადგილზე, კომპიუტერულ კომპანიებს შორის არის Google, რომელმაც ჩაღო 3,4 მილიონი დოლარი. ცოტათი ნაკლები შეადგინა Microsoft-დანახარჯმა-2,2 მილიონი დოლარი, Facebook-მა მიმართა ლობისტებზე 1.4 მილიონი დოლარი, Apple-მა კი, 960 ათასი დოლარი.

ძირითადი თავისებურებები SOPA-ს წინააღმდეგ ლობისტების ბრძოლისა, ნათელს ხდის ლობიზმის ინდუსტრიის მთელ არსს. მაშინ როცა, ლობისტები იცავენ კონკრეტული ორგანიზაციების ინტერესებს, მათ შორის უდიდესი კორპორაციებისა, მათი წარმატება მაინც დამოკიდებულია საზოგადოებრივ მხარდაჭერაზე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლობისტმა უნდა დაარწმუნოს პოლიტიკოსები და მოსახლეობა, რომ მისაღები კანონი ან ახალი შეზღუდვა ემსახურება საერთო კეთილდღეობას. SOPA-ს შემთხვევაში, უმრავლესობის შიში, დაეკარგათ ინფორმაციისადმი წვდომა, აღმოჩნდა უფრო ძლიერი, ვიდრე, ზოგიერთი დაჯგუფებების ნაწილის ინტერესები, ჰქონოდათ გარანტირებული უფლება ინტელექტუალური თავისუფლებისა და მასზე მიზმული შემოსავლებისა არსებობისა.

ლობიზმის ნეგატიური აღქმა არ არის უსაფუძვლო. მაგრამ, როგორც თვითონ ლობისტები ამტკიცებენ, მათი ნეგატიური იმიჯი ძლიერ არის გაზვიადებული. საბოლოოდ, ლობიზმი, სრულიად შეიძლება იქნას განხილული, როგორც პიარის ან საზოგადოებრივი დიპლომატიის ერთ-ერთი ფორ-

მა, რომელთა ძირითადი მცნება არის-გულახდილი ტყუილის აკრძალვა.

ლობირება, თანამედროვე, განვითარებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ სტრუქტურებში ძალიან მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ადგილს იკავებს, გამოდის რა ბიზნესს, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ინტერესთა შეთანხმების ინსტრუმენტად, ცივილიზებული საფუძველით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, ლობირების ადგილის სწორად განსაზღვრა, ბიზნესს საზოგადოების ინტერესების პოლიტიკურ და ეკონომიკურ წარმომადგენლობით სისტემაში. განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს ეკონომიკური ლობირების პრინციპებს და სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის სამართლიანობის კრიტერიუმების შემუშავებას. ამ პრობლემების გადაწყვეტა არის აქტუალური მიზანი, რომელსაც გააჩნია არსებითი ეკონომიკური მნიშვნელობა.

საერთაშორისო ლობიზმის ახალი სისტემების ფორმირებისას, მათ შორის მისი ისეთი სახეობისა, როგორც რეგიონალური ასევე ადგილობრივი, ერთ-ერთ კონკრეტულ ქვეყანაში, ლობიზმს არა აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს იურიდიული საფუძველი. ამასთანავე, არ არსებობს სერიოზული საფუძველი მისი აკრძალვისა, როგორც საერთაშორისო სტრუქტურებისა, თუ მათ არ გააჩნიათ ნათელი კრიმინალური მიმართულებები,-ლობისტური პროექტების დამკვეთები

და შემსრულებლები საერთოდ არ არიან შეზღუდული საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

პრინციპში, ლობიზმი, იყო და იქნება წინააღმდეგობების გადალახვა, წარმომადგენლობაში კორპორატიული ინტერესების აქტუალურ მოთხოვნებსა და მისი აღრიცხვის ლეგიტიმური მექანიზმის არ არსებობას შორის. ფაქტიურად, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო, სადაც იკვეთება ხელისუფლებისა და სხვა ვექტორების ინტერესები, არის ლობისტური სტრუქტურებისა და ორგანიზაციების კონტროლის ქვეშ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ეს შუალედური სტრუქტურები, არიან არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღებზე გავლენის ინტრუმენტი, არამედ ლობისტური მოღვაწეობის ობიექტებისათვის, დამატებითი მოგების წყარო. კვლევების საინტერესო და მნიშვნელოვან ასპექტად ჩნდება ლობისტური მოღვაწეობისა და კორუფციის გადაკვეთის პრობლემა, რომლებიც წარმატებით თანამშრომლობენ და ავსებენ ერთმანეთს, ლეგალური ლობიზმის არსებობის პირობებშიც კი.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები მიგვითითებენ, წარმოქმნილი სიცარიელის შევსების აუცილებლობაში, რომელის ჩნდება კვლევებში ლობიზმი და მისი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში, და ამასთანავე მიყვანილ იქნეს თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა ლობისტური კომუნიკაციის შესწავლისათვის, იმასთან დაკავშირებით, რომ გაჩნდეს

მეცნიერული აღწერის და ადეკვატური კვლევითი შეფასების შესაძლებლობა, როგორც ცალკეული ლობისტური კომპანიების საკომუნიკაციო თავისებურებებისა, ასევე მთლიანობაში ლობიზმის ტენდენციების განვითარებისა.

Salome Kintsurashvili**About some aspects of public opinion management for
government support of modern lobbyists**

Resume

Nowadays, to rule the public opinion and the governance by lobbyist, is the mainly actual and important theme. Lobbyism, as a political influence, is very spread in modern life. In leading countries, lobbyist has a very strong influence on the public opinion and the governance. Simply to say, they can effect, for example, on making a law, or on the results of referendum or the elections, using for this, the mobilization of the social classes, to achieve their goal. Due to this, it's not amazing, that lobbyism, causes the scientific interest.

In general, we can say, that lobbyism may be reviewed as the form of PR or the public diplomacy.

**აჭარის რეგიონის საჯარო დაწესებულებების
საზოგადოებასთან კომუნიკაციის
სტრატეგიის შეფასებისათვის***მეგი ფარტენაძე*

საჯარო დაწესებულებების მთავარ მიზანს გამჭვირვალე საქმიანობა და საზოგადოებასთან დიალოგი გზით მოქალაქეთა ნდობის მოპოვება უნდა წარმოადგენდეს.

მოქალაქეებმა საჯარო დაწესებულების საქმიანობისა და მათ მიერ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დაწერგილი სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიიღონ, რომ მოქალაქეებმა შეძლონ კომუნიკაციის განხორციელება მარტივად და დაბრკოლებების გარეშე. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია თითოეულ საჯარო დაწესებულებას, მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებული ჰქონდეს საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგია, რომლის გათვალისწინებითაც კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდება და განისაზღვრება განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა.

აჭარის ა.რ. საჯარო დაწესებულებები მაქსიმალურად ცდილობენ ინფორმაციული გახადონ და დახვეწონ ოფიციალური ელექტრონული რესურსები (ვებ-გვერდები, სოციალური ქსელები), საჯარო დაწესებულებების ნაწილი, საინტერესო ელექტრონულ სერვისებს და ინიციატივებსაც სთავაზობს მომხმარებელს.

აჭარის ა.რ. სამთავრობო უწყებებიდან საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, მოვახდინეთ საჯარო დაწესებულებების მოქალაქეებთან ურთიერთობის სტრატეგიის, ელექტრონული რესურსების გამოყენების ხარისხის და კომუნიკაციის დონის შეფასება. შეკითხვები დაეგზავნა 16 ავტონომიური რესპუბლიკის და მუნიციპალურ საჯარო დაწესებულებებს: აჭარის ა.რ. მთავრობა, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, ქ. ბათუმის მერია, ქ. ბათუმის საკრებულო, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველო, აჭარის გარემოს დაცვის სამმართველო, აჭარის ა.რ. სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ქედის მუნიციპალიტეტი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, შუახევის მუნიციპალიტეტი, ხულოს მუნიციპალიტეტი.

აჭარის ა.რ. საჯარო დაწესებულებების კვლევა საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის კუთხით საინტერესოა, ვინაიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა მხოლოდ ერთ საჯარო დაწესებულებას - აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ჰქონდა შემუშავებული. ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის სახელმძღვანელო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიის განმსაზღვრე-

ლი ზოგადი დოკუმენტი აღმოაჩნდა აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატს, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს. ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულებით ხელმძღვანელობენ მასმედია და მოქალაქეებთან კომუნიკაციის პროცესში შუახვევის მუნიციპალიტეტი, ქ. ბათუმის მერია. ქ. ბათუმის მერიში საზოგადოებასთან ურთიერთობების სამოქმედო გეგმა დამუშავების სტადიაშია, ხოლო აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველო ზოგადი დებულებით და საარქივო კანონმდებლობით ხელმძღვანელობს საზოგადოებასთან ურთიერთობის განხორციელებაში. აჭარის ა.რ. გარემოს დაცვის სამმართველოს სამოქმედო გეგმა მხოლოდ იმ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალს შეიცავს, რომელთა განხორციელებაც უნდა მოხდეს.

დადებით ტენდენციად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საჯარო დაწესებულებების ნაწილი მოქალაქეებთან ეფექტურ კომუნიკაციას მნიშვნელოვნად მიიჩნევს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის დახვეწაზე მუშაობს.

ამრიგად, საჯარო დაწესებულებების უმეტესობას არ აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიული გეგმა. აუცილებელია თითოეულ საჯარო დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს საკომუნიკაციო სტრატეგია და დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელშიც

არამარტო ხედვები და პრიორიტეტები, არამედ დასახული მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი კონკრეტული საქმიანობები იქნება განერილი თარიღების მიხედვით და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების ვინაობების მითითებით. ასეთი დოკუმენტის არსებობა გაადვილებს კომუნიკაციას საზოგადოებას და მთავრობას შორის, უფრო შედეგიანს გახდის სამთავრობო დანესებულებების მუშაობას და გაცილებით მეტი ადამიანისათვის გახდის ხელმისაწვდომს სახელმწიფო სერვისებს.

აუცილებელია აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატში შეიქმნას საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი, რომელიც აჭარის ა.რ. საჯარო დანესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის ფორმირების ხელშეწყობაზე იზრუნებს და მისი შესრულების მონიტორინგს განახორციელებს.

აუცილებელია მოსახლეობის მუდმივი ინფორმირება საჯარო დანესებულებების საქმიანობების შესახებ. სხვადასხვა ინოვაციური სერვისების დანერგვის პარალელურად, უნდა მოხდეს მათი ფუნქციონირების შეფასება, პოპულარიზაცია და ამ მომსახურებებზე წვდომა მაქსიმალურად უნდა გაუმარტივონ მოსახლეობას.

საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისათვის კი აუცილებელია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენება მოსახლეობის ინფორმირებისა და მათთან ინტერაქციის დასამყარებლად. ყველა საჯარო დანესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც მა-

თივე განცხადებების თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, მაგრამ აშკარაა, რომ სამთავრობო უწყებების ძალისხმევა, ნაკლებად არის მიმართული მათი განვითარებისაკენ.

Megi Phartenadze

For evaluation of the strategy of public communication of Adjarian region's public institutions

Resume

Most public institutions don't have a strategic plan for public relations. It is necessary for every public institution to have a communication strategy and a detailed action plan which will include not only some visions and priorities but also concrete activities for achieving goals, the dates and responsible people. Such document will make communication easier between the society and government as well as will make the work of government bodies more result-oriented and make state services available for more people.

**მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება
მომსახურების სისტემაში**

*გენადი იაშვილი
ნანა ბრეგაძე*

ინფრასტრუქტურული საქმიანობის ეფექტურობის განსაზღვრისადმი არსებული მიდგომები მათი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით ფართოდაა წარმოდგენილი ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში და ძირითადად დაიყვანება ამ ეფექტურობის შეფასებაზე ან კერძო მაჩვენებლების სისტემის მეშვეობით, ან განმაზოგადებელი მაჩვენებლის საშუალებით, რომელიც ასახავს შედეგისა და მისი (შედეგის) მიღწევისათვის აუცილებელი რესურსების (დანახარჯების) შეფარდებას. მნიშვნელოვანწილად აღნიშნული პრობლემის გადაჭრის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებების არსებობა განპირობებულია მომსახურების განვითარების საქმიანობის სპეციფიკით, ინფრასტრუქტურის მისიის თავისებურებებით.

ცნობილია, რომ საწარმოო პროცესების განხორციელების უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურული საქმიანობის პროდუქტს წარმოადგენენ მომსახურების სხვადასხვაგვარი სახეობები - სარემონტო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო და სხვა სახეობები, რომლებიც განკუთვნილნი არიან საწარმოო სისტემის მატერიალურ-საგნობრივი ქვესისტემის მომსახურებისათვის, და სარეკრეაციო, სამედიცინო, საზოგადოებრივი

კვების სფეროში, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სფეროში - რომლებიც განკუთვნილნი არიან სანარმოო სისტემის საკადრო ქვესისტემისათვის. ინფრასტრუქტურული საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის მომსახურების განვება, ყოველგვარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ასე შემდეგ.

ამას გარდა, მიღებული განსაზღვრების მიხედვით, საკუთარი ინფრასტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციური საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს არა წარმოებული პროდუქციის, როგორც ასეთის, მოცულობის გაზრდაზე, არამედ ძირითადი წარმოების ეფექტურობის უზრუნველყოფაზე.[1]

მოცემულ პირობებში ინფრასტრუქტურული მომსახურების სტრატეგიის არჩევისას შეიძლება გამოყენებული იყოს ესა თუ ის მეთოდიკა, რომელიც აფასებს ურთიერთკავშირს ინფრასტრუქტურულ მომსახურებასა და მასზე დამოკიდებულ დანახარჯებს შორის. ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის სტრატეგიის არჩევანის კრიტერიუმად შეიძლება წარმოვიდგინოთ მაჩვენებელი, რომელიც ასახავს მთლიანობაში ჯამური დანახარჯების (დანაკარგების) მინიმიზაციის პოლიტიკას, რაც დამოკიდებულია არჩეულ სტრატეგიაზე.

საკუთარი ინფრასტრუქტურის დანახარჯები (დანახარჯები ორგანიზაციის ინფრასტრუქტურული ქვედანაყოფებით მომსახურებაზე) შეიცავენ:

- თანამშრომლების ხელფასს;

- გამოყენებული მასალებისა და სამარაგო ნაწილების ღირებულებას;
- გამოყენებული დანადგარების ღირებულებას;
- დანახარჯებს მუშაკების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- დანახარჯებს დანადგარების ტექნოლოგიურ მოდერნიზაციაზე;
- საიჯარო სამუშაოების ღირებულებას.

აქვე უნდა მივაკუთვნოთ დანახარჯები რესურსების სხვა სახეობებზეც, კერძოდ კი დანახარჯები საინფორმაციო რესურსებზე, რომლებიც გამოიყენებიან მართვის პროცესში და ექვემდებარებიან აღრიცხვას ორგანიზაციის ქვედანაყოფებს შორის კომერციული ხასიათის შემთხვევაში.[2]

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკუთარი ინფრასტრუქტურის დანახარჯების შემადგენლებია რესურსული პოტენციალის (მატერიალურ-საგნობრივი, საკადრო, საინფორმაციო და ასე შემდეგ) ნორმალური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ყველა სახის დანახარჯების ჩამონათვალი, რომელიც ჩნდება ინფრასტრუქტურული ქვედანაყოფების უშუალოდ საწარმოო საქმიანობისას (მომსახურების განწევის დროს). იმ შემთხვევაში, როდესაც იერარქიის ყველა დონეზე უზრუნველსაყოფი მომსახურება ორგანიზაციაში მიმდინარე საწარმოო პროცესებისათვის აღმოჩნდებიან მხოლოდ საკუთარ ინფრასტრუქტურად, მაშინ ჯამური ინფრასტრუქტურა-

ლი დანახარჯები გაუტოლდებიან იმ დანახარჯების ჯამს, რომლებიც ჩნდებიან ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის ყველა არსებულ დონეზე. საბოლოო ჯამში, ყველა ამ დონის დათვალიერებისას (დანყებული უკანასკნელი დანახარჯიდან პირველამდე) მათ ურთიერთკავშირში, ცხადი ხდება, რომ მთლიანობაში ისინი უზრუნველყოფენ ძირითადი საწარმოო პროცესის განხორციელების პირობებს (პირველი დონის რესურსების ნორმალურ მდგომარეობას).

ძირითადი წარმოების დანაკარგები შეიძლება გამოხატულნი იქნან ორგანიზაციის

საქმიანობის მიუღებელი ეფექტის სიდიდეში (წარმოებული პროდუქციისა ან მომსახურების მოცულობის მიხედვით, მოგების სიდიდის მიხედვით, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების (მაჩვენებლების) ვერმიღწევით, ძირითადი საწარმოო პროცესის პარამეტრების დაგეგმილიდან სხვადასხვა გადაცდომით, ინფრასტრუქტურული სისტემის არარსებობის ან არაეფექტური ფუნქციონირების შედეგად. მაგალითად, საწარმოო დანადგარების არა დროული ან უხარისხო მომსახურება იწვევს მის მოცდენას და შესაბამისად, წარმოებული პროდუქციისა თუ მომსახურების მოცულობების შემცირებას. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების არასრულყოფილი სისტემა, უარყოფითად აისახება საწარმოო პროცესის მართვის ფარგლებში მისაღები გადაწყვეტილებების დროულობასა და შინაარსზე. მთლიანობაში არადა-მაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის

შედეგად ორგანიზაციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი დანაკარგები გამოისახება მისი ძირითადი საქმიანობის საბოლოო შედეგებში, ორგანიზაციის იმიჯის დაკარგვაში, მისი (ორგანიზაციის) პერსონალის დემოტივაციაში და სხვა მახასიათებლებში, რომლებიც ზემოქმედებენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის დონეზე. [3]

რესურსების საჭირო მდგომარეობისათვის განეული გარე ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის დანახარჯები იერარქიის ამა თუ იმ დონეზე გაუტოლდება ჯამურ დანახარჯებს, ტრანზაქციურის ჩათვლით, მომსახურების მოცემული ვარიანტის პირობებში. გამარტივებულ შემთხვევაში ამ დანახარჯების სიდიდე შეიძლება ჩავთვალოთ გარე მომსახურების სახელშეკრულებო ფასის ტოლად.

ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის სისტემასთან მიმართებაში პროდუქტების (მომსახურების) წარმოების ვექტორების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ წარმოებული ინფრასტრუქტურული მომსახურების ერთობლიობა, ხოლო პროდუქტების (მომსახურების) შიდა ფასების ვექტორების ქვეშ კი უნდა ვიგულისხმოთ განეული ინფრასტრუქტურული მომსახურების საძებნი ფასები. ამგვარი მოდელის გადანყვეტა საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ის ოპტიმალური ფასები, რომლებითაც შეიძლება მომსახურების განევა რესურსების ნორმალური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად (საწარმოო პროცესების განხორციელების ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად).

თავის მხრივ, ამგვარად დადგენილი ფასები საკუთარი ინფრასტრუქტურის მომსახურებაზე შეიძლება განხილული იყოს, როგორც საბაზისო ფასები მათი შედარებისას გარე ფასებთან, რომლებითაც შეიძლება ანალოგიური ინფრასტრუქტურული მომსახურების განევა სხვა ორგანიზაციების მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა

О. Н. Балаева, М. Д. Предводителева „Управление организациями сферы услуг“, М., 2010;

Георгий Просветов: „Управление в сфере услуг: задачи и решения“, 2009;

Andreas Schibany, Martin Berger, „Forschung, Entwicklung und Innovation im Dienstleistungssektor“, 2007.

, ,

,

,

()

.

,

.

,

-

,

,

,

,

,

,

,

-

.

,

..

.

Genadi Iashvili
Nana Bregadze

Managerial Decision Making in the Service System

Resume

The current approaches towards the determination of the effectiveness of the infrastructure activities are widely reviewed in the literature dedicated to this problem with all of their merits and demerits and they are basically focused on the assessment of this effectiveness either through the system of private indexes or through the generalizing ones, which describe the correlation of the outcome and the resources (expenditures) required for achieving this outcome.

In great portion, the variety of opinions on finding a solution to this problem is coming out of the specifics of rendering service activities and the peculiarities of the infrastructure mission.

It is a well-known fact that the product of the infrastructure activities aimed at ensuring the implementation of manufacture process is the following types of services – repair, communication, transport and others, which are intended for serving the material-technical subsystem of the manufacturing system and in recreation, medical and catering spheres and in the spheres of professional training and re-trainings, which are intended for the staff subsystem of the manufacturing system. The significant direction of infrastructure activity is ensuring effective information services and safety norms and etc.

The present work covers the issues of managerial decision making in the service system.

სოციოლოგია
Sociology**სოციალური გარემოს როლი ორგანიზაციის
მართვის სტრატეგიაში***ინეზა ზოიძე*

ყოველ ორგანიზაციას ადამიანთა ჯგუფი ქმნის, რომელთა ერთობლივი და კოორდინირებული საქმიანობა საერთო მიზნების მიღწევაზეა მიმართული. ადამიანთა საქმიანობის ასეთი კოორდინაციის აუცილებლობას ხშირად თან ახლავს ზოგადსაორგანიზაციო და პირადი ინტერესების დაუმთხვევლობა, რაც ხშირად კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის წინაპირობად იქცევა, რამდენადაც ხშირად ხდება ადამიანთა მიერ ყურადღების გამახვილება მხოლოდ იმ შეხედულებებზე, ალტერნატივებზე და სიტუაციებზე, რომლებსაც ისინი თვლიან სასარგებლოდ მათი ჯგუფისა და პირადად თავისთვის. პირადულ მხარეს განსაზღვრავს ურთიერთქმედების მონაწილეთა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები, ტემპერამენტი, ხასიათი, უნარი, ურთიერთსიმპათია და ანტიპათია. საქმიანი და მორალური ღირსებები, ეთნიკური და კონფესიური კუთვნილება.

ორგანიზაციაში სოციალურად სტაბილური და ჰარმონიული გარემოს შექმნა, რეგულირება და კოორდინაციული მართვა, დიდად არის დამოკიდებული ხელმძღვანელი პირის ავტორიტეტსა და გამოცდილებაზე. გარკვეული კულტურების მენტალური გაგებით კარგი მენეჯერის მცნება დაკავშირებულია სოციალურად ორიენტირებულ პიროვნებასთან, ხოლო მოტივაციის ფაქტორებს კი განსაზღვრავს კოჭერენტული და სოციალურად სტაბილური გარემო. გამოცდილ ხელმძღვანელს შეუძლია გააერთიანოს ადამიანები, რომელთა შორისაც იყო უთანხმოება და შესთავაზოს დარეგულირების გზები. როგორც გამოცდილება და პრაქტიკული კვლევის მასალები აჩვენებს, ერთიანი სოციალური გარემოს შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა კოოპტაციაა. ეს ნიშნავს ზოგიერთი უკმაყოფილოს ჩართვას გადანყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, ხშირ შემთხვევაში კოოპტაციაზე უფრო ეფექტურ მეთოდად შეიძლება აღმოჩნდეს ორგანიზაციის სტრუქტურის ცვლილება. ეს არის კონფლიქტის დარეგულირების ყველაზე რადიკალური მეთოდი. სტრუქტურის ცვლილებას თან სდევს ძველი განყოფილებების ლიკვიდაცია და ახლების შექმნა, განყოფილებებს შორის ურთიერთობების გადახედვა და თანამშრომლების ხელახალი გადანაწილება.


სოციალური გარემოს თანამშრომლებიც ქმნის, რომლებიც გარკვეული სახით ასახავენ მთელი საზოგადოების თავისებურებებს. მათ განსხვავებული აქვთ ძალაუფლებებიც, ფინანსების და ორგანიზაციის გარეთ სოციალური კე-

თილდღეობაც. ეს განსხვავება შენარჩუნებულია ორგანიზაციის ფორმის, კანის ფერი, სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, გავლენას ახდენს ადამიანზე და ეს ფაქტორები ზემოქმედებენ თვითო ორგანიზაციაზეც.

საქართველოს მრავალ ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვის სფეროში არასახარბიელო ვითარება აღინიშნება ბოლო ათწლეულის მანძილზე. ხშირია კვალიფიციური კადრების შევიწროების და ორგანიზაციებიდან განდევნის ფაქტები, შრომით კოლექტივებში ჰარმონიული და თანამშრომლური გარემო იშვიათობას წარმოადგენს. სწორედ აღნიშნული პირობის დეფიციტი განაპირობებს იმას, რომ უმრავლეს შემთხვევაში ორგანიზაციებში ურთიერთობებში აღინიშნება დაძაბულობა მომუშავეთა შორის, რაც სხვადასხვა ინტენსივობის კონფლიქტების გამომწვევია. ყოველივე ეს ძლიერ აფერხებს ორგანიზაციების და ზოგადად, საზოგადოების განვითარების ტემპებს. აქედან გამომდინარე, აქტუალური ხდება ორგანიზაციებში იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც წარმოადგენენ მსგავსი ნეგატიური პროცესების გამომწვევ მიზეზებს, რათა შესაბამისი სამუშაოების ჩატარებით არსებული ვითარების გამოსწორებისთვის სათანადო გზების დასახვა მოხდეს. ამ მიზნით ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა სოციოლოგიური კვლევა ბათუმის რამდენიმე ორგანიზაციაში. მ ორგანიზაციებიდან 2 სახელმწიფო დაწესებულება იყო, 3- კერძო კომპანია. კვლევა მიზნად ისახავდა ორგანიზაციებში კონფლიქტების გამომწვევი


ფაქტორების შესწავლას და ორგანიზაციული კლიმატის ტიპური სურათის გამოკვეთას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 150-მა რესპონდენტმა. გენდერული შემადგენლობა: ქალი 77,8 %, კაცი-18,5 %. რესპონდენტთა საშუალო ასაკი 39 წელი იყო, მინიმალური - 22 წელი, ხოლო მაქსიმალური - 57 წელი, სამმა გამოკითხულმა არ მიუთითა ასაკი. ამათგან უმაღლესი განათლება აქვთ 90%, ხოლო დანარჩენს საშუალო. კვლევაში გამოყენებული იყო საკვლევი 30 პუნქტიანი კითხვარი (სტრატეგიები: დაპირისპირება, კომპრომისი, შეგუება, განრიდება, თანამშრომლობა) და „ორგანიზაციული კლიმატის“ საკვლევი 16 პუნქტიანი კითხვარი, რომლითაც ვანარმოებდით ორგანიზაციული კლიმატის შეფასებას შემდეგი ფაქტორების მიხედვით: 1. ლიდერობის სტილი; 2. მუშაკთა მოტივაცია; 3. კომუნიკაცია; 4. თანამშრომელთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში; 5. ორგანიზაციის მიზნების დასახვა; 6. სამუშაოს კონტროლი

კითხვებზე პასუხი %-ში „როგორ შეაფასებდით საკუთარ პოზიციას განყოფილებაში?“




თავიანთი დამოკიდებულება დეპარტამენტების მიმართ რესპოდენტებმა შემდეგნაირად გადაანაწილეს: გამოკითხულ 55% ყოველთვის გრძნობს საკუთარ თავს განყოფილების წევრად, ნაწილად; გამოკითხული 22,2% უმეტეს შემთხვევაში თავს თვლის განყოფილების წევრად; გამოკითხული 3,75% ხან გრძნობს თავს განყოფილების ნაწილად, ხან არა; რესპოდენტი 3,75% იშვიათად გრძნობს თავს განყოფილების წევრად; გამოკითხული 3,75% ცხოვრობს და არსებობს განყოფილებისგან განცალკევებით; 11,1 % გამოკითხულმა უპასუხა, რომ არ იცის. ანუ გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიაში მომუშავეთა დაახლოებით ნახევარი ნაკლებად ან საერთოდ ვერ უკეთებს საკუთარ თავს ინტეგრაციას ორგანიზაციაში.


გადახვიდოდით თუ არა თქვენ სხვა განყოფილებაში?



40,7 % ძალიან უნდა, რომ დარჩეს თავის ჯგუფში, 25,9 % უფრო მეტად დარჩებიან, ვიდრე გადავლენ, 22,2 % ვერ ხედავენ განსხვავებას საკუთარ და სხვა განყოფილებებს შორის, 11,1 % არ იციან გადავლენ თუ არა. მოცემული პასუხები ცხადყოფს, რომ მომუშავეთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ჯგუფს და არსებულ სოციალურ გარემოს.



გამოკითხულთა სიხშირე განისაზღვრება შემდეგნაირად: კონფლიქტები ხდება იშვიათად – 48,1 % გამოკითხული, კონფლიქტები ხდება ხშირად – ფიქრობს 7,4 %; გამოკითხული, არ იცის – 44,4 %. დასმული კითხვის საშუალო შეფასება 1,59 ქულაა. მაქსიმალური შეფასება 3 ქულა, ხოლო მინიმალური 1 ქულა.



29,6 % გამოკითხული თვლის, რომ კონფლიქტის წარმოშობა განყოფილებაში დაკავშირებულია თანამშრომლებში ფსიქოლოგიურ, ხასიათის, შეხედულებების შეუთავსებლობასთან, 22,2 % გამოკითხულთა აცხადებს, რომ კონფლიქტის წარმოშობის მთავარი მიზეზი დაკავშირებულია დავალების შესრულებასთან, 25,9 % თვლის, რომ კონფლიქტი დაკავშირებულია ქცევის ნორმების დარღვევასთან, სამუშაო დისციპლინასთან, 3,75 % თვლის - შვებულებების განაწილებასთან, 7,4 % გამოკითხულთა ამტკიცებს, რომ-

კონფლიქტები უკავშირდება სახელფასო და პრემიების დარიცხვას.

გარდა ამისა, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ კითხვარები მოიცავდა იმ მიმართულებასაც, რისი საშუალებითაც დადგინდა, რომ მომუშავე პერსონალი ჰარმონიულ და თანამშრომლურ სოციალურ გარემოს ანიჭებს უპირატესობა თუ ანაზღაურებას. გამოკითხულთა 91 %-მა უპირატესობა მიანიჭა სტაბილურ სოციალურ გარემოს.

პრობლემის კვლევისას გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის სოციალური გარემო ორგანიზაციებში და ასევე დადასტურდა, რომ მათ შორის შინაარსობრივი და ფორმალური თვალსაზრისით, ორგანიზაციისათვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ გარემოს ქმნის დაპირისპირება ხელმძღვანელსა და ხელქვეითს შორის. „ხელმძღვანელი-ხელქვეითის“ ურთიერთობის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელზე დამოკიდებული ხელქვეითის ცხოვრებისა და საქმიანობის ფართო დიაპაზონი. ხელქვეითი ასრულებს ხელმძღვანელის მითითებებსა და დავალებებს, ის ვალდებულია დაემორჩილოს მას. მოთხოვნები ხშირად არ ემთხვევა მათი შესრულების შესაძლებლობებს და საშუალებებს, რაც არის სწორედ კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ორგანიზაციის ეფექტურად მართვისა და კონფლიქტური სიტუაციების რეგულირებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ხელმძღვანელი პირის მიერ სიღრმისეული ცოდნა მომუშავე

ჯგუფის ინტელექტუალურ დონეზე, მენტალურ, სოციალურ, ეთნიკურ და კონფესიურ თავისებურებებზე, რაც ხშირად განსაზღვრავს მომუშავე პერსონალის დამოკიდებულებას ზოგადსაორგანიზაციო მიზნებისადმი, მოტივაციისადმი და ორგანიზაციის სოციალურ გარემოსადმი, რაც ბუნებრივია, ორგანიზაციის წარმატებითი საქმიანობის პირდაპირ პროპორციულია .

Ineza zoidze

The role of social environment in strategy of organizational management

Resume

It is known that every organization is created by a group of people whose joint and coordinated activities are focused on achievement of common aims. Such human activity is often accompanied by contradiction of organizational and personal interests which often become a precondition for conflict situations as people more often pay attention to those ideas, alternatives and situations which they consider useful for their group and for themselves.

Such issues are discussed in the paper as reasons and circumstances of conflict situations in an organization, types of conflicts, structure, theoretical aspects of management, resolution and regulation methods. The ways to define reasons of conflict

situations in organizational management and business relations are developed as well as management methods and strategic proposals.

მასკომუნიკაცია**Mass Communication**

**მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუზღუდავლი
სიტყვათშეხამებანი
თანამედროვე ქართული პრესის ენაში**

ირინე ცინცაძე

ენობრივი დარღვევები სინტაგმაში სიტყვის შერჩევის თვალსაზრისით მოიცავს შემთხვევებს, როცა სინტაგმა შედგენილია ორი ისეთი სიტყვისაგან, რომელთა ერთმანეთთან დაკავშირება მნიშვნელობის თვალსაზრისით საერთოდ არ შეიძლება.

დარღვევები სხვადასხვა ხასიათისაა: ერთ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმსა თუ მყარ გამონათქვამში უმართებულოდ შეცვლილია რომელიმე სიტყვა, გვხვდება გამონათქვამთა კონტამინაცია, ახალი სიტყვათშეხამების შექმნა უფრო ძლიერი ემოციის გამონვევისა და მეტი ეფექტის მიზნით.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენაში სიტყვას, ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. დაუშვებელია სიტყვის ნებისმიერ სხვა

სიტყვასთან დაკავშირება. ყოველ სიტყვას, თავისი მყარი ადგილი აქვს ტრადიციულ სიტყვათმეხამებებში და სალიტერატურო ენის მომხმარებელთა უმეტესობა ამ მზა სიტყვათმეხამებებს იყენებს. ორი სრულიად ჩვეულებრივი სიტყვა უჩვეულოდ გამოიყურება, თუ ეს სიტყვები ერთმანეთს პირველად, ანდა უჩვეულო კონტექსტში უკავშირდება [2].

ფრაზეოლოგიზმთა და მყარ შესიტყვებათა გამოყენება პრესის ენას გამომსახველობას და მოქნილობას ანიჭებს მაგრამ, როდესაც ამგვარ შესიტყვებებში შეცდომებია დაშვებული, ისინი კარგავენ თავიანთ ღირებულებას და აზიანებენ ფრაზას [4].

მართალია, ამ რიგის ხარვეზები ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე შედარებით იშვიათად გვხვდება, მაგრამ, სამუნუხაროდ, მაინც მოიპოვება.

ქართულში ძალიან გავრცელებულია ფრაზეოლოგიური გამოთქმა ერთ ყურში შეუშვებს (შეუშვა), მეორიდან კი გაუშვებს (გაუშვა), რაც ნიშნავს შემდეგს: ნათქვამს ყურადღებას არ მიაქცევს, მნიშვნელობას არ მისცემს, ანგარიშს არ გაუწევს. ამ ფრაზეოლოგიური გამოთქმის ნაცვლად ამავე ფუნქციით გამოთქმა ასე „გადაუკეთებიათ“: „ერთი ყურით მოისმინა, მეორეთი კი დაივიწყა“ [1].

თანამედროვე ქართულ სასაუბრო ენაში არსებობს ორი სინონიმური ფიგურალური გამოთქმა: **ქანცი გაუნყდა** და **სიქა გასძვრა**. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოთქმებში შემავალ სახელებს, ყოველ შემთხვევაში, სასაუბრო მეტყვე-

ლებაში, დღეს სინონიმური მნიშვნელობები აქვს (ორივე მნიშვნელობაა: ძალ-ღონე, ილაჯი, არაქათი), მათთან ხმარებული ზმნების ნებისმიერი შენაცვლება მაინც დაუშვებელია. ასეთი შენაცვლება კი დასტურდება:

„მანქანები ისეთი დატვირთვით მუშაობენ, საცაა ქანცი გაძვრებათ“ („თბილისი“, #28, 2008).

ამავე რიგისაა შემდეგი უჩვეულო სიტყვათმეხამება:

„ზამთრისათვის მზადებას კარგი დიასახლისი ყოველთვის ადრე იჭერს“ („თბილისი“, #29, 2008)

მზადებას იჭერს უხეირო სინტაგმაა. **იჭერს** ზმნის მონაწილეობით მსგავსი შინაარსის შესიტყვება იქმნება სიტყვასთან თადარიგი. ეს სიტყვა არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს მომზადებას. ქართულშიც ფიგურალური გამოთქმები - თადარიგს შეუდგება, თადარიგს (და) იჭერს აღნიშნავს: მზადებას, სამზადისს შეუდგება, წინასწარ (მო)ემზადება (რამესთვის), წინასწარ (მო)ამზადებს (რასმე). აშკარაა, რომ მოყვანილი წინადადების ავტორისათვის ეს ფიგურალური გამოთქმები ცნობილია და შეცდომაც ამის შედეგია. უნდა ყოფილიყო თადარიგს იჭერს, ან - მზადებას იწყებს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არსებობს ფრაზეოლოგიური გამოთქმა ნირის შეშლა, ნირის შეცვლა, ნირის გატეხა, სადაც ნირი ნიშნავს: წესს, რიგს, გეზს, მსგელობას, ზნეს, ჩვევას, ხასიათს.

დასტურდება ასეთი წინადადებაც:

„თითქოს ამ სასიკეთო ბრძანებას სასიკეთო პირი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად („ლელო“, #23, 2005)“.

ქართულში იმ რიგის ფრაზეოლოგიზმებში, რომლებშიც სიტყვა პირი მონაწილეობს, ჩვეულებრივ, იხმარება ზმნა უჩანს: კარგი (ცუდი, სასიკეთო...) პირი უჩანს. ამდენად, დამონშემული მაგალითი გავრცელებული ფრაზეოლოგიზმის უმართებულოდ გადაკეთების ნიმუშია.

სიტყვა **ცეცხლი** დღევანდელ ქართულში რამდენიმე ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში შედის: ცეცხლზე ნავთის დასხმა, ცეცხლისათვის ცეცხლის შეკეთება, ცეცხლთან თამაში, ცეცხლის ალში გატარება და ა.შ. ფრაზეოლოგიზმებია, აგრეთვე, ცეცხლს უნთებს და ცეცხლს უკიდებს. პირველი გამოიყენება რამდენიმე შინაარსის გადმოსაცემად: ააღლევებს, შეაწუხებს, მწვავედ განაცდევინებს რაიმე გრძნობას, ხოლო მეორე შესიტყვებას იყენებენ ფასის აწევასთან, გაძვირებასთან დაკავშირებით. ცეცხლს უკიდებს ნიშნავს: ძალიან ძვირად ყიდის, ძვირფას აფასებს, ცეცხლი ეკიდება - ძალიან ძვირია, ცეცხლის კიდება - მეტისმეტი სიძვირე. მაგრამ ეს ორი უკანასკნელი იდიომატური გამოთქმა ერთმანეთში აურევიათ:

„...საქონელი, ეტყობა, მესაკუთრესთან შეუძენია, ფასს მაინც ცეცხლს უნთებს“ („თბილისელები“, #34, 2008).

გვაქვს ფიგურალური გამოთქმა ხმას იმაღლებს, ხმა აიმაღლა, რაც ნიშნავს: აშკარად, გაბედულად გამოდის,

პროტესტს აცხადებს, ხმას იმაღლებს. ამავე შინაარსის გადმოსაცემად გამოთქმა - ხმას არ იდაბლებს ქართულისათვის სრულიად უჩვეულოა. მაგალითად:

„ქართული მწერლობა და ხელოვნება ყოველთვის იყო საზოგადოებრივი ტრიბუნა და არც როდის არ იდაბლებდა ხმას ჩვენს ნაკლოვანებებზე“ („ლიტერატურული საქართველო“, #35, 2006).

არსებით სახელს **კვალი** გადატანითი მნიშვნელობაც აქვს: დაჩნეული ნიშანი, დარჩენილი რამ ნაშთი. ამ მნიშვნელობით შედის ეს სიტყვა ფიგურალურ გამოთქმებში კვალი გაავლო, კვალი დატოვა, რაც ნიშნავს: მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რამეში, თვალსაჩინო შედეგს მიაღწია. დაახლოებით იგივე შინაარსი აქვს თანამედროვე ქართულში (ოდნავ უარყოფითი ნიუანსით) მეორე ფიგურალურ გამოთქმას დალი დაასვა. ამ ორი სიტყვათშეხამების კონტამინაციის ნიმუშია შემდეგი მაგალითი:

„ამ მიზეზებმა წარუშლელი კვალი დაასვა მერმინდელი საუკუნეების პროზას“ („ლიტერატურული საქართველო“, #34, 2006).

გვხვდება ასეთი წინადადება:

„საჯარო სკოლის გამოცდილი პედაგოგებიც კი შეკრთნენ და აღარ იცოდნენ, რა გზას სწეოდნენ“ („თბილისელები“, #47, 2006).

ქართულში გავრცელებულია ორი ფიგურალური გამოთქმა: სულს ძლივს ითქვამს და სულს ღაფავს. პირველი

ნიშნავს: სუნთქვა უჭირს, გაჭირვებით სუნთქავს, სულს ძლივს იბრუნებს, ხოლო მეორე - კვდება, სიკვდილის პირასაა [4] „როცა დავითი ხიდან ჩამოხსნეს, იგი სულს ძლივს დაფავდა.“

მიღებული გამოთქმა აბუნდოვანებს წინადადების აზრს, არ ჩანს, ხიდან ჩამოხსნილი კაცი კვდებოდა, თუ მას მხოლოდ სუნთქვა, სულის მობრუნება უჭირდა. ეს გაუგებრობა კი იმან გამოიწვია, რომ ზმნა ითქვამს თავისი სემანტიკის გამო იგუებს ზმნისართს ძლივს, მაგრამ ეს უკანასკნელი ამავე მიზეზით დაფავს ზმნასთან შეუფერებელია.

უჩვეულო სიტყვათშეხამებაა აგრეთვე პრესაში დადასტურებული ძვალსა და რბილში ფესვი აქვს გადგმული.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ფიგურალურად, არაპირდაპირი მნიშვნელობით იხმარება გამოთქმა ფესვი აქვს გადგმული, მაგრამ ამ გამოთქმას, ჩვეულებრივ ძვალსა და რბილს არ უკავშირებენ. ბუნებრივი ქართული გამოთქმებია ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, ძვალსა და რბილში გაუჯდება.

ქართულისათვის ჩვეულებრივია ფიგურალური გამოთქმა გავლენის ქვეშ მოექცა. მისი უჩვეულო პერიფრაზი გვაქვს წინადადებაში:

„იქნებ კიდევ შეიძლება ზოგი მათგანის შველა ან იმათი მობრუნება, ვინც უნებლიეთ მიეცა ცუდის გავლენას?“ („თბილისელები“, #54, 2005)

ცხადია, რომ მიეცა ზმნა მოყვანილ წინადადებაში უადგილოდაა გამოყენებული. მიეცემა (მიეცა), რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: მოიცავს რამე (მთლიანად), თავს მისცემს, ამ შინაარსით ეხამება სიტყვებს: განცხრომა, ძილი, ფიქრები, სიხარული, მოსვენება და ა.შ. გავლენა კი ამ კონტექსტისათვის შეუფერებელია.

ქართულში, ისე როგორც სხვა ენებშიც, სიტყვას უმრავლეს შემთხვევაში შეიძლება რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს. ენის მომხმარებელმა, ცხადია, უნდა გაითვალისწინოს ენის ეს მხარე და სინტაგმა ისე შეადგინოს, რომ ერთმანეთს ყველა სხვა შესაძლებელ ვარიანტთაგან უფრო შესაფერისი სიტყვები დაუკავშირდეს.

ქართულისათვის ჩვეულებრივია მყარი შესიტყვებები: გამოუსწორებელი შეცდომა, გამოუსწორებელი დანაშაული, გამოუსწორებელი ნაკლი. მაგრამ სიტყვასთან დალი ატრიბუტად იხმარება წარუშლელი, წარუხოცელი: წარუშლელი დალი, წარუხოცელი დალი. დალის გამოსწორებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ყურადღებას იქცევს სიტყვათა ასეთი შეხამება: მიუტევებელი მოვლენა.

„საჭიროა დაისახოს გზები ამ უარყოფით, ყოვლად მიუტევებელ მოვლენათა აღსაკვეთად“ („თბილისელები“, #56, 2006).

მიუტევებელი ნიშნავს: არასაპატიებელი, შეუწყნარებელი, რაც არ მიუტევებიათ და, ჩვეულებრივ, იხმარება სიტ-

ყვებთან ცოდვა, შეცდომა, საქციელი, მოვლენა მიუტევებელი არ შეიძლება იყოს [2]. ის შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი და ა.შ.

თანამედროვე ტენდენციები ცხადყოფს გლობალიზაციის ენობრივი ცნობიერების საფუძველზე ტრადიციული სალიტერატურო ენის ნორმების რღვევას. ასე ცხადი ხდება ქართული პრესის ენისა და სტილის მთლიანურობა და ერთგვაროვნობა ბეჭდური მედიის სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თოფურია ვ., „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“, თბ., 1988
2. კვარაცხელია გ., „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“, თბ. 1990
3. ცინცაძე მ., „ქართულად ხსნილად უბნობდი“, ბათ. 2013
4. ჯაგოდნიშვილი თ., „გლობალისტური ენობრივი ცნობიერება და თანამედროვე პუბლიცისტიკის ენის ზოგიერთი ტავისებურება“, სეუ@მეცნიერება, #1(1), თბ. 2014
5. ჭაბაშვილი მ., „უცო სიტყვათა ლექსიკონი“, თბ. 1989

Irine Tsintsadze

**Irrelevant idioms in terms of meaning in modern
Georgian press**

Resume

Language errors in language structures include cases when word combinations are made of two words which cannot be connected by meaning at all.

There are different kinds of errors: in some circumstances one of the words is incorrectly used in phrases and idioms as well as new expressions are made in order to cause stronger emotion and more effect.

Modern tendencies in terms of globalization cause breach of traditional language rules. Therefore, Georgian press and its stylistics become absolutely homogeneous in printed media.

იდეოლოგია**Identity****ოიდიოსის ევროპულ იდეოლოგიაში***ცირა ფუტკარაძე*

ევროპული იდეოლოგია აუცილებელია ევროპული კავშირისთვის, რათა ავიცილოთ ფრაგმენტაცია, ქაოსი და კონფლიქტების სხვადასხვა სახეობა. ევროპული იდეოლოგია ნათელი და გასაგები უნდა იყოს, როგორც ევროპულ კავშირში მყოფი მოქალაქეებისთვის, ასევე მის ფარგლებს გარეთ მყოფი ადამიანებისთვისაც. როდიდან ვიწყებთ პრობლემის „ადრეული გამოცდილების“ შესწავლას-1) ძვ.წ.მე-5 საუკუნეში (ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთ გმირ ოიდიპოსზე, რომელმაც მოკლა საკუთარი მამა, ლაიუსი, და ცოლად შეირთო თავისი დედა, ჯოკასტა, ისე, რომ თავადაც არ იცოდა ამის შესახებ); -2) მე-19 საუკუნის ბოლოს, როცა ზიგმუნდ ფროიდმა ფსიქოანალიზში დაამკვიდრა ტერმინი „ოიდიპოსის კომპლექსი“, რაც აღნიშნავს გაუთვითცნობიერებულ სექსუალურ ლტოლვას საპირისპირო სქესის მშობლი-

სადმი და ამბივალენტურ გრძნობებს იმავე სქესის მშობლი-
სადმი, ანუ ბისექსუალური მდგომარეობას, ბავშვის გაუთ-
ვითცნობიერებული ეროტიკული ლტოლვა მშობლისადმი);
3) თუ „თანამედროვე ცხოვრებაში“-„აქ და ამჟამად“ პრინცი-
პის გამოყენებით?

ამ საკითხს ჩვენ ბუნებრივია ასეთი მცირე მოცულო-
ბის ნაშრომში ვერ ამოვწურავთ. ეს ისეთი საკითხია, რო-
მელსაც სულ ეყოლება მკვლევარები. მკვლევარების მტკი-
ცებულებები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მეც-
ნიერული კვლევის შედეგები უნდა ექვემდებარებოდეს ვე-
რიფიკაციას. ფაქტის კონსტატაცია, შესაძლოა ძალიან მარ-
ტივი მაგალითით მოვახდინოთ - 1) სოფოკლე „ოიდიპოსის“
მითის ინტერპრეტირების საუკეთესო ინტერპრეტატორი; 2)
ფროიდი-ფსიქოანალიტიკოსი, რომელმაც სოფოკლეს მიერ
გადმოცემულის კონსტატაცია ფსიქოანალიზში მოახდინა
და 3) თანამედროვე სამყაროს გლობალიზაციის ინტერ-
პრეტაცია ოიდიპოსის ჭრილში, ანუ ოიდიპოსი ევროპულ
იდენტობაში.

ევროპა-როგორც სამყაროს ერთ-ერთი ცივილიზებუ-
ლი კონტინენტი, თავისი კულტურით, მიგრაციით, ეკონომი-
კური და პოლიტიკური ბატალიებით, მას კიდევ ერთი ფუნდა-
მენტალური საკითხი თან ახლავს, ეს არის ევროპული იდენ-
ტობა. ადამიანები, რომლებსაც აქვთ სწრაფვა „ევროპეს“
კონტინენტისადმი, მათ გარკვეული ლატენტური სურვილე-

ბიც კი შეიძლება ჰქონდეთ, როგორც ეს მითოლოგიით ზევსს ჰქონდა ულამაზეს ქალღმერთ ევროპეს მიმართ. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ადამიანებს შესაძლოა გაუჩნდეთ იდენტობის, მსგავსების, ერთი და იგივედ ყოფნის სურვილი.

სამი მაიძულებელი ბატონია: გარესამყარო, „ზე-მე“ და „იგი“(3.გვ.301)ანუ, აქ ვხედავთ, რომ ზე-მე იგი-შია ჩაძირული, როგორც მემკვიდრეობა ოიდიპოსის კომპლექსისა, მასთან აქვს ინტიმური კავშირი. ის მე-სთან შედარებით უფრო შორსაა აღქმის სისტემიდან. იგი-ს ურთიერთობა არის გარე სამყაროსთან მხოლოდ მე-ს საშუალებით. პიროვნების ამ ტიპის დანაწილების“მე“, „ზე-მე“ და „იგი“არ უნდა ვიფიქროთ მკაცრ საზღვრებზე, როგორც ეს ხელოვნურადაა გატარებული გეოპოლიტიკაში. ანუ, მცდელობაა მე-ს გამაგრების; „მე“ გახადოს „ზე-მე“-საგან დამოუკიდებელი, მისი აღქმის ველი განავრცოს და თავისი ორგანიზაცია ისე ააგოს, რომ მას „იგი“-ს ახალი ნაწილების ათვისება შეეძლოს, სადაც „იგი“ იყო, იქ „მე“ უნდა ყოფილიყო[3.303-304].

ჩვენ ფროიდის ფსიქონალიზიდან უშუალოდ „ოიდიპოსის კომპლექსი“ ვახსენეთ.შემთხვევით არ აურჩევია მეცნიერს სიტყვა ოიდიპოსი, რაც „ოიდიპოს მეფე“-ს ვრცელ მითს ეფუძნება.

ოიდიპოსის კომპლექსი არის ფსიქონალიტიკური წარმოდგენა 3-6 წლის ასაკის ბავშვის მშობლებისადმი ემოციონალური დამოკიდებულებების შესახებ. ფროიდის თა-

ნახმად, ეს არის ბავშვური განცდების კომპლექსი, რომელიც შედგება ბიჭის ლტოლვისაგან დედის მიმართ, რასაც თან ახლავს ეჭვიანობა და არაკეთილმოსურნეობა მამის მიმართ.

გოგონებთან ეს ხასიათდება განსაკუთრებული მიჯაჭვულობით მამასთან, სექსუალური ლტოლვის მიმართვით და ეწოდება ელექტრას კომპლექსი. მოგვიანებით ეს კომპლექსი განიდევენება არაცნობიერში.

ვნახოთ როგორ აკავშირებს ორი დიდი ევროპელი - სოფოკლე და ფროიდი იდენტობას ევროპელობასთან, მათ კულტურასთან. სიტყვა “იდენტობა” მოდის ლათინური ფრაზიდან *Idem et Idem*, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს “იგივე და იგივეს” ანუ “ერთსა და იგივეს”. იდენტობა არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ “მე“-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ მთლიანობასა და ინდივიდუალურობაზე, რომლის მეშვეობით პიროვნება საკუთარ თავს აიგივეებს გარკვეულ ტიპოლოგიურ კატეგორიასთან (სახელმწიფო, სოციალური სტატუსი, კულტურა, ეროვნება, ასაკი, სქესი, პროფესია და ა.შ.).

სოფოკლე „ოიდიპოს მეფე“-ში გვამცნობს, როგორ აღსრულდა გვაროვნული წყევლა-კრულვა; მას დანაშაული უკვე ჩადენილი აქვს (მამა მოუკლავს და დედა ცოლად შეურთავს), ის სახელგანთქმული მეფეა, ქვეშევრდომთაგან გაღმერთებული და შინაურთაგან პატივცემული; ის თავისი მეფური დიდების მწვერვალზეა და აინუნშიც არ მოსდის, თუ

მას რაიმე დანაშაული შეიძლება ჰქონდეს ჩადენილი(4.გვ.181).სოფოკლე ოიდიპოსს ძლიერ პიროვნებად წარმოგვიჩინს მაშინაც, როცა მას თავზარდამცემ ამბებს ეუბნებიან:

1)ოიდიპოსს ახალგაზრდობაში აპოლონის მისანი უწინასწარმეტყველებს, რომ იგი მოკლავს მამას და ცოლად შეირთავს დედას, რის გამოც იგი გარბის კორინთოდან, რათა შორს იყოს მშობლებისგან.

2)ოიდიპოსი ხვდება თებეში, ცოლად მოჰყავს თებეს დედოფალი, რომლის ქმარი ლაიოსი მანამდე ვილაცამ მოკლა.

3)წლების შემდგომ თებეში ვრცელდება შავი ჭირი, რომელიც მხოლოდ მაშინ დასრულდება, როცა ლაიოსის მკვლელს იპოვნენ.

ოიდიპოსი ცდილობს გაიგოს ვინ არის მკვლელი. ის ხმარობს ყველა ღონეს, რომ იპოვოს მკვლელი. ოიდიპოსი სინდისიერი ადამიანი და ზნეობაზე უაღრესად მაღალი წარმოდგენის მქონეა. ირკვევა, რომ თვითონ ყოფილა მკვლელი, მაგრამ მაინც ბოლომდე მიჰყავს გამოძიება.ტრაგიკული რგოლის უკანასკნელი ნასკვიც იხსნება, როდესაც მჟღავნდება: ის არა მარტო მეფე ლაიოსის მკვლელია, არამედ თავისი მამის მკვლელი და თავისი დედის ქმარი ყოფილა.

სოფოკლე თავის ნაწარმოებში გადმოსცემს, რომ ოიდიპოსი ძლიერივე დარჩა კატასტროფის შემდეგაც. მან გა-

მოიჩინა საკმაო ნებისყოფა, რომ გამოესყიდა დანაშაული, თუმცა ის თავისდაუნებურად ჰქონდა ჩადენილი (4.გვ.181-183).

ოიდიპოსის სიძლიერის ინტერპრეტაცია სოფოკლეს ნაწარმოებით უფრო ადვილად მოსახერხებელია.

ოიდიპოსი

მანც სად მოკლეს ლაიოსი,სახლში თუ გარეთ,

ველზე ხომ არა, ანდა სადმე უცხო მიწაზე?

კრეონტი

როგორც თვითონ თქვა, საკითხავად წავიდა ღმერთთან,გაეშურა და უკან აღარ დაბრუნებულა[1.გვ.268].

ოიდიპოსი

რა დრო გავიდა იმის შემდეგ, რაც იგი მოკლეს?

იოკასტი

მისი ამბავი თებეს სწორედ იმის წინ ამცნეს, შენ რომ ქალაქის მმართველობა აიღე ხელში.

ოიდიპოსი

მალალო ღმერთო, რა საქმისთვის გამწირე ნეტავ?
[1.გვ.289].

ოიდიპოსი

რა იერი და გარეგნობა ჰქონდა ლაიოსს?

იოკასტი

ტანადი იყო და ჭაღარა ერთოდა უკვე,

ხოლო იერით შენა გგავდა იგი ძალიან.

ოიდიპოსი

ვაი, მე ბედშავს! არ ვიცოდი, და ახლა, მგონი,
საზარელი წყევლა მომეწია, დავლუბე თავი [1.გვ.289].
ოიდიპოსი

არ არის განა უსამართლო, ცოდვა დასწამო კაცს, ვისაც
მაშინ არც კი ჰყავდა დედა და მამა და ქვეყანაზე არც კი იყო
დაბადებული(1.გვ.382). ის არ თვლის თავის დანაშაულს გაც-
ნობიერებულად ჩადენილს და ყველაფერს სასტიკ ბედის-
წერას მიაწერს.თითქოს რაღაც დიდი ცოდვა ჰქონდეს ჩადე-
ნილი მის ოჯახს. ოიდიპოსის ბედი დაბადებიდანვე იყო გან-
საზღვრული და განპირობებულია „პირველივე შეცდომით“,
ანუ მამის ქმედებით-შვილი მოსაკვდინებლად გაატანა.

განვიხილოთ რამდენიმე უკიდურესობა:

1) ოიდიპოსის დაბადება, რასაც სიხარული უნდა მოე-
ტანა მშობლებისთვის, წინასწარმეტყველების ფონზე სრუ-
ლიად უსუსური არსება,მშობლებმა სასიკვდილოდ გაიმე-
ტეს, „მკვლევები ბედისწერის არ შესრულებას შეეცადნენ
და ამიტომაც მამამ თითქოსდა დაასწრო შვილის მოკვლა.

2) ოიდიპოსი, რომელმაც უკვე იცის თავისი საზარელი
ისტორია, ის არა მხოლოდ თავისი ცოდვით არის განსხვავე-
ბული, არამედ ოიდიპოსი განიცდის შინაგან დაპირისპირე-
ბას. მას საზოგადოება კი არ აძევებს თავისი ცოდვების გა-
მო, არამედ თვითონ მას გამოაქვს ვერდიქტი თავისი ქმედე-
ბისა, თვითონ ახდენს „განდევნას“ საზოგადოებისგან, რათა
ამით მოახდინოს შინაგანი მე-ს სუბლიმირება, განწმენდა.

როცა გაიგებს ოიდიპოსი, რომ ლაიოსის და მისი ცოლის იოკასტეს ვაჟი იყო, ველარ გაუძლო ამ უბედურებას და თავი დაიბრმავა. იოკასტემ კი გაიგო, რა ახდა წინასწარმეტყველება, თავი ჩამოიხრჩო.

ოიდიპოსის სასჯელი გამოხატავს ღრმა წარსულიდან მომავალ პირდაპირ ნათესავეებს შორის საქორწინო ურთიერთობების აკრძალვას(ინცესტი). ფროიდის მიხედვით ოიდიპოსის კომპლექსი წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიის საფუძველს და არსს.

ეკზოგამიის შემოღება სისხლისმიერ ნათესავეებს შორის ქორწინების და სქესობრივი ურთიერთობების აკრძალვაა. ფროიდი თვლიდა, რომ ეკზოგამიის შემოღებამ სათავე დაუდო საზოგადოებრივი მორალის და ადამიანური საზოგადოების სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას(5. სტ.498).

კლინიკურ და ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში შეიძლება შევხვდეთ ოიდიპოსის კომპლექსის გამოვლინებას (ქალეზისთვის ელექტრას კომპლექსს). სექსუალური პარტნიორის შერჩევისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის თვისებები და თავისებურებები, რომელიც სანინალმდეგო სქესის მშობლისთვისაა დამახასიათებელი. უმეტესწილად ეს კანონზომიერება ადამიანის მიერ არ ცნობიერდება. საკამათო რჩება ფსიქონალიტიკური მოსაზრება იმის შესახებ, რომ ოიდიპოსის კომპლექსი ყველასათვის უნივერსალურია.

გამოვიყენოთ სამი ტერმინი-იდენტობა, იდენტიფიკაცია და თვითიდენტიფიკაცია. ერთი და იგივე შინარსის მო-

ცემული სამი ტერმინი ერთმანეთისგან განსხვავდება აქცენტებით: 1) იდენტობა აღნიშნავს უკვე ფაქტის სახით არსებულ რეალობას, იდენტიფიკაცია კი პროცესია, რომლის შედეგი ამ რეალობის განსაზღვრაა. 2) იდენტიფიკაცია და თვითიდენტიფიკაცია ერთი და იგივე პროცესის ობიექტური და სუბიექტური ასახვაა.

განვიხილოთ კიდევ ერთი ტერმინი - კულტურული იდენტობა, რაც ჩვენს მიერ განხილულ საკითხთან მჭიდრო კავშირშია. კულტურული იდენტობა არის ამა თუ იმ ისტორიული ერთობის წევრ ინდივიდთა (თვით)გააზრება ამ ერთობის კულტურის წევრად. კულტურული იდენტობა ჩვენს სტატიაში მოითხოვს ეთნიკური იდენტიფიკაციის განმარტებას, რაც ნიშნავს საკუთარ ეთნიკურ გარემოსთან გაიგივების პროცესს, რომელიც მას ამ ეთნოსის ქცევის ნორმების და კულტურული ფასეულობების ათვისების შესაძლებლობას აძლევს.

შეჯამების სახით, გვინდა დავუბრუნდეთ შესავალში დასმული კითხვების პასუხს:

1) სოფოკლე ოიდიპოსს მიხედვად თავისი უმძიმესი, უსასტიკესი ხვედრისა დადებით პიროვნებად წარმოაჩენს; ის რაც ოიდიპოსის თავზე დატრიალდა, ის თავს დამნაშავედ არ გრძნობს, რადგან ყველაფერი ისე მოხდა, რომ სიმართლე მისთვის გვიან მოხდა მიწოდებული. მიხედვად იმისა, რომ საზოგადოება მის მიმართ სუბლიმირებული, სუბიექტური

აღმოჩნდა და მისი ქალაქიდან გაძევება არ ჩათვალეს საჭიროდ, სამაგიეროდ ოიდიპოსი აღმოჩნდა საკუთარი თავის მიმართ ობიექტური-თვითონ გამოუტანა სასჯელი თავისივე გაუთვითცნობიერებულად ჩადენილ დანაშაულს.

2) ფროიდს შემოაქვს ტერმინი ოიდიპოსის და ელექტრას კომპლექსი, რაც მორალური წნეხის მეშვეობით აუცილებლად განიდევენება ცნობიერიდან, მაგრამ პიროვნების ფორმირების თვალსაზრისით მისი მოქმედება ძალზე მნიშვნელოვანი და ხანგრძლივია. ფროიდი აღნიშნავს, რომ წარმოქმნილი ტაბუები(აკრძალვები) და მორალური წესები იწვევს დანაშაულის გრძნობას, რომელიც რელიგიის განვითარების ბიძგს წარმოადგენს; მამა-ღმერთის პროტოტიპია, ხოლო მამის მკვლელობის დანაშაული-პირველი ცოდვა.მასასადამე, „ოიდიპოსის კომპლექსში მოცემულია დასაწყისი რელიგიისა, ზნეობისა და ხელოვნებისა“.

3) საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ მატულობს აკრძალვები, რაც ლიბიდონალური ლტოლვების განდევნას იწვევს. ამით არაცნობიერი იდის სფერო ენერგიით ივსება. იდეის ნაწილი გარდაიქმნება ეგოდ და წარმოიქმნება სუპერ-ეგო, რომელშიც საზოგადოებრივი ნორმებია გაშინაგანებული და რომელშიც სოციალური და ფსიქოლოგიური განვითარების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად იქცევა.

ამრიგად, სოფოკლე ოიდიპოსის სახით წარმოაჩენს ავტორის ამალლებულ სულიერ განცდებს, რომელიც დროსთან შეჯახებაში და დროსთან შეთანხმებაში მოდის; ფროიდი მიგვითითებს, რომ ფსიქოანალიზი არ არის დამხმარე მეცნიერება ფსიქოთერაპიის სფეროში; ფსიქოანალიზი არის მოძღვრება ფსიქიკის შესახებ; ჩვენ კი პრობლემის შეჯამებისას გვინდა ვთქვათ, რომ ორი დიდი გენიოსის-სოფოკლეს და ფროიდის შრომების გაანალიზების შემდეგ, მივდივართ დასკვნამდე-ყველა წარმატებული ქმედების წინაპირობა ჯანსაღი აზროვნებაა. ოიდიპოსი ცდილობს ჯანსაღად იაზროვნოს, მას ანუხებს უარყოფითი ემოციური განცდები და მაინც ის ესწრაფვის თავისი გენის, თავისი ერის, თავისი კულტურის, თავისი პასუხისმგებლობების წინაშე, რომელიც სხვადასხვა სოციალური კუთვნილებებით ერგო, იყოს მაქსიმალურად ობიექტური, უკიდურესი სუბიექტივიზმის ფონზე.

გამოყენებული ლიტერატურა

„ანტიკური ლიტერატურის ისტორია“, (ელინური ხანის პოეზია, ძვ. წ. VIII-V სს.), თბ., 2009

იმედაძე ი., „ფსიქოლოგიის ისტორია“, თბ., 2008

ფროიდი ზ., „ფსიქოანალიზი“, (თარგმანი გერმანულიდან), თბ., 2008

ყაუხჩიშვილი ს., „ანტიკური ლიტერატურის ისტორია“, თბ., 1971

PENGUIN - „Большой толковый психологический словарь“, Т. 2. Москва., 2001

TsiraPutkaradze

Oedipus in the European Identity

Resume

The article deals with problems of identity according to Sophocles' views. The focus goes on Oedipus complex in Freud's psychoanalysis. In particular, Sophocles in the form of Oedipus shows author's high spiritual feelings, which comes into collision and accordance with time. Freud points that psychoanalysis is not an auxiliary science in the field of psychotherapy; psychoanalysis is the doctrine about psyche. The focus also comes on the fact, that after analysing of the works of two geniuses - Sophocles and Freud, we go to the conclusion - healthy thinking is the prerequisite for all successful actions. Oedipus tries to think sane, he is bothered by the negative emotional feelings and in front of his gene, nation, culture, responsibilities, that were awarded to him on account of various

social belongings, he still aspires to be maximum objective, on the background of the extreme subjectivism.

**ევროპული და ეროვნული ღირებულებების
პრობლემისათვის გაზეთ „დროებაში“***ქეთევან კობახიძე*

ქართული სახელმწიფოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის ევროინტეგრაციის იმ ახალ ეტაპს ენიჭება, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ბრიუსელში ახლახანს 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რაც ევროპულ მოდერნიზაციას და ინტეგრაციას გულისხმობს, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას. ეს არის, ქართველი ხალხის და მისი დღევანდელი ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი, მისი გადასალახავი რუბიკონი, მისი სულიერი კონსტიტუცია. (2.73)

ევროინტეგრაცია მეტად მნიშვნელოვანი და ღირებული პროცესია საქართველოსთვის, როგორც პატარა ქვეყნისათვის დიდ გლობალურ სამყაროში. საქართველო და ქართველი ხალხი მრავალი წლის მანძილზე იღწვოდა, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, ასევე ევროპულ ცივილიზაციის სისტემაში ინტეგრირებისათვის. ამ მხრივ, აღსანიშნავია XIX ს-ის II ნახევარი, რიდესაც ქართული ინტელიგენცია, ახალი თაობა ნაზიარები ევროპულ განათლებას და კულტურას, ცდილობს ქართულ საზოგადოებას გააცნოს, დაანახოს და აჩვენოს ევროპასა თუ სხვა ქვეყნებში მიმდინარე პოლიტი-

კურ-კულტურული მიღწევები. “საუკეთესო მხარენი ევროპის ქვეყნებისა.” ამის ნათელი გამოხატულებაა გაზეთი „დროება“ (1866-1885წწ), რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა, რა ეროვნული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები დასაბამი დაუდო ახალ ეტაპს, ევროპეიზაციისათვის ბრძოლას ქართულ ეროვნულ კულტურაში.

წარმოადგენდა, რა საკმაოდ მრავალფეროვან ორგანოს „დროება“ თანმიმდევრულად აშუქებდა ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, ხელოვნების, ენათმეცნიერების, სახალხო განათლების, მეურნეობის ყოფისა და სხვა საკითხებს. ამავე დროს „დროების“ პუბლიცისტები ცდილობდნენ საზოგადოებაში საერთო-ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, სამომავლო პერსპექტივების დასახვას, მშობლიური ენის, ისტორიის, კულტურის წარმოჩენას და დაცვას, მის პოპულარიზაციას, ნაციონალური იდეების გარშემო ქართველი ერის კონსოლიდაციას. ყოველივე ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი რუსული პოლიტიკა იყო. „რუსეთმა კავკასიასა და პირველ რიგში საქართველოში სცადა ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ მის მიერ შემოტანილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო და იდეოლოგიური სისტემები დაემკვიდრებინა და ამით ხელსაყრელი ნიადაგი მოემზადებინა თავისი ასიმილაციური ზრახვების განსახორციელებლად“.

სწორედ ამ რუსიფიკატორულ პოლიტიკას დაუპირისპირდნენ ქართველი მოღვაწეები, რომლებმაც უპირველესი

რიგის ამოცანად დაისახეს არა უშუალოდ რუსული, არამედ, დასავლეთევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო პროცესების შესწავლა-ათვისება და ქართულ ნიადაგზე გადმოტანა. ოღონდ არა მექანიკურად, არამედ ადგილობრივი ტრადიციებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. „ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატების წყარო ჯერ-ჯერობით დასავლეთ ევროპა არის... ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ დასავლეთი ევროპის ცხოვრების ნაბაძვა და იქიდან პირდაპირ მეცნიერების გადმოტანა ათას წილად უკეთესი არ იქნება ჩვენთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდან? განა ყოველთვის იმ წყაროს წყალი არ სჯობია, რომელიც პირდაპირ მიწიდან ამოჩუხჩუხებს?“ (4,2)

სწორედ ეს გეზი განსაზღვრავს 60-იანელთა, ისტორიულ როლს ქართული კულტურის თვისებრივი განახლების პროცესში. ამ მიზანს ემსახურებოდა „დროება“ თავისი დაარსების დღიდან. რაც სავსებით ნათლად აქვს ჩამოყალიბებული ს. მესხს, გაზეთის რედაქტორს (1869-1883წწ.) თავის საპროგრამო წერილში. მისი სიტყვებით „ახალი თაობა შეუდგა ახალი გზის მონახვას და ამ ახალი თაობის საქებლად უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა მალე მონახეს. ეს გზა დასავლეთ ევროპის გზა არის. მივესალმით ამ ახალ მოვლინებას და გზა დავულოცოთ იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მიილტვიან ევროპისაკენ დედანი წყაროს დასანაფებლად“ (5,95)

როგორც „დროების“ რედაქტორს ს. მესხს ასევე სხვა პუბლიცისტებსაც ეროვნული კულტურისათვის ერთ-ერთ მისაღებ კრიტერიუმად „ევროპეიზმი“ მიაჩნიათ, რაც ამ ეპოქის საქართველოს კულტურული ორიენტაციის განმსაზღვრელი იყო.

„დროება“ იყო ის ორგანო, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ახალი სოციალური კონცეფციების დამკვიდრებას, ცალკეულ ადამიანთა თუ სოციალურ ჯგუფთა მსოფლმხედველობრივი და ფასეულებრივი ორიენტაციის შემუშავებას, კულტურული პარადიგმის შექმნას, რომლის არსს ეროვნული ინტერესებისა და დემოკრატიის შეთავსება წარმოადგენდა.

ქართველი პუბლიცისტები (ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ა. წერეთელი, გ.წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ალ. ცაგარელი, ივ. მაჩაბელი და სხვ.) ეროვნულ საკითხებზე მსჯელობისას ნაციონალურ პრობლემატიკას ფართო (ზოგადსაკაცობრიო) კონტექსტში განიხილავდნენ და აღიარებდნენ ნაციონალურ და საერთო-საკაცობრიო ღირებულებათა ჰარმონიზაციისა და განუყოფლობის აუცილებლობას.

დროების პუბლიცისტები იმ დროის კულტურის მესვეურნიც არიან და შემოქმედნიც, მონაწილენიც და თეორიული შემფასებელნიც. ნიკო ურბნელი (ხიზანიშვილი) ცალსახად იცავს იმ აზრს, რომ საქართველომ უნდა გაითავისოს ევროპული პროგრესის აუცილებლობა, რომ ქართულმა ინტელიგენციამ უნდა შესძლოს ორი მომენტის შეთავსება: ერთი მხრივ მამულიშვილობის, პატრიოტიზმის, ეროვნული იდეა-

ლებისა და ინტერესების დაცვა და მეორე მხრივ-დასავლეთ ევროპის პროგრესულ მონაპოვართა შეთვისება. „მამულიშვილობას წინ და უკან უნდა მოსდევდეს ანინდელი ევროპის პროგრესული პროგრამის შესრულება“ (6,2)

„დროების“ კულტურული ორიენტაციის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, ერთის მხრივ, ყოველგვარი იზოლაციონიზმის, სხვა ერების სულიერი ცხოვრებისაგან დისტანცირების იდეის უარყოფა ხოლო, მეორე მხრივ, კულტურის ამა თუ იმ მოვლენის არა ბრმად მიღებისა და დუბლირების, არამედ ეროვნულ ბრძმედში გატარების აუცილებლობის მოთხოვნა.

ილია ჭავჭავაძე ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ქართული კულტურის პროგრესისათვის აუცილებელია კაცობრიობის საუკეთესო მონაპოვართა როგორც ათვისება, ასევე სათანადო შემოქმედებითი ტრანსფორმირება და გადამუშავება ერის წინაშე მდგომი ინტერესების შესაბამისად. ერთიანი ეროვნული იდეოლოგიის ილია ჭავჭავაძისეული კონცეფცია გულისხმობდა არა გარედან მიღებულის უბრალო გადმონერგვას, უცხოური მოდელის არა გამეორებას, არამედ „საკუთარსა“ და „უცხოს“ ორგანულ შეთავსებას.

ნ. ნიკოლაძის ნაშრომებშიც გატარებულია ის აზრი, რომ ეროვნული თვითმყოფადობისათვის ზრუნვა როდი ნიშნავს სხვა ერების კულტურისათვის ზურგის შექცევას. მას ცივილიზაციათა საუკეთესო მონაპოვართა შემოქმედებითი ათვისება ეროვნული კულტურის პროგრესის აუცილებელ პირობად მიაჩნია. ამ თვალსაზრის იგი მისთვის დამახასია-

თებელი რიტორიკული კითხვის სახით აყალიბებს: „ნუთუ შესაძლებელია სხვის ჯობნა, თუკი ჩვენ ამ სხვას არ გავიცნობთ? ნუთუ მარტო ის დაგვაშინებს, თუ ჩინეთის კედლით შემოვსაზღვრეთ ჩვენი ქვეყანა? თუკი სხვის მწერლობას არ შევისწავლით, სხვის მეცნიერებას არ შევიძინებთ, სხვის გამოცდილებას არ დავიმკვიდრებთ, ნუთუ მარტო ჩვენი ძველი ენის გაზეპირებით, ძველი ხელნაწერების ტრიალით, ძველი ჩვეულების გახსენებით შეგვეძლება იმ ძალის მოპოვება, რომელიც სხვებთან გაგვასწორებს და სხვის პატივს შეგვძენს? ნუთუ პატრიოტულ გრძნობას ახშობს ან სდევნის სხვისი ენის შესწავლა, სხვისი ცხოვრების გაცნობა?“. „ჩვენს დროში ვერც ერთი ხალხი, რაგინდ ძლიერი ან დიდი იყოს, თავისთავად ვერ იცხოვრებს ისე, რომ სხვა ხალხთან დამოკიდებულება ან ურთიერთობა არ ჰქონდეს“. (7,325) მისი შეხედულებით საქართველოში პროგრესის მიღწევის გზა „ევროპული წესისა და ცხოვრების, ევროპული მეცნიერება-განათლების ათვისებასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე გადის, როგორც ვაჟა შუბითიძე აღნიშნავს “დასავლეთ ევროპის პროგრესულ აზროვნებას მან ქართული ნიადაგი შეუფარდა და შექმნა ღრმა ეროვნული მსოფლმხედველობა და საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია. (8,82,83)

„დროების“ პუბლიცისტი უდიდეს პასუხისმგებლობასაც გრძნობდა საზოგადოებრივ-კულტურულ სარბიელზე, რადგან უპირველესად უპირატესობა ქვეყნის კულტურულ ტრადიციებს უნდა მისცემოდა, რაც ასე დიდებულად ჩამოა-

ყალიბა თავის ნაშრომში „მამულის სიყვარული და მსახურება,“ რომელშიც ავტორმა მკაფიოდ გამოხატა თავისი აზრი და გვიჩვენა ის გზა, რომელსაც უნდა დაადგეს ყველა, ვისაც მამულის სიყვარული აქვს და მას ემსახურება. ამ ნაშრომში ყურადღებას იქცევს დებულება იმის შესახებ, რომ უცხოური კულტურისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით ნებისმიერ ეროვნულ კულტურაში შესაძლებელია სხვადასხვა „სტადიების სისტემებრივი გამოსახვა“ ანუ ტიპოლოგიურად ოთხი განსხვავებული პერიოდის გამოკვეთა. პირველი პერიოდი, რომელსაც „ყრმობის პერიოდი ჰქვია“ კულტურული ორიენტაციისადმი სრული ნეიტრალურობით ხასიათდება. მეორე, ანუ „მიმბაძველობით“ პერიოდში ხალხი თავისი დანინაურების პირობას უცხოურ „გარეგნულ ნაბაძვაში,“ „მონურ მიბაძვაში“ ხედავს. მესამე პერიოდს, ანუ „რეგრესიული მიბაძვის“ დროს ხალხი ყოველივე უცხოურს ზურგს შეაქცევს და „საკუთარი წინაპრების წესების აღდგენას“ ცდილობს (7,309) ნაშრომში გატარებულია ის აზრი, რომ ყველაზე პოზიტიური და ცხოველმყოფელი არის მეოთხე, ანუ „თავისებური შემოქმედების პერიოდი,“ რომელიც იწყება მაშინ, როცა ხალხი მესამე პერიოდის უნაყოფობასაც იგრძნობს. მაშინ ის გამორკვევას იწყებს, თუ მისი საკუთარი ბუნება რას მოთხოვს, მისი ძალა რის ნებას აძლევს, სხვა ხალხის ძლიერება რამ შეადგინა, სხვებს რა აქვთ კარგი, ისეთი, რომლის შეთვისებაც მის ბუნებას შეუძლია თვითონ მას რა ჰქონია ცუდი, ისეთი, რომლის თავითგან მოშორებაც შესაძ-

ლოა.” (7,309) საქართველოსთვის ასეთი თვითმყოფადი პერიოდის მოახლოებისაკენ არის მიმართული ნ. ნიკოლაძის ნაშრომის მთელი პათოსი.

დღეს საქართველოში ტენდენცია არის, თუმცა არასაყოველთაო, რომ ქართული ტრადიციების დიდი ნაწილი შესცვალონ და დაივიწყონ. ასეთ გამონათქვამებს ხშირად სოციალურ ქსელში ვაწყდებით, მაგრამ ამ გამონათქვამების და მოწოდებების დიდმა ნაწილმა საერთოდ არ იცის ტრადიციის რაობა და ხშირად ტრადიციასა და თანამედროვე გარდამავალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სოციალურ პრობლემებს ერთმანეთისაგან ვერ მიჯნავს. ამ მხრივ საყურადღებოა პროფ. რ. თოფჩიშვილის მოსაზრება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ „ქართულმა საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს საბჭოთა პერიოდის მოდერნიზაციის გამოცდილება, რათა ევროპული ღირებულებების ნაუცბათევემა და ხელოვნურმა დანერგვამ საზოგადოებაში დაპირისპირება, კონფლიქტური ვითარება არ შექმნას.” (9,145) და იქვე მიუთითებს, რომ ევროპული ღირებულებების დანერგვა უნდა მოხდეს თანდათანობით, ქართული ტრადიციების დიდი ნაწილის შენარჩუნებით, რაც საუკუნეების წინ ჩამოყალიბებული ეროვნული იდენტურობის შენარჩუნების გარანტიაცაა.

ქართული კულტურა სწორედ ქართული და არაქართული სხვადასხვა ტრადიციების ურთიერთქმედების შედეგადაა ფორმირებული. ის მუდმივად იღებდა სხვათაგან ბევრ რამეს, მაგრამ ამასთან საკუთარ ქურაში გადაამუშავებდა

მათ. ისაა ნაერთი ადგილობრივი ქართული, აღმოსავლური ქრისტიანობის და მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციებისა ამასთან ქართველ საზოგადოებას ყოველთვის ჰქონდა სწრაფვა ევროპული ღირებულებებისაკენ, რომელთა მიღებას ისტორიული ფაქტორები აბრკოლებდა.

მიუხედავად ამისა, ეს ღირებულებები ქართველ საზოგადოებაში მაინც შემოდოდა, განსაკუთრებით კი მე-19 საუკუნეში და დღეს განსაკუთრებულ მაშტაბებს მიაღწია. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ნოვაციური ღირებულებები ზემოდანაა თავსმოხვეული და ის არა მარტო ქართველი საზოგადოებისათვის, არამედ თვით ევროპელებისთვისაც მიუღებელია. აქვე აღსანიშნავია, რომ თვით ევროპელთა ტრადიციები ერთგვაროვანი არ არის და მათაც ახასიათებს ორიგინალური წეს-ჩვეულებები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ დღესაც, იგივე პრობლემის წინაშე დგას ქართული საზოგადოება. ამდენად საყურადღებოა და გასათვალისწინებელია წარსულის გამოცდილება, „დროების“ პუბლიცისტთა დამოკიდებულება უცხოური კულტურის „გადმონერგვისადმი“ (ქ.კ.), რაც ასე დიდებულად ჩამოაყალიბა ნ. ნიკოლაძემ თავის ნაშრომში „მამულის სიყვარული და მსახურება“, სადაც ის უპირველესად უპირატესობას ქვეყნის კულტურულ ტრადიციებს, ეროვნულ ღირებულებებს ანიჭებს.

ქართველმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა, საქარ-

თველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია, სადაც ჩამოყალიბებული იქნება ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მიზნები და ამოცანები. ამასთან საჭიროა გამოვიმუშავოთ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკური აზროვნება, რომელიც ორიენტირებული იქნება დასავლეთ ევროპის ყველაზე პროგრესულ ღირებულებათა სისტემაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

www.eu.nato.gov.ge

ქ. კოპაძე, `კულტურული ორიენტაციის საკითხისათვის საქართველოში XIX ს-ის II ნახ. შურ. კულტ. ისტ. და თეორიის საკითხები. თბ. 2004

თ. ჯოლოგუა, ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის ქართულ შურნალისტიკაში-ისტორიული გამოცდილება. 8-ე საერთაშორისო სიმპოზიუმი, მასალები. ნან. I თბ. 2014

ს. მესხი ახალი მიმართულება ჩვენი ახალი თაობისა, გაზ. „დროება“, #41 1872.

ქ. კოპაძე „დასავლეთი თუ რუსეთი“ შურნალი კრიტიკურიუმი თბ., 2001 გვ.95

6. ხიზანიშვილი (ურბნელი) ძველი და ახალი თაობა, გაზ. „დროება“ #98,1883

7. ნ. ნიკოლაძე თხზულებანი VII (1878-1880) თბ. 1985

8. ვ. შუბითიძე –პოლიტოლოგია, თბ. 2006 გვ. 82-83

9. რ. თოფჩიშვილი, ევროპული ღირებულებებისა და ქართული ტრადიციების ურთიერთმიმართების პრობლემა. (მოსხენება საერთაშორისო კონფერენციაზე) თ.ს.უ. 2014

10. georgie-europe 2014. tsu.ge

« »

- « »

: , , , .

Ketevan Kopadze

**Issues of European and national values
in the newspaper "Droeba"**

Resume

The newspaper "Droeba", with its basic political orientation determined the centuries-long cultural deeds of the Georgian nation and at the same time it tried to demonstrate a clear and universally recognized democratic values, the primacy of law, equality, solidarity, individual freedom, national self-awareness. It has contributed to the creation of cultural paradigms, the essence of which was the combination of national interests and the European values.

შრომების კრებული

Сборник трудов

PROCEEDINGS

სოციალურ მეცნიერებათა საკითხები

Вопросы социальных наук

Problems of Social Sciences

IX

რედაქტორი:

ირაკლი მანველიძე

ტექნიკური რედაქტორი


გიორგი ქათამაძე

გამომცემლობის რედაქტორი:

იზა ხარებავა

ტირაჟი 200

გამომცემლობა „უნივერსალი“



თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge